პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 13 იანვარი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 10 (2356)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— გლეხთა აჯანყება იაპონიაში.
— ჩინეთში ძლიერდება ანტი-იაპონური მოძრაობა.
— პრესა პოლონეთის საპასუხო ნოტის შესახებ.
— ბორასა და ნორისის გარშემო შექმნილ სიყალბის გამოკვლევა.
— გერმანიის მეცნიერები საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებათა შესახებ.
— ამხ. რუძუტაკი დანიშნულია შრომის და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულად გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში.

ორშაბათს, 1929 წლის 28 იანვარს თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (კირკის ქუჩა)
მოწვეულია
თბილისის მე-9 პარტკონფერენცია
დღის წესრიგი:
1. პარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.
5. მუშაობა სოფლად.
6. არჩევნები.

საქართ. კომპარტიის (ბ) თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

„პრინციპიალური თანხმობა"

10 იანვარს პოლონეთის მთავრობამ პასუხი გასცა ლიტვინოვის მიერ 29 დეკემბერს გადაცემულ ნოტაზე, რომელშიაც საბჭოთა კავშირის მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობას, რომ ამ სახელმწიფოების ურთიერთობაში დაუყოვნებლივ შესულიყო ძალაში კელოგის პაქტი ომის უარყოფის შესახებ. პოლონეთის მთავრობის ამ პასუხს დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ.

თავის პასუხს პოლონეთის მთავრობა იძლევა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადების მიღებიდან 12 დღის გასვლის შემდეგ. პოლონური პრესა, ალბათ, არ უსაყვედურებს მას „აჩქარებას", როგორც გულმოდგინედ უსაყვედურებდა იგი საბჭოთა კავშირის მთავრობას. ასეთი დაგვიანება გასაგები იქნებოდა, რომ პოლონეთის მთავრობის პასუხი, საკითხის ყურადღებით შესწავლის შემდეგ, დადებით და საბოლოო გადაწყვეტილებას შეიცავდეს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პოლონეთის მთავრობის საპასუხო ნოტა მხოლოდ წინასწარ პასუხს წარმოადგენს. ნოტაში მოხსენებული ფრაზა, რომ პოლონეთის მთავრობა პრინციპიალურად მზად არის მიიღოს საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადება, იკარგება მრავალ შენიშვნასა და საკითხში, რომელნიც ამცირებენ პრინციპიალურ თანხმობის მნიშვნელობას და აჭიანურებენ მის განხორციელებას. აქ დამახასიათებელია ის, რომ პოლონეთის ნოტის შენიშვნები და საკითხები წარმოადგენენ ყოველსავე იმის განმეორებას, რაც ამ ხნის განმავლობაში პოლონურ პრესაში იბეჭდებოდა და რაც დაწვრილებით გაირჩა ჩვენს პრესაში. მეტიც: საბჭოთა კავშირის მთავრობის პირველი—29 დეკემბრის—ნოტა უკვე შეიცავს პასუხს ყველა იმ საკითხზე, რომელიც აძრულია პოლონეთის მთავრობის ნოტაში.

ასე, მაგალითად, 10 იანვრის ნოტაში, პოლონეთის მთავრობა უსაყვედურებს საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა თავის წინადადებაში „გვერდი აუხვია" ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის და რუმინეთის მთავრობებს. როგორც საკავშირო მთავრობის პირველ ნოტაში, ისე იმ განმარტებებში, რომლებიც მიეცა პოლონეთის ელჩს მოსკოვში, და, ბოლოს, ჩვენს პრესაში არა ერთხელ აღნიშნულა, რომ ჩვენ მიერ წარდგენილი ოქმის მე-4 მუხლი გვერდს არ უხვევს არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც კი მოისურვებს შეუერთდეს ოქმს. რაც შეეხება ბალტიის სამ სახელმწიფოს, საბჭოთა მთავრობამ მათ იმიტომ არ მისცა ასეთი წინადადება, რომ ეს ქვეყნები, იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, დღემდე არ შეერთებიან ფორმალურად კელოგის პაქტს. პოლონეთის მთავრობა ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს ვერ ამჩნევს საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ არგუმენტაციას, და ისევ სვამს ამ საკითხს. ამავე დროს საბჭოთა კავშირის მთავრობას დღემდე არ მოუვიდა ცნობა, შეუერთდნენ თუ არა ლატვია, ესტონეთი და ფინეთი პარიზის ხელშეკრულებას. საბჭოთა მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი უშედეგოდ დამთავრდა. უფრო მეტიც: იმ 12 დღის განმავლობაში, რომელიც გავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის პირველი ნოტის გადაცემიდან, მთელი დედამიწის პრესა არჩევს საბჭოთა კავშირის წინადადებას, ამ წინადადებას არჩევს ბალტიის ქვეყნების პრესაც. მაგრამ ამ პრესაში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი—შეუერთდა თუ არა ბალტიის ეს სამი სახელმწიფო კელოგის პაქტს. ეს აზირებული, მეტი რომ არა ვთქვათ, დაფარვა იმისა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ამ სახელმწიფოებს კელოგის პაქტთან, როგორც უკვე ჩვენმა პრესამ აღნიშნა, მრავალ ეჭვს იწვევს. ტყუილად კი არ სწერდა სულ რამდენიმე დღის წინად ფინური გაზეთი „ჰელსინგინ სანომატ"-ი—კელოგის პაქტთან შეუერთებლობას გამოჰყავს ის სახელმწიფოები იმ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც საბჭოთა მთავრობის წინადადების შემდეგ პოლონეთი ჩავარდა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თვით პოლონეთის ნოტა არ შეიცავს დადებით ფორმალურ მითითებას იმაზე, რომ აღნიშნული სახელმწიფოები კელოგის პაქტს შეუერთდნენ.

სარწმუნო ინფორმაციის მიუღებლობის საკითხი გაართულა იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური ურთიერთობა არ არსებობს, რამაც საბჭოთა კავშირის მთავრობას მოუსპო საშუალება პირდაპირ ვაშინგტონიდან მიეღო ცნობა იმ სახელმწიფოების შესახებ, რომელნიც პაქტს შეუერთდნენ, საბჭოთა კავშირის მთავრობის ცდა—მიეღო ინფორმაცია საფრანგეთის მთავრობის შეშვეობით, უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა, კელოგის პაქტის მესამე მუხლის თანახმად, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვალდებული იყო ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც პაქტს შეუერთდებოდა, ეცნობებია ის, თუ რომელი ახალი სახელმწიფოები შეუერთდნენ პაქტს. მართალია, ამ პარაგრაფის პირდაპირი მნიშვნელობით ასეთ ვალდებულებას მხოლოდ მას შემდეგ უნდა ჰქონოდა ადგილი, როცა პაქტს დაამტკიცებდნენ მისი პირველი მონაწილენი, მაგრამ ასეთი იყო მხოლოდ პირვანდელი კონცეპცია. ეს კონცეპცია შეიცვალა იმ მომენტში, როდესაც კელოგმა ყველა სახელმწიფო არ მიიწვია პაქტზე ხელის მოსაწერად პარიზში.

საქმე, რა თქმა უნდა, ამაში არ არის, რომ პოლონეთის მთავრობა თანაუგრძნობდეს ჩვენ მიერ წარდგენილი ოქმის იდეას და რომ იგი ჩვენსავით მიილტვოდეს ამ ოქმის განხორციელებისაკენ, მას სრული საშუალება ჰქონდა (12 დღის განმავლობაში) შეჰკითხოდა ბალტიის აღნიშნულ სამ სახელმწიფოს მთავრობებს, აგრეთვე რუმინეთის მთავრობას, და ფორმალურად ეცნობებია საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის, რომ აღნიშნული სახელმწიფოები შეუერთდნენ პაქტს. ასეთ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მთავრობა დაუყოვნებლივ მისცემდა აღნიშნულ სახელმწიფოებს წინადადებას, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ ოქმში.

პოლონეთის მთავრობა უსაყვედურებს საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა „გვერდი აუხვია" ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს, და ამავე დროს განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ საჭიროდ სცნო მიემართა ლიტვისათვის. ლიტვის მოწვევის საკითხის ფორმალურ მხარეს საბჭოთა კავშირის უკვე პირველი ნოტა აღნიშნავდა. ამავე ფორმალურ მხარეს აღნიშნავდა ჩვენი პრესაც. რაც შეეხება საკითხის რაობას, ლიტვინოვის მეორე ნოტაში მოხსენებული მოტივების დასამტკიცებლად საჭიროთ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ როდესაც საბჭოთა კავშირის მთავრობა იწვევდა ლიტვას, მშვენივრად იცნობდა ლიტვის მშვიდობიან პოლიტიკას და ეჭვი არ შეჰქონდა, რომ დადებით პასუხს მიიღებდა ამ წინადადებაზე. საბჭოთა კავშირის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ასეთ პასუხს მიიღებდა ლიტვის მთავრობისაგან იმიტომ, რომ, როგორც ვიცით, ლიტვა ერთად-ერთი ბალტიის სახელმწიფოა, რომელმაც საბჭოთა კავშირთან დასდო თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეეძლო ასეთივე მოლოდინი ჰქონოდა ბალტიის დანარჩენ სახელმწიფოებისაგან. ვინაიდან აღნიშნულმა სახელმწიფოებმა, პოლონეთის უშუალო გავლენით, უარი განაცხადეს მიეღო საბჭოთა კავშირის წინადადება საგარანტიო ხელშეკრულებათა დადების შესახებ. ამიტომაც თავის მეორე ნოტაში საბჭოთა კავშირის მთავრობა სამართლიანად გამოსთქვამს შიშს, რომ ბალტიის სახელმწიფოებისადმი მიმართვა, მათი პოლიტიკის უკვე საკმაოდ ნათლად გამორკვეული ტენდენციების მიხედვით, გააჭიანურებს საბჭოთა წინადადების რეალიზაციას.

ვერავინ ვერ უარჰყოფს იმ გარემოებას, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგება უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის დამშვიდებისათვის. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობა საჭიროდ მიაჩნდა და მიაჩნია პოლონეთ-საბჭოთა ოქმზე ხელის მოწერა, ამავე დროს მას სრულებით არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ამ ოქმს დაუყოვნებლივ შეუერთდეს ყველა ის სახელმწიფო, რომელიც კი ამას მოისურვებს.

პოლონეთის პრესა ამტკიცებს, რომ ჩვენ ასეთი გზით გვსურს განვაცალკევოთ ბალტიის სახელმწიფოები. ასეთი „განცალკევების" საწინააღმდეგოთ საუკეთესო იარაღი ის იქნება, რომ აღნიშნული სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ჩვენს ოქმს.

საჭიროა ცალკე შევჩერდეთ რუმინეთის საკითხზე. სწორედ ასე სჩადის საბჭოთა კავშირის მთავრობის მეორე ნოტა. პოლონეთის მთავრობა ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს არ ესმის ის სპეციფიური მიზეზები, რომელთა გამოც საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეეძლო უშუალოდ მიემართა რუმინეთის მთავრობისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ დღემდე არ იცის შეუერთდა რუმინეთი ფორმალურად კელოგის პაქტს თუ არა. ამის შესახებ პოლონეთის ნოტაშიაც არაფერია გარკვევით ნათქვამი. ის ამომწურავი პასუხი, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობის მეორე ნოტა იძლევა რუმინეთის განზრახულ პროექტში მონაწილეობის საკითხის შესახებ, სავსებით დაუშვებლად და შეუძლებლად ხდის შემდგომ მიკიბულ-მოკიბულ პოზიციას ამ საკითხში.

საჭიროდ არ მიგვაჩნია შევჩერდეთ ისეთ „დაბრკოლებებზე", როგორიცაა პოლონეთის ნოტაში შეთხზული „სოლიდარული რატიფიკაცია კელოგის პაქტისა მის პირველ მონაწილეთა მიერ". საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტა კატეგორიულად უკუაგდებს ამ საბუთს. პოლონეთის მთავრობა თავის ნოტაში სცდილობს აღნიშნოს, რომ პაქტის რომელიმე პირველი მონაწილე შეიძლება იმის წინააღმდეგ წავიდეს, რომ კელოგის პაქტი ვადამდე შევიდეს ძალაში სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის ურთიერთობაში. ეს მაინცდამაინც ვერაფერი კომპლიმენტია იმ 15 სახელმწიფოსათვის, რომლებსაც პაქტზე უწერიათ ხელი.

თუ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას, მიილტვიან იმისაკენ, რომ განახორციელონ ეს ხელშეკრულება, ვერც ერთი მათგანი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებას.

პოლონეთის მთავრობას ჩვენ პასუხს ვაძლევთ მისი ნოტის მიღებიდან ერთი დღის გასვლის შემდეგ და, რა თქმა უნდა, პოლონური პრესა ისევ ახალ საყვედურებს გამოგვიცხადებს იმ „აჩქარებისათვის", რომლითაც საბჭოთა კავშირის მთავრობა მოითხოვს, რომ განხორციელდეს მისი წინადადება.

ჩვენ ეს ვიცით და ასეთ საყვედურებზე პასუხსაც არ ვიძლევით, ვინაიდან მშვიდობიანობის ყველა პატიოსანი მომხრე ჩვენს მხარეზეა.

ჩვენ არ გვინდა ხელი შევუწყოთ იმათ, ვინც სცდილობს გააჭიანუროს მშვიდობიანობის გარანტიების შექმნის საქმე, რათა რამდენიმე თვით მაინც შეინარჩუნოს მოქმედების თავისუფლება ომისათვის ნიადაგის მოსამზადებლად.

ჩვენ არ გვინდა ხელი შევუწყოთ იმათ, ვინც სპეკულიაციას ეწევა თვით კელოგის პაქტის შესაძლებელ ჩაშლაზე, ან მისი რატიფიკაციის გაჭიანურებაზე.

საბჭოთა მთავრობის მეორე ნოტის შემდეგ, ჩვენ ვიმეორებთ, რომ ადგილი აღარ აქვს კაზუისტიკასა და მიკიბულ-მოკიბულობას. ყველა საკითხი გარკვეულია. პოლონეთის მთავრობას ყველა ელემენტი აქვს იმისათვის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს. ჩვენ ველით ნათელ, სწრაფ და გარკვეულ პასუხს ჩვენს წინადადებაზე.

ყოველი ახალი გაჭიანურება მთელ მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავებს, თუ ნამდვილად ვინ უწყობს ხელს ასეთ გაჭიანურებას.

„იზვესტია", 12 იანვარი.

პოლონეთის პასუხი და საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა

პოლონეთი გაურბის საბჭოთა წინადადების მიღებას

საბჭოთა ნოტა ამსხვრევს პოლონეთის მთავრობის „არგუმენტაციას"

პოლონეთის ნოტა

მოსკოვი, 12 იანვარი. 10 იანვარს 21 საათსა და 30 წუთზე პოლონეთის რესპუბლიკის დროებითმა რწმუნებულმა მოსკოვში ზელენსკიმ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობათა დროებით აღმსრულებელს ამხ. ლიტვინოვს გადასცა შემდეგი ნოტა:

„ბატონო სახალხო კომისარო! 1928 წლის 29 დეკემბრის ნოტით თქვენ ინებეთ და გვაცნობეთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა წინადადებას აძლევს პოლონეთის მთავრობას, რათა ორივე მხარემ განახორციელოს კელოგის 1928 წლის 27 აგვისტოს პაქტი იმ ვადამდე, რომელსაც ითვალისწინებს ამ პაქტის მე-3 მუხლი, ხოლო პაქტის განხორციელებას საფუძვლად დაედოს პოლონეთ-საბჭოთა ოქმი, რომლის პროექტი თქვენ დაურთეთ ზემოაღნიშნულ ნოტას.

ამით ვადასტურებ ხსენებული ნოტის მიღებას და, ჩემი მთავრობის დავალებით, პატივი მაქვს გაცნობოთ, ბატონო სახალხო კომისარო, შემდეგი:

პოლონეთის მთავრობა, რომლის მშვიდობიანი პოლიტიკა ყველა მეზობლის, მაშასადამე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიმართაც ყოვლად უდავო ფაქტია, თავის გაოცებას გამოსთქვამს, რომ საკავშირო მთავრობამ შესაძლებლად ჩასთვალა აღნიშნული ნოტის გაგზავნის გამოყენება პოლონეთისათვის საყვედურის გამოსაცხადებლად იმის გამო, რომ დღემდე განხორციელებული არ არის ორივე სახელმწიფოს შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულებანი თავდაუსხმელობისა ან განიარაღების შესახებ. მიუხედავად ამისა, პოლონეთის მთავრობა დისკუსიის გამართვას არ აპირებს ამ თემაზე და მხოლოდ აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ნოტაში ამ მოლაპარაკებათა მსვლელობის ამბავი სწორედ არ არის გადმოცემული.

თქვენს ნოტაში აძრული საკითხის შესახებ პატივი მაქვს გაცნობოთ, ბატონო სახალხო კომისარო, რომ ეს წინადადება პოლონეთის მთავრობისათვის წარმოადგენს გულმოდგინე შესწავლის საგანს.

პოლონეთის მთავრობა პრინციპიალურად მომხრეა მიიღოს წინადადება, მაგრამ, ამასთანავე, საშუალებას იტოვებს, რომ თავის მხრით წარუდგინოს საკავშირო მთავრობას ისეთი ცვლილებანი, რომლებსაც საჭიროდ დაინახავს წინადადების შესწავლის შემდეგ. გარდა ამისა, პოლონეთის მთავრობას სურს აღნიშნოს, რომ კელოგის პაქტის მე-3 მუხლი, რომელიც ამბობს: „ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენენ აქ ჩამოთვლილი მაღალღირსეულნი ხელშემკვრელი მხარენი სათანადო კონსტიტუციების მოთხოვნილებათა თანახმად და მათ ურთიერთობაში ხელშეკრულება ძალას მოიპოვებს იმ დღიდან, როცა რატიფიკაციის სიგელები გადაიგზავნება ვაშინგტონში", — რომ ეს მე-3 მუხლი ყველა ხელმომწერს ავალებს სოლიდარულ სარატიფიკაციო პროცედურას, რომელზედაც დამოკიდებულია ამ პაქტის ძალაში შესვლა. პოლონეთის მთავრობა პაქტის ერთ-ერთი პირველი მონაწილეა და აღნიშნული მე-3 მუხლი მას განსაზღვრულ ვალდებულებას აკისრებს. ამიტომ მან წინასწარ მოლაპარაკება უნდა გამართოს პაქტის ინიციატორებთან და თავდაპირველ მონაწილეებთან ამ პაქტის ნაწილობრივი განხორციელების სხვანაირი წესის შესახებ, რომელიც თქვენს წინადადებაშია მოცემული. გარდა ამისა, პოლონეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ მე-3 მუხლში გათვალისწინებული პაქტის რატიფიკაცია მალე მოხდება, მაგრამ იგი საკავშირო მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ არც ერთ პირვანდელ მონაწილე სახელმწიფოს, ამ ხელშეკრულების ინიციატორ სახელმწიფოებსაც კი, დღემდე მისი რატიფიკაცია არ მოუხდენიათ. მიუხედავად ამისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოესი დრო სერიოზულად გამოარკვევს მდგომარეობას ამ თვალსაზრისით. ეს საშუალებას მისცემს ორივე მხარეს, რომ თქვენ მიერ წამოყენებული ოქმის საკითხში უფრო სწორი პოზიცია დაიჭირონ, ბატონო სახალხო კომისარო.

შემდეგ, პოლონეთის მთავრობას სურს აღნიშნოს, რომ თუმცა თქვენ პატივი ეცით პოლონეთს და გამოარჩიეთ იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სხვა უშუალო მეზობლებისაგან, მაგრამ პოლონეთის მთავრობა მაინც თავის გაოცებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საკავშირო მთავრობამ თავის წინადადებაში გვერდი აუქცია ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის და რუმინეთის მთავრობებს და ამავე დროს მიმართა ლიტვას, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უშუალო მეზობელი არ არის და რომელსაც, როგორც ეს საკავშირო მთავრობამ იცის, არ სურს დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთთან. ასეთი დიფერენციაცია აძნელებს პოლონეთის მთავრობის მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ რუმინეთმაც და ბალტიის მხრის სახელმწიფოებმაც ამა თუ იმ ფორმით განაცხადეს სურვილი — შეუერთდნენ კელოგის პაქტს.

პოლონეთის მთავრობა მოაგონებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას შემდეგს: პოლონეთის მთავრობას ყოველთვის საჭიროდ მიაჩნია, რომ აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანობის პრობლემა ერთად განიხილონ დაინტერესებულ სახელმწიფოებს, ვინაიდან საკითხის მხოლოდ ასეთ გაგებას შეუძლია ნამდვილად უზრუნველჰყოს მშვიდობიანობის შენარჩუნება მსოფლიოს ამ ნაწილში. ამიტომ პოლონეთის მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის, ბატონო სახალხო კომისარო, უშუალოდ მიმართოს ამ სახელმწიფოებს და გამოარკვიოს მათი აზრი თქვენი წინადადების შესახებ, აგრეთვე გამოარკვიოს მათი პოზიცია იმ საკითხზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ხელის მოწერა ოქმზე, რომელიც საკავშირო მთავრობამ წარმოადგინა, თანახმად 1928 წლის 20 დეკემბერს გადმოცემული თქვენი ნოტისა.

მიიღეთ და სხვ. **ზელენსკი**".

საბჭოთა კავშირის პასუხი

მოსკოვი, 12 იანვარი. 11 იანვარს 23 საათზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიის მხრის და პოლონეთის განყოფილების გამგის მოადგილემ კარსკიმ ინახულა პოლონეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ზელენსკი და ამხ. ლიტვინოვის დავალებით გადასცა მას შემდეგი საპასუხო ნოტა:

„ბატონო რწმუნებულო!

1. ამით ვადასტურებ, რომ მივიღე თქვენი ნოტა ა. წ. 10 იანვრის თარიღით და 80-29 ნომრით, რომელიც შეიცავს თქვენი მთავრობის წინასწარ პასუხს ჩემს 1928 წლის 29 დეკემბრის ნოტაზე. პატივი მაქვს გთხოვოთ, ბატონო რწმუნებულო, აცნობოთ თქვენს მთავრობას შემდეგი:

საბჭოთა კავშირის მთავრობა კმაყოფილებით გაეცნო პოლონეთის მთავრობის განცხადებას, რომ იგი პრინციპიალურად მზად არის მიიღოს წინადადება საბჭოთა კავშირის და პოლონეთის რესპუბლიკის ურთიერთობაში პარიზის ხელშეკრულების (ომზე უარის თქმის შესახებ) ძალაში შესვლის დაჩქარების შესახებ. ამავე დროს საბჭოთა კავშირის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ აღნიშნულ ნოტაში არ არის პოლონეთის მთავრობის თანხმობა იმაზე, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს საბჭოთა მთავრობის წინადადება, რომელიც არც ერთ მხარეს არ აკისრებს რაიმე ახალ ვალდებულებას, გარდა იმისა, რაც მათ უკვე იკისრეს პარიზის ხელშეკრულების ძალით. ეს წინადადება იმდენად ნათლად და მარტივად მიაჩნდა საბჭოთა მთავრობას, რომ იგი ასეთსავე ნათელ და მარტივ პასუხს მოელოდა.

2. პოლონეთის მთავრობამ დაასახელა სხვადასხვა გარემოება, რომელნიც, მისი აზრით ხელს უშლიან იმას, რომ პოლონეთმა ხელი მოაწეროს საკავშირო მთავრობის მიერ წარდგენილ ოქმს. საკავშირო მთავრობის პოზიციის სრული გამორკვევისათვის ნებას მივცემ თავს შევჩერდე თქვენი ნოტის ცალკე მუხლებზე.

3. პოლონეთის მთავრობა განცვიფრებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საკავშირო მთავრობის 29 დეკემბრის ნოტაში მოკლედ არის მოხსენებული მოლაპარაკება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ, რომელსაც წინად ადგილი ჰქონდა საბჭოთა მთავრობასა და პოლონეთს შორის. პოლონეთის მთავრობამ შესაძლოდ სცნო აღენიშნა, რომ ეს მოლაპარაკება ნოტაში არ არის სწორად გადმოცემული. ამის გამო საკმარისია მოგაგონოთ, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის დროზე პოლონეთის რესპუბლიკას და ბალტიის მხრის სახელმწიფოებს წინადადება მისცა შეიარაღებულ ძალთა პროპორციულად შემცირების შესახებ, მაგრამ ეს წინადადება მათ უარჰყვეს. შემდეგ, საკავშირო მთავრობამ წინადადება მისცა იმავე სახელმწიფოებს — ხელი მოეწერათ მასთან ერთად იმ პაქტზე, რომლებიც შეეხებოდნენ თავდაუსხმელობას და მტრულ დაჯგუფებებში მონაწილეობის მიუღებლობას. საკავშირო მთავრობა თავის წინადადებას არ უკავშირებდა არავითარ პირობას ან სხვა ისეთი საკითხების გადაჭრას, რომლებშიაც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირი. პოლონეთის მთავრობამ წამოაყენა სხვადასხვა პირობა, რითაც ფაქტიურად უარჰყო საკავშირო მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ორივე მხარეს გადაჭრით ხელი აეღო თავდასხმაზე. ასეთია ზემოხსენებულ მოლაპარაკებათა ისტორია, რომლის უარყოფაც შეუძლებელია. აქ ზედმეტია იმ მიზეზების განხილვა, რომელთაც აიძულეს პოლონეთის მთავრობა თავდაუსხმელობის საკითხი დაეკავშირებინა ამა თუ იმ პირობასთან, ამან შეუძლებელი გახადა პაქტის დადება. საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე აღვნიშნო, რომ პოლონეთის მთავრობა ამ პირობებს არ უკავშირებდა პარიზის ხელშეკრულებაზე (ომზე უარის თქმის შესახებ) ხელის მოწერას.

4. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ, ე. ი. იმან, რომ პოლონეთის მთავრობამ ყოველგვარი პირობის გარეშე ხელი მოაწერა პარიზის ხელშეკრულებას, რომელსაც შეუერთდა საბჭოთა კავშირიც, აიძულა საკავშირო მთავრობამ მიემართა პოლონეთისათვის 29 დეკემბრის ნოტით. საკავშირო მთავრობა ფიქრობდა, რომ რაკი პოლონეთმა შესაძლოდ სცნო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, ყოველგვარი პირობის გარეშე, ეკისრა ვალდებულება ომზე უარის თქმის შესახებ, ამიტომ ის ყოველგვარი პირობის გარეშე დასთანხმდებოდა, რომ ამ ვალდებულებას მისცემოდა ფორმალური ძალა, მაგრამ თქვენი ნოტის უკანასკნელი აბზაცი, ბატონო რწმუნებულო, შეიძლება გაგებულ იქნას ისე, რომ პოლონეთის მთავრობა ოქმზე ხელის მოწერას უკავშირებს სხვა სახელმწიფოების მონაწილეობას მასში, ეს პირობა მით უფრო გაუგებარია, რომ თუ მომავალში ხელშეკრულება დაამტკიცა 15-მა სახელმწიფომ, რომელთაც უკვე ხელი მოაწერეს მას, იგი ავტომატიურად შევა ძალაში პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის შორის, დამოუკიდებლად იმისა, შეუერთდებიან თუ არა ხელშეკრულებას ბალტიის მხრის სახელმწიფოები. ძნელი გასაგებია, რატომ არ შეუძლია პოლონეთს იგივე ვალდებულება (საბჭოთა კავშირის მიმართ ომზე უარის თქმის შესახებ) მიიღოს ყოველგვარი პირობის გარეშე ეხლავე, დანარჩენ 14 სახელმწიფოს მიერ პაქტის დამტკიცებამდე.

5. საკავშირო მთავრობა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის და პოლონეთის მიერ აღნიშნულ ოქმზე ხელის მოწერა არა მარტო განამტკიცებს მშვიდობიან ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის, არამედ მშვიდობიანობის უდიდესი ფაქტორი იქნება მთელ აღმოსავლეთ ევროპაში. მაგრამ, რაკი პოლონეთის მთავრობა სხვა შეხედულებისაა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის მტკიცე მშვიდობიანი ურთიერთობის მნიშვნელობაზე და რაკი იგი საჭიროდ სცნობს აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების მონაწილეობას ოქმში, მისი არგუმენტები საფუძვლიანი და გასაგები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკავშირო მთავრობა შეუქმნიდა რაიმე დაბრკოლებას ამ ქვეყნების მონაწილეობას აღნიშნულ ოქმში. ნამდვილად კი საკავშირო მთავრობამ თავის 29 დეკემბრის ნოტაში სავსებით აშკარა და გარკვეული ფორმით განაცხადა, რომ ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყველა სახელმწიფო, რომელიც კი ამას მოისურვებს, მეტიც: მან იმავე ნოტაში თვით გამოსთქვა სურვილი, რომ ოქმში მონაწილეობა მიიღონ მისმა მეზობელმა სახელმწიფოებმა. ამავე ნოტაში აღნიშნულია, რომ საკავშირო მთავრობამ ჯერ-ჯერობით ანალოგიური წინადადებით მიმართა მხოლოდ ლიტვას, ვინაიდან, იმ ცნობების თანახმად, რომელიც მთავრობის განკარგულებაშია, ბალტიის მხრის დანარჩენ სახელმწიფოებს, ჯერ-ჯერობით სათანადოთ არ ჩამოუყალიბებიათ თავიანთი შეერთება პარიზის ხელშეკრულებასთან. პოლონეთის მთავრობისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ შეუძლებელია მიმართო წინადადებით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დაჩქარების შესახებ ისეთ სახელმწიფოებს, რომელთაც არ მოუწერიათ ხელი ამ ხელშეკრულებაზე ან არ შეერთებიან მას.

6. პოლონეთის მთავრობა 10 იანვრის ნოტაში განცვიფრებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საკავშირო მთავრობამ ლიტვას მიმართა წინადადებით ოქმში მონაწილეობის შესახებ, მაშინ, როცა, რიგის ხელშეკრულების ძალით, ლიტვა არ არის საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფო. საბჭოთა მთავრობას მეტი საფუძველი აქვს განცვიფრება გამოსთქვას პოლონეთის მთავრობის მოთხოვნის გამო ესტონეთის და ფინეთის მონაწილეობის შესახებ ოქმში, მაშინ, როცა ეს სახელმწიფოები კიდევ უფრო დაშორებულნი არიან ტერიტორიალურად პოლონეთის საზღვრებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საბჭოთა კავშირსა, ფინეთსა და ესტონეთს შორის არ არსებობს სადაო საკითხები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მშვიდობიანი ურთიერთობის დარღვევა მათ შორის, რის თქმაც არ შეიძლება პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობის შესახებ. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობა სერიოზულ შიშს იწვევდა და საფრთხეში აგდებდა ევროპის მშვიდობიანობას. თვით პოლონეთი შუამდგომლობდა ერთა ლიგის წინაშე, რომ ამ უკანასკნელს მიეღო ზომები საომარი მდგომარეობის მოსასპობად მასსა და ლიტვას შორის. ამიტომ საკავშირო მთავრობა ფიქრობდა, რომ პოლონეთი მიესალმებოდა საკავშირო მთავრობის მიერ ლიტვის რესპუბლიკისთვის მიცემულ წინადადებას ოქმში მონაწილეობის მიღების შესახებ.

7. პოლონეთის მთავრობა თავის ნოტაში თვით ცხადებს, რომ ბალტიის მხრის სახელმწიფოებმა მხოლოდ სურვილი გამოსთქვეს შეუერთდნენ პარიზის ხელშეკრულებას. აქედან გამომდინარეობს, რომ თვით შეერთებას არ ჰქონია ადგილი როგორც პოლონეთის მთავრობისათვის 29 დეკემბრის ნოტის გაგზავნამდე, ისე განსაკუთრებით მის შემდეგ. საკავშირო მთავრობა ცდილობდა დიპლომატიური გზით გამოერკვია ბალტიის სახელმწიფოთა ფორმალური დამოკიდებულება პარიზის ხელშეკრულებისადმი. საკავშირო მთავრობა ფიქრობს, რომ ამა თუ იმ ხელშეკრულებასთან შესაერთებლად არსებობს განსაზღვრული ფორმალური პროცედურა. როცა საკავშირო მთავრობას წინადადება მისცეს, შეერთებოდა პარიზის ხელშეკრულებას, მას, მისი შეკითხვის საპასუხოდ, მიუთითეს, რა ფორმით უნდა მოხდეს შეერთების აქტის ხელის მოწერა და შესრულება. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა ხელშეკრულებას, საკავშირო მთავრობას, საფრანგეთის მთავრობის თავაზიანი შუამავლობით, ეცნობა, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო ცნობად აქტი საბჭოთა კავშირის შეერთების შესახებ, რის დასადასტურებლად საკავშირო მთავრობას გამოუგზავნეს პარიზის ხელშეკრულების აქტი, დამოწმებული ბატონ კელოგის მიერ. რაკი ასეთი პროცედურა სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის, რომელიც შეუერთდება ხელშეკრულებას მაშასადამე, ძნელი არ არის იმის გამორკვევა, თუ ბალტიის მხრის რომელი სახელმწიფო შეუერთდა პაქტს. საკავშირო მთავრობამ იცის, რომ ჯერ-ჯერობით ოფიციალურად კელოგის პაქტს შეუერთდა ლიტვის მთავრობა. როგორც კი განაცხადებს ოფიციალურად ბალტიის მხრის ესა თუ ის სახელმწიფო, რომ მას სურს შეუერთდეს პაქტს, საკავშირო მთავრობა მაშინვე მისცემს მას წინადადებას — შეუერთდეს საკავშირო მთავრობის ოქმს ხელშეკრულების სასწრაფოდ ძალაში შესვლის შესახებ. მანამდე საკავშირო მთავრობა განაგრძობს ცდას — გამოარკვიოს ბალტიის მხრის სახელმწიფოთა პოზიცია პარიზის ხელშეკრულების მიმართ. მან იცის, რომ ამასვე ცდილობს ლიტვის მთავრობა. საკავშირო მთავრობა მოხარული იქნება, თუ ასეთ ნაბიჯებს დაინახავს პოლონეთის მხრითაც.

8. სწორედ ასევე, თუ რუმინეთი, რომელთანაც საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელნიც ფორმალურად შეუერთდნენ პარიზის ხელშეკრულებას, საკავშირო მთავრობა მზადაა წინადადება მისცეს მას — შეუერთდეს საკავშირო მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოქმს. სავსებით აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობას, როდესაც იგი პარიზის ხელშეკრულებას უერთდებოდა, ფიქრობდა, რომ ამით ის რუმინეთის მიმართ, — იმ მომენტიდან, როდესაც ეს უკანასკნელი შეუერთდება ხელშეკრულებას, — ისრულობს ვალდებულობას უარჰყოს ომი, როგორც კონფლიქტების გადაჭრის საშუალება, თუმცა ამით ბოლო არ ელება არსებულ სადაო საკითხებს. ამიტომ საბჭოთა მთავრობას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე იმის საწინააღმდეგო, რომ ეს ვალდებულება დაჩქარებით შევიდეს ძალაში მის და რუმინეთის მთავრობას შორის პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ოქმთან რუმინეთის შეერთების გზით, რაც გათვალისწინებულია ოქმის მეოთხე მუხლით. საკავშირო მთავრობა მოხარული იქნება, თუ პოლონეთის მთავრობა რაც შეიძლება ჩქარა გამოარკვევს და აცნობებს მას, შეუერთდა თუ არა რუმინეთი ფორმალურად პარიზის პაქტს და სურს თუ არა მას მონაწილეობა მიიღოს საკავშირო მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოქმში. ამგვარად, არგუმენტი რუმინეთის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს იმის საფუძვლიან მიზეზად, რომ პოლონეთის მთავრობა უარს ამბობს საკავშირო მთავრობის წინადადების დაუყოვნებლივ განხორციელებაზე.

9. რადგან საკავშირო მთავრობის წინადადების მიზანია — რაც შეიძლება დაჩქარებით შევიდეს ძალაში, თუნდაც რამდენიმე სახელმწიფოს შორის პარიზის ხელშეკრულება ომის უარყოფის შესახებ, ამიტომ საკავშირო მთავრობას არ შეუძლია არ შეცადოს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს უარმა ან გაურკვეველმა პოზიციამ ოქმზე ხელის მოწერის საქმეში არ დააბრკოლოს თვით ოქმის, მაშასადამე, — პარიზის ხელშეკრულების, შემოღება იმ სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ადრე მოაწერენ ხელს ოქმს ან შეუერთდებიან მას.

10. საბჭოთა კავშირის წინადადების განხორციელების მეორე დაბრკოლებად პოლონეთის მთავრობის ნოტა სთვლის სოლიდარული სარატიფიკაციო პროცედურის ვალდებულებას, რომელიც ვითომ პარიზის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს მისი პირვანდელი მონაწილეებისათვის. საბჭოთა კავშირის მთავრობა ვერ ხედავს ასეთ ვალდებულებას პარიზის ხელშეკრულებაში, რადგან იქ არსად არ არის ნათქვამი, რომ რატიფიკაცია ხელშეკრულებაზე ხელის მომწერ სახელმწიფოების მიერ უნდა მოხდეს ერთდროულად ან რომელიმე გარკვეული პროცედურის მიხედვით. ხელშეკრულება არ შეიცავს არავითარ შეზღუდვას მისი მონაწილეებისათვის მათ შეუძლიათ ერთმანეთს შორის დასდონ ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება პარიზის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მთავრობამ წამოაყენა მხოლოდ ის წინადადება, რომ პარიზის იგივე ხელშეკრულება შევიდეს ძალაში ორ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს შორის. რამდენადაც ხელშეკრულების ინიციატორები ან მონაწილენი სცდილობდნენ არსებული სამშვიდობო ურთიერთობის განმტკიცებას და ომის მოსპობას საერთაშორისო პრაქტიკაში, მათ არ შეუძლიათ გაილაშქრონ რაიმე შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც იმავე მიზნებს ისახავს, საბჭოთა კავშირის მთავრობა ფიქრობს, რომ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე პოლონეთის ხალხების ინტერესები და მათი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ მოითხოვს, რომ რომელიმე მესამე სახელმწიფომ არ შექმნას დაბრკოლება ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის, უარყოფისათვის. საეჭვოა, რომ გამოინახოს მესამე ისეთი სახელმწიფო, რომელიც აშკარად შექმნის ამგვარ დაბრკოლებას.

11. პოლონეთის მთავრობა, ადასტურებს რა, რომ არც ერთ სახელმწიფოს იმ 15 სახელმწიფოთაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას, დღემდე არ მოუხდენია რატიფიკაცია, თავის ნოტაში იმედს გამოსთქვამს, რომ ამ სახელმწიფოების დამოკიდებულება ხელშეკრულებისადმი ახლო მომავალში გამოირკვევა. საბჭოთა კავშირის მთავრობა ფიქრობს, რომ ამ იმედმა არ უნდა დააბრკოლოს საკავშირო მთავრობის წინადადების მიღება პოლონეთის მიერ. აღნიშნულ ოქმზე ხელის მოწერის ფაქტს დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება პოლონეთ - საბჭოთა ურთიერთობისათვის იმ შემთხვევაშიაც, თუ პოლონეთის მთავრობის იმედი მეტად ოპტიმისტური არ გამოდგება და ოქმი ზედმეტი იქნება იმის გამო, რომ პარიზის ხელშეკრულება ძალაში შევა მის ყველა მონაწილის შორის. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მშვიდობიანობისათვის ხელის მოწერას იმ შემთხვევაში, თუ პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაცია 15 სახელმწიფოს შორის გაჭიანურდება უფრო ხანგრძლივი დროით.

12. ნებას ვაძლევ ჩემს თავს, ბატონო რწმუნებულო თქვენი მთავრობის ყურადღება მივაქციო ზემოდაღნიშნულ მოსაზრებებს. ამასთან საკავშირო მთავრობა მოელის, რომ პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა სასწრაფოდ გამოარკვევს თავის საბოლოო დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილ ოქმისადმი და სათანადო წესით აცნობებს, რომ პოლონეთის მთავრობა მზადაა ფაქტიურად განახორციელოს ეს წინადადება.

მიიღეთ, ბატონო რწმუნებულო, ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობათა დროებით აღმსრულებელი **ლიტვინოვი**.

პოლონეთის საპასუხო ნოტის კომენტარიები

ფრანგული პრესა პოლონეთის პასუხის შესახებ

პარიზი, 11 იანვარი. „ტან"-ი კომენტარიებს უკეთებს პოლონეთის მიერ ლიტვინოვის წინადადებაზე გაცემულ პასუხს და აცხადებს, რომ პოლონეთის ნოტა, რომელიც პრინციპიალურად ღებულობს საბჭოთა წინადადებას, „ერთმანეთს უფარდებს კეთილ სურვილებსა და აუცილებლად საჭირო და უდიდეს სიფრთხილეს". გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პოლონეთის ნოტის ძირითადი არგუმენტაცია ეთანხმება იმ მოსაზრებებს, რომლებიც გამოსთქვა „ტან"-მა ლიტვინოვის წინადადების შესახებ. „ტანი" წინადადებას აძლევს საბჭოთა მთავრობას, „არ გაუკვირდეს, რომ ვარშავას სურს წინასწარ ყურადღებით შეისწავლოს საბჭოთა წინადადების პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგები". გაზეთი იწონებს, რომ პოლონეთი მხოლოდ იმ პირობით არის მზად განიხილოს აღმოსავლეთ ევროპაში უშიშროების შექმნის საკითხი, თუ ამ საკითხის განხილვაში რუმინეთი და ბალტიის სახელმწიფოებიც მიიღებენ მონაწილეობას.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ლიტვის მიერ ესტონეთსა და ლატვიისათვის მიცემული წინადადება—შეუერთდნენ ლიტვინოვის ოქმს, „მეტი რომ არა ვთქვათ, მოულოდნელია". გაზეთი სვამს კითხვას—ამ შემთხვევაში კოვნო მოსკოვს ხომ არ უწყობს ხელს ვარშავის წინააღმდეგ.

„პარი სუარ"-ის აზრით, პოლონეთის პასუხი არსებითად პირდაპირ უარჰყოფს საბჭოთა წინადადებას, რომელმაც ფრანგულ პრესას საბაბი მისცა ბრალი დაედო საბჭოთა კავშირისათვის ფარულ ზრახვებსა და მანევრებშიაც კი ევროპის მშვიდობიანობის წინააღმდეგ. მაშინაც, როდესაც საბჭოთა კავშირი ახდენს თავისი არმიის რეორგანიზაციას, მაშინაც, როდესაც იგი წინადადებას იძლევა საყოველთაო განიარაღების შესახებ და მაშინაც, როდესაც თანხმობას აცხადებს ითანამშრომლოს ევროპის სახელმწიფოებთან მშვიდობიანობის განხორციელებისათვის—მის წინააღმდეგ ერთი და იგივე ბრალდებები ისმის.

„მაგრამ საჭიროა ვთქვათ, —სწერს გაზეთი,—გვსურს თუ არა ვიმუშავოთ საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის და ბოლო მოვუღოთ დიპლომატიის საიდუმლო მახინაციებს, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლონეთმა ბოროტი ნებისყოფა გამოაჩინა საბჭოთა კავშირის ნამდვილი პაციფისტური წინადადების მიმართ. პოლონეთის პოზიცია გამოიწვევს საფრანგეთში კანონიერ უკმაყოფილებას პოლონეთისადმი. დაისმება კითხვა—ნამდვილად ანხორციელებს თუ არა ვარშავა მშვიდობიანობის იმავე პოლიტიკას, რომლის განხორციელებასაც სცდილობს ბრიანი. პოლონეთის მიერ საბჭოთა წინადადების მიმართ დაკავებული ორაზროვანი პოზიცია დიდი ყურადღების ღირსია". (ადს).

ხარკოვის „კომუნისტი" პოლონეთის ნოტის შესახებ

ხარკოვი 12 იანვარი. „კომუნისტი" ანალიზს უკეთებს პოლონეთის დიპლომატიის არგუმენტებს და ამჟღავნებს პოლონეთის ნამდვილ ზრახვებს. პოლონეთს არ სურს მოაწესრიგოს მშვიდობიანი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან ოქმის მოწერაზე. პრინციპიალური თანხმობის გამოცხადება მხოლოდ მყვირალა დეკლარაციას წარმოადგენს. პოლონეთს არ სურს მშვიდობიანობა. პოლონეთს არც ის შეუძლია, რომ მარტივად და აშკარად სთქვას, უარი, რადგან ეს გამოააშკარავებდა რომ მას მშვიდობიანობა არა სურს. მიკიბულ მოკიბულობა, გულუბრყვილო არგუმენტაცია და რაღაც მიზნისათვის დროს მოგების გულუბრყვილო სურვილი აშკარად მოწმობს მხოლოდ ერთს: როგორიც არ უნდა იყოს სამშვიდობო განცხადებები,—პოლონეთს არ სურს მშვიდობიანობა. (ადს).

გერმანული გაზეთების გამოძახილი

ბერლინი, 11 იანვარი. გერმანულმა გაზეთებმა ჯერ-ჯერობით უკომენტარიებოდ მოათავსეს პოლონეთის საპასუხო ნოტა, რომელიც საბჭოთა კავშირს გადაეცა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი, რომელიც სწერს:

„პოლონეთის საპასუხო ნოტამ, ალბად, კმაყოფილების ღიმილი გამოიწვია ლიტვინოვის სახეზე, რადგან იგი მოწმობს, რომ ვარშავა საგრძნობლად დაიბნა საბჭოთა წინადადების წინაშე. ის გარემოება, რომ ნოტის ავტორები სცდილობენ გვერდი აუხვიონ საბჭოთა წინადადების დაუყოვნებლივ შესრულებას, დამაფიქრებელია. ეს ადასტურებს მოსკოვის შიშს პოლონეთის აგრესიულ ზრახვების შესახებ. ყოვლად გაუგებარია ნოტის ავტორების განცვიფრება იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა მთავრობამ გვერდი აუხვია განაპირა სახელმწიფოებს და რუმინეთს, რადგან ლიტვინოვის ნოტა გადაჭრით აცხადებს, რომ წარდგენილ ოქმს ყველა სახელმწიფოს შეუძლია შეუერთდეს. პოლონეთი დამრღვევ მუშაობას აწარმოებს იმ მიზნით, რომ მოსკოვს გადაჰკიდოს უკრაინელები და ბელორუსები. შახტის პროცესზე გამოირკვა, რომ პოლონეთის სამხედრო დაწესებულებები დაინტერესებულნი არიან საბჭოთა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების შეჩერებაში. ამ გარემოებამ თვალები აუხილა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებს, ამიტომ პოლონეთთან მშვიდობიანობის დამყარება მოსკოვისათვის სერიოზულ საზრუნავს წარმოადგენს.

ის, ვისაც შეუძლია სტრიქონებს შუა კითხვა, გაარკვევს, ვის მხარეზეა კეთილი ნების ნაკლებობა, რომელიც ხელს უშლის პოლონეთის, საბჭოთა კავშირის და ლიტვას ურთიერთობაში ნერვიული და მწვავე მდგომარეობის მოსპობას და ამნაირად შეუძლებელს ხდის აღმოსავლეთ ევროპის დამშვიდებას". (ადს)

საკ. კ. პ. (ბ) ცეკა რადიოს გამოყენების შესახებ

მოსკოვი, 12 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა გაეცნო მოსკოვის რადიოგადაცემის ცენტრის პროგრამას და მიზანშეწონილად სცნო მოაწყოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ მუშაკების გამოსვლები მიკროფონთან. ლენინის ინსტიტუტის წინადადება მიეცა, გამოიყენოს რადიო ლენინიზმის პოპულარიზაციისათვის, კერძოდ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ამხ. კრუპსკაიას გამოსვლა შემდეგ თემაზე: „როგორ სცხოვრობდა და რა ასწავლიდა ლენინი". ცეკამ მიუთითა განათლების სახალხო კომისარიატს ს. მ. უ. საბჭოს, „ცენტროსოიუზს", მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკავშირო პროფსაბჭოს რომ საჭიროა რადიოს უფრო ფართოდ გამოყენება ზეპირი განათლების მიზნებისათვის. ცეკამ აგრეთვე მიუთითა მოსკოვის გაზეთებს და საკავშირო დეპეშათა სააგენტოს, მეტი ყურადღება მიაქციონ რადიო-გადაცემის და რადიოფიკაციის საკითხების ფართოდ გაშუქებას და იმ საკითხების პროპაგანდას, რომლებიც დასმულია ამ დარგში (ცეკას და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებით). (ადს).

კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

ამხ. კაშენი ამხელს იმპერიალისტების მზადებას ომისათვის

დეპუტატთა პალატამ 317 ხმის უმრავლესობით 253 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს

სამხედრო დიქტატურა მუკდენში.—მუკდენი დაემორჩილა ნანკინის მთავრობას

კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

კაშენის განცხადება

პარიზი, 11 იანვარი. კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა მთავრობის საერთო პოლიტიკაზე კამათის დროს განაცხადა:

„კომუნისტურ პარტიას არ აინტერესებს დღევანდელი საპარლამენტო კონკლაობა, რომელიც ჩრდილავს უდიდეს სოციალურ, ეკონომიურ და საერთაშორისო საკითხებს, რადგან მშრომელი მასები არაფერს მოიგებენ ამა თუ იმ ბურჟუაზიული მთავრობის კომბინაციებიდან. მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ცხადი ხდება ძალა-უფლების გადახვლა ფინანსიური ოლიგარხიის ხელში, აგრეთვე ექსპლოატაციის გაძლიერება, ამიტომ უკმაყოფილების შესანელებლად და იმ მიზნით, რომ სიტყვიერი განცხადებით დააკმაყოფილოს ეს უმრავლესობა, პარლამენტის ეგრედ წოდებული მემარცხენე ნაწილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა მთავრობაში ამჟამად აცხადებს, რომ „ოპოზიციაში" გადადის. აქ გამოსული სოციალისტური და რადიკალური ლიდერების ზეზეური პოლიტიკური ფორმულები ვერ ჩააქრობენ ამ უკმაყოფილებას და ვერ შეაჩერებენ საგაფიცვო მოძრაობას, ვერ შეაჩერებენ აგრეთვე პროლეტარიატისა და წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ფართო ფენების მიერ იმ ფაქტის გაგებას, რომ საფრანგეთი ომისკენ მიდის. საფრანგეთის მთავრობა პარლამენტში დასამტკიცებლად შეაქვს სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც ორჯერ სჭარბობს 1914 წ. ბიუჯეტს დანდათან უფრო სწრაფად ვითარდება გაუგონარი შეიარაღება".

კაშენს ადგილიდან შეეკითხნენ: „რუსეთი?" ამაზე კაშენმა მოაგონა შეკითხვის ავტორებს, რომ მან ამას წინად პალატაში პასუხი გასცა იმათ, რომელნიც საბჭოთა კავშირის შესახებ შეეკითხნენ, და განაცხადა:

„როდესაც მოისურვებთ, ჩვენ პალატაში გავმართავთ ამომწურავ დისკუსიას საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ"-ო.

„საყოველთაო შეიარაღება,— განაცხადა კაშენმა,—მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ომი ახლო პერსპექტივად გადაიქცა. ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა ზრდა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა, ცხადყოფს, რომ მზადდება დედამიწის ხელახალი განაწილება და ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონიისათვის.

სამხრეთ-სლავიის ამბებს, იტალიასთან ამ სახელმწიფოს დამოკიდებულების პირობებში, სულ ადვილად შეუძლიათ ომი გამოიწვიონ. ნაციონალურ უმცირესობათა უფლებებისათვის მოძრაობის ძალით ჩახშობა ვერ გადასჭრის ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემას, როგორც ომის ერთ-ერთ წყაროს ევროპაში, იმ ევროპაში, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებამ ბალკანეთად გადააქცია".

შემდეგ კაშენმა პასუხი გასცა სოციალისტ-რადიკალების შეკითხვებს ადგილიდან უკრაინისა და საქართველოს შესახებ. კაშენმა მოაგონა შემკითხველებს, რა სთქვეს მათმა მეგობრებმა ინტერნაციონალიდან. იმ მეგობრებმა, რომლებმაც საქართველოში იმოგზაურეს და დაამოწმეს, რომ არასოდეს საქართველო თავისი ნაციონალურ და კულტურულ მშენებლობაში არ ყოფილა ისეთი ბედნიერი და დამოკიდებული, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს".

სოციალისტები ხმაურობით ხელს უშლიდნენ კაშენს, მაგრამ მან რენოდელის შეკითხვაზე ადგილიდან იმის შესახებ, რომ „საქართველოში სდევნიან არა მარტო სოციალისტებს, არამედ „ნაციონალ-კომუნისტებს"" მოიყვანა შემდეგი ციტატა პერსილის მოხსენებიდან:

„საქართველოს ემიგრაციის დამღუპველ მუშაობას საბჭოთა საქართველოში არავინ არ უჭერს-მხარს და არავინ თანაუგრძნობს".

„საბჭოთა კავშირი,—განაგრძო კაშენმა,—ფედერატიულად აერთიანებს ასზე მეტ ეროვნებას და წარმოადგენს ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემის გადაჭრის ერთად-ერთ მაგალითს, რომლის გარეშე მხოლოდ ძალადობა და ომია".

სოციალისტებმა კვლავ ასტეხეს ხმაურობა, როცა კაშენმა აღნიშნა, რომ სოციალისტური ფრაქციის სახელით ოფიციალურად გამოსული ფრონსარის განცხადებიდან ჩანს, რომ სოციალისტური პარტია აშკარად თანხმობას აცხადებს მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე. ამასთან კაშენმა რენოდელს პირდაპირ დაუსვა კითხვა: მთავრობაში მონაწილეობის მომხრეა თუ არა იგი? ამაზე რენოდელმა უპასუხა: „სოციალისტები მხოლოდ პალატის მემარცხენე უმრავლესობას დაუჭერენ მხარს; მათ სამწუხაროდ მიაჩნიათ, რომ, კომპარტიის ტაქტიკის წყალობით, მემარჯვენეებმა 50 მანდატით მეტი მიიღეს"-ო.

ამის საპასუხოდ კაშენმა მოაგონა რენოდელს, რომ სოციალისტებმა, კომუნისტების მანდატების გადიდების შიშით, ხმა მისცეს ახალ საარჩევნო კანონს, ისინი პასუხისმგებელნი არიან პალატის რეაქციონური ფრთის გაძლიერებისათვის. ამასთან მან აღნიშნა, რომ უშინაარსოა ოპოზიცია იმ რადიკალებისა, რომელნიც ფაქტიურად ქედს იხრიან მსხვილი კაპიტალის წინაშე; მან აღნიშნა აგრეთვე, რომ სოციალისტები სცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში და რომ კომუნისტურ პარტიას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ამას, რადგან მას სურს დაინახოს, თუ როგორ დაიწყებენ სოციალისტი მინისტრები მაროკოს ომის, გაფიცულთა წინააღმდეგ პოლიციის გამოსვლების და მთელი კაპიტალისტური რეჟიმის გამართლებას. (ადს).

რადიკალი მეიერის განცხადება

პარიზი, 11 იანვარი. ფრონსარის შემდეგ მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ შეკითხვით გამოსულმა რადიკალ-სოციალისტმა მეიერმა რადიკალური პარტიის სახელით პუანკარეს რადიკალების უღრმესი პატივისცემა გამოუცხადა.

„მიუხედავად ამისა,—სთქვა მეიერმა,—პარტიამ უნდა აღნიშნოს, რომ პუანკარეს მთავრობაში ყოველი მინისტრი თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს. რადიკალებს სურთ გაიგონ, ვისი პოლიტიკის გატარება აქვს განზრახული მთავრობას—მემარჯვენე თუ მემარცხენე ფრთების, რადგან მათი ხაზების შეთავსება შეუძლებელია. (ადს).

პუანკარე უპასუხებს შეკითხვებზე

პარიზი, 11 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება: შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს პუანკარემ გამოსთქვა გაკვირვება იმ ხმების გამო, თითქოს მან უარჰყო რადიკალების თანამშრომლობა მთავრობასთან. პუანკარე იგონებს ეროვნული თანხმობის მთავრობის მიერ მიღწეულ შედეგებს, განსაკუთრებით ფრანკის და რენტის კურსის აღდგენას.

პუანკარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მუხლები არ არღვევენ კანონს, რომლითაც ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან; პუანკარემ დაუმატა, რომ მას უმძიმს კაბინეტის რეკონსტრუქციის ჩატარება რადიკალების გარეშე, მაგრამ ბიუჯეტის მიღების აუცილებლობა, რეპარაციის საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვდა კაბინეტის შექმნის აუცილებლობას. შეიძლება ეს კაბინეტი არ არის ისეთი, როგორიც მას უნდოდა, მაგრამ იგი ისეთია, რომლის პროგრამაც ეთანხმება წინა კაბინეტის პროგრამას. ბიუჯეტის თავის დროზე დამტკიცება პუანკარეს მიაჩნია მთავრობის დამსახურებათ და აცხადებს, რომ 1930 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ეკონომიური და სოციალური ხასიათის გაუმჯობესებანი. პუანკარეს სიტყვით საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გამორკვეული იქნეს—ამ საქმეს განაგრძობს ახლანდელი კაბინეტი თუ სხვა. ამჟამად მთავრობის კრიზისი იქნებოდა სერიოზული უბედურება, მაგრამ ამ ბოროტების გამოსწორება შესაძლებელია, მაშინ, როდესაც რამოდენიმე კვირის შემდეგ მთავრობის კრიზისი გამოიწვევდა გაცილებით უფრო სერიოზულ შედეგებს (ადს).

პალატამ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს მთავრობას

პარიზი, 11 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატთა პალატამ 317 ხმის უმრავლესობით 253-ის ხმის წინააღმდეგ უარჰყო მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი, რომელიც შეიტანეს რადიკალ-სოციალისტებმა. (ადს).

გლეხთა მღელვარება იაპონიაში

ტოკიო, 11 იანვარი. გიფუს პრეფექტურაში ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარებას. მღელვარება გამოიწვია ხელისუფლების პროექტმა, რომლის მიხედვითაც მდინარე საისა და ანგრაზე უნდა აგონ კაშხალი, რასაც მოჰყვება დასამუშავებელი მიწის დიდი მოედნის დაფარვა წყლით. მოხდა შეტაკება გლეხებსა და პოლიციის შორის, რომლის დროსაც 30 კაცი დაიჭრა. მღელვარების ჩასაქრობად 3 როტა გამოიწვიეს. გაზეთების ცნობით, დააპატიმრეს 100-მდე გლეხი, რომელთაც წაქეზებას აბრალებენ. (ადს)

სამხედრო დიქტატურა მუკდენში

მუკდენმა უარი განაცხადა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე

პეკინი, 11 იანვარი. იაპონიის სააგენტო ნიპონ დემპოს ცნობით, ჩჟან სიუე-ლიანმა აცნობა იაპონიის კონსულს მუკდენში, რომ მუკდენის მთავრობა დაემორჩილა ნანკინის ნაციონალურ მთავრობას და რომ ამიტომ საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხი, მათ შორის მუკდენსა და იაპონიას შორის გადაუჭრელად დარჩენილი საკითხები, განსახილველად გადაეცემა ნაციონალურ მთავრობას. მუკდენის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის წვრილი საკითხების შესახებ. (ადს)

დაწვრილებითი ცნობები მუკდენის ამბების შესახებ

ხარბინი, 11 იანვარი. იაპონიის დეპეშათა სააგენტო ტოხო დაწვრილებით გადმოგვცემს მუკდენის ამბებს.

ჩჟან სიუე-ლიანის ჯარმა 10 იანვარს მოულოდნელად დაიჭირა არსენალი. ამავე დროს დააპატიმრეს მუკდენის ჯარის შტაბის უფროსი იან იუ-ტინი, ხეილუნცზიანის სამოქალაქო გუბერნატორი ჩან ინ-ხუაი და არსენალის უფროსის თანაშემწე ვან ჩი-ინი.

სააგენტოს გადმოცემით, ხსენებულ პირთა დაპატიმრება აიხსნება იმ უთანხმოებით, რომელიც არსებობდა მათსა და ჩჟან სიუე-ლიანის ჯგუფს შორის დროშის შეცვლის დიპლომატიურ და სამხედრო საკითხებში.

ამ პირთა გარდა, დააპატიმრეს ტელეგრაფის სააგენტოს უფროსი ჩანშენი.

სააგენტო იუწყება, რომ, პოლიტიკური წრეების აზრით, ჩჟან სიუ-ლიანის ნაბიჯები დადასტურებულ იქნა ნაციონალური მთავრობის მიერ.

მეორე ვერსიით, რომელსაც იგივე სააგენტო გადმოგვცემს, ჩჟან სიუე-ლიანმა საღამოს მთავარ შტაბში მიიწვია იან იუ-ტინი და ჩან ინ-ხუაი და მოათავსა ისინი ერთ ოთახში, რომელსაც შემდეგ ჯარისკაცები შემოერტყა. ჩჟან სიუე-ლიანის ამ განკარგულების შემდეგ იან იუ-ტინსა და ჩან ინ-ხუაის გამოუცხადეს საბრალმდებლო ოქმი, ხოლო სასტიკი დაკითხვის შემდეგ, ორივე დაპატიმრებული იმავე ოთახში დახვრიტეს.

იმ პოლიტიკურ გადატრიალებასთან დაკავშირებით, რომელიც მუკდენში მოახდინა ჩჟან სიუე-ლიანმა, სააგენტოს ცნობით, ყველა თვალსაჩინო პირი, რომელნიც იან იუ-ტინის ჯგუფს ეკუთვნიან, იმ საფრთხის გამო, რომელიც მათ მოელის, ან იაპონიის კონცესიის ტერიტორიაზე იმალებიან. ან სასწრაფოდ გარბიან დაირენის მიმართულებით. (ადს)

ჩჟან სიუ-ლიანის წინადადება მონღოლეთს

ხარბინი, 11 იანვარი. ჩჟან სიუე-ლიანმა წინადადება მისცა შიდა-მონღოლეთის თავადებს — აღმართონ გომინდანის დროშა. (ადს)

ანტი-იაპონური მოძრაობის გაძლიერება ჩინეთში

შანხაი, 11 იანვარი. ხანკოუში პოლიციელები აძლიერებენ კონცესიების დაცვას—ქუჩებში აწყობენ ბარიკადებს.

იაპონიის კონსულსა და ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარს შორის მოლაპარაკებაა. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ანტი-იაპონური აგიტაცია ხანკოუში ძლიერდება და მოსახლეობა უფრო და უფრო მტრულად უყურებს იაპონელებს.

ჩინური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის კონცესიაზე გაიფიცა 9.000 კაცი. ჩინური პრესა აღნიშნავს, რომ ანტიიაპონური ორგანიზაციები ჩინეთის ყველა კუთხიდან ფულს გზავნიან ხანკოუში გაფიცვის დახმარებლად. (ადს).

ვან ჩჟენ-ტინის განცხადება

შანხაი, 11 იანვარი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჩჟენ-ტინმა პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ „ჩინეთის სატარიფო ავტონომია ოცნება აღარ არის, იგი ნამდვილი ფაქტია"-ო.

ვან-ჩჟენ-ტინმა იმედი გამოსთქვა, რომ 1930 წლის იანვრისათვის მიღწეული იქნება შეთანხმება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები უარს განაცხადებენ ექსტერიტორიალობის უფლებაზე. შემდეგ ვან ჩჟენ-ტინმა აღნიშნა, რომ „დაუშვებელია" უცხოელთა ჯარის კვლავ დარჩენა ჩინეთის ტერიტორიაზე, რასაც ადგილი აქვს იმ ოქმის მეოხებით, რომელიც ბოქსერთა ბრძოლის დროს დადეს. (ადს).

„კომუნისტური პროპაგანდის აცილება"

ხარბინი, 11 იანვარი. პოლიციის უფროსმა ჩუნლინმა ბრძანება გასცა საღამოებსა და კონცერტებზე პოლიციის კონტროლის გაძლიერების შესახებ, ბრძანების მიზანია „კომუნისტური პროპაგანდის აცილება". პოლიციელებს ბრძანება აქვთ მიცემული, რომ პოლიციის სპეციალური რაზმები გაგზავნონ იმ კონცერტებსა და საღამოებზე, რომლებსაც საბჭოთა მოქალაქენი აწყობენ. წარმოდგენები რუსულ ენაზე აკრძალულია. გაზეთი „გუნბაო", რომლის რედაქტორადაც თეთრგვარდიელი ივანოვია, აღნიშნავს, რომ ეს ბრძანება წარმოადგენს საბჭოთა მოქალაქეების უფლების შეზღუდვას ემიგრანტების სასარგებლოდ. (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

პოლონეთის სააგენტო უარჰყოფს

ვარშავა, 11 იანვარი. როგორც პოლონეთის სააგენტო აცხადებს, მას დავალებული აქვს გადაჭრით უარჰყოს ამ ცოტა ხნის წინ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები პოლონეთის მთავრობის შემადგენლობაში მოსალოდნელ ცვლილებების შესახებ. (ადს).

ბელორუსთა გრომადის საქმე

ვარშავა, 11 იანვარი. ვილნოდან მიღებული ცნობით, ბელორუსთა გრომადის საქმის გარჩევა სააპელაციო სასამართლოში დანიშნულია 28 იანვრისათვის.

სასამართლოს დადგენილებით, საქმე გაირჩევა მოწმეებისა და ბრალდებულთა უმრავლესობის დაუსწრებლად. ბრალდებულთა დიდი ნაწილი ვილნოდან გადაყვანილია პოლონეთის სხვა საპყრობილეებში. (ადს).

ვოევოდების თათბირი

ვარშავა, 11 იანვარი. როგორც იუწყებიან, ამ დღეებში ლვოვში გაიმართა დასავლეთ უკრაინის ვოევოდების თათბირი, თათბირში მონაწილეობა მიიღო მთავრობასთან თანამშრომლობის მომხრე უპარტიო ბლოკის დეპუტატმა პოლკოვნიკმა კოცმა, თათბირზე განხილულ იქნა უკრაინული საკითხი.

აღმოსავლეთ სააგენტოს ცნობით, თათბირში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სამხედრო უწყების წარმომადგენელი. განხილული საკითხების ხასიათის გამო, თათბირმა საჭიროდ სცნო საიდუმლოდ შეინახოს თავისი დადგენილებები. თუ მხედველობაში მივიღებთ „ოსტ ექსპრეს"-ის სააგენტოს მიერ გამომჟღავნებულ ცნობებს უკრაინის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მზადების შესახებ, ვოევოდების თათბირი ლვოვში და ისიც სამხედრო უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით სპეციფიურ ხასიათს ღებულობს. (ადს).

ვინ ავრცელებს ჭორებს საბჭ. კავშირის შესახებ

ხარბინი, 11 იანვარი. იაპონური გაზეთი „ნიცი-ნიცი" კომენტარიებს უკეთებს „ზარია"-ს ცნობას იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა ნაწილის გაყიდვის შესახებ. გაზეთი ფიქრობს, რომ ამ ცნობებს ავრცელებს ოსტროუმოვი (თეთრგვარდიელი, აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზის ყოფილი მმართველი).

მდგომარეობა ავღანისტანში

ავღანისტანია ფადიშაჰის ფირმანის გამო

ქაბული, 11 იანვარი. დამატებით გვატყობინებენ ფადიშაჰ ამანულას მიერ გამოცემული ფირმანის (ბრძანების) შემდეგ პუნქტებს:

გაუქმდა სამხედრო ბეგარა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები (მოსახლეობის აღრიცხვა, ჯარში გასაწვევი მოწმობების გაცემა). ჯარში გაწვევა მომავალში მოხდება თემებს შორის განაწილების გზით. დაარსდა მუხთასიბების (კონტროლიორების) ინსტიტუტი „ზნეობისა" და შარიათის წესების დაცვისათვის თვალყურის სადევნებლად. მუხთასიბებს უფლება მიეცათ დააწესონ სასჯელი შარიათის მიხედვით. მუხთასიბები უნდა აირჩიონ ადგილობრივმა ულემებმა. გაუქმდა 1928 წლის აგვისტოში პაგმანის ჯირგის მიერ მიღებული დადგენილება. ამ დადგენილების ძალით, ავღანისტანში შემოსვლა აეკრძალა ყველა ულემს, რომელმაც სწავლა დივბენდში დაასრულა. იმ ულემებს, რომელთაც დივბენდი (უმაღლესი მუსლიმანური სასულიერო აკადემია ინდოეთში) დაუსრულებიათ, ნება ეძლევათ იცხოვრონ ავღანისტანში და იმუშაონ სხვა ულემებთან თანასწორად. გაუქმდა ბრძანება, რომლის ძალითაც მამაკაცებისათვის სავალდებულო იყო ევროპიული ტანისამოსის ტარება (ადს)

„ტაიმს"-ის ცნობა პოლკოვნიკ ლოურენსის შესახებ

ლონდონი, 12 იანვარი. „ტაიმს"-ი ლაგორიდან იუწყება, რომ იქ მირამშაჰიდან (ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინცია) ჩამოვიდა პოლკოვნიკი ლოურენსი, რომელიც ინგლისში მიემგზავრება.

„ტაიმს"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ლოურენსი კატეგორიულად უარჰყოფდა რაიმე დამოკიდებულებას ავღანისტანის ამბებთან.

„ტაიმს"-ის ცნობა აშკარად ხდის იმას, რომ ინგლის-ინდოეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება, თითქოს ლოურენსი ავღანისტანში მომხდარი ამბების წინ ხანაპირო რაიონიდან შიდა ინდოეთში გადაიყვანეს, სიცრუეს წარმოადგენს, ნამდვილად ლოურენსი უკანასკნელ დღემდე სანაპირო რაიონში იყო. (ადს).

ფადიშაჰ ამანულას დათმობა

რათა ინგლისს არ ესარგებლნა მისივე აგენტების მიერ გაღვივებული სამოქალაქო ომით ავღანისტანში და ბოლო არ მოეღო ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ავღანისტანის მთავრობას ან სასწრაფოდ უნდა გაესრისა მეამბოხეთა რეაქციონური მოძრაობა ან უნდა შეთანხმებოდა აჯანყებულ ტომებს. ამანულა-ხანმა ვერ მოახერხა რამდენიმე მძლავრი შეტევით ბოლო მოეღო მეამბოხეთათვის. ამიტომ მის წინაშე წარმოსდგა საკითხი გაჭიანურებული ომის მოსპობის შესახებ — თუნდაც დათმობის გზით.

ფადიშაჰმა ქაბულში მიიწვია მუსლიმანთა უმაღლესი სამღვდელოების (ულემების) თათბირი და, მასთან თანხმობით, გამოაქვეყნა დეკრეტი ზოგიერთი, უმთავრესად რელიგიურ-ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის, რეფორმების გაუქმების შესახებ. რადგან რეაქციონურმა სამღვდელოებამ, ფეოდალებმა და ინგლისის აგენტებმა მოახერხეს მთავრობის წინააღმდეგ ბნელი ტომების ამხედრება, ამიტომ ამანულა ხანი დასთანხმდა, რომ გადაესინჯა თავისი პროგრამა და გაეუქმებინა კერძოდ, კანონები ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ. ამნაირად ავღანისტანის კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი ევროპიზაცია რამდენიმე ხნით შეფერხდა.

მაგრამ, რასაკვირველია, რეაქციონერებისა და მათი მფარველი ინგლისისათვის ასეთი დათმობა, უნდა ვიფიქროთ, საკმაო არ იქნება. როდესაც ფეოდალური ხანები, ტომთა ბელადები და მოლები აჯანყებას აწყობდნენ, ისინი, თუმცა ისლამის დამცველების სახელით მოქმედობდნენ. მაგრამ უფრო თავიანთ მიწა-წყალზე შემოსავალზე და პრივილეგიებზე ზრუნავდნენ. ისინი სცდილობენ სავსებით აღადგინონ თავიანთი პრივილეგიები. ამიტომ ძნელია იმის თქმა, დაკმაყოფილდებიან თუ არა ისინი ფადიშაჰის დათმობით, თუმცა შესათანხმებლად ამანულა-ხანმა დაარსა რაღაც „ზედა პალატის" მსგავსი, რომლის დასტურის გარეშე ძალაში ვერ შევა ვერც ერთი კანონი.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაში მეტად მცირე მასალაა იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სრული სისწორით შეფასება ავღანისტანის მთავრობის ნაბიჯებისა. ცხადია მხოლოდ ერთი: როგორც შინაგან, ისე საგარეო პოლიტიკური სიტუაცია (იგულისხმე ინგლისის როლი). არ არის ხელსაყრელი ბრძოლის განსავრძობად. ამიტომ მიმდინარე მომენტში ყველაზე უფრო ხელსაყრელ ტაქტიკად ამანულა-ხანმა დათმობის ტაქტიკა სცნო. უკვე ერთხელ, 1924 წელს, რეაქციონური აჯანყების ზეგავლენით ფადიშაჰმა ერთი ნაბიჯი გადასდგა, უკან და ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა მას გამაგრების შემდეგ წინ გადაედგა ორი ნაბიჯი. ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელ დათმობას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს. და ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთია „პროგრესიული" ფადიშაჰის სურვილი. ავღანისტანის ევროპიზაცია აუცილებელი პირობაა ამ ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის და ავღანისტანში, მიუხედავად დროებითი მარცხისა, დღითი-დღე მაგრდებიან და მრავლდებიან ის ელემენტები, რომელთაც ეს ჭეშმარიტება მტკიცედ შეითვისეს.

„პრავდა"-ს მიმოხილვა, 12 იანვარი.

ბორასა და ნორისის გარშემო შექმნილ სიყალბის გამოკვლევა

ვაშინგტონი, 11 იანვარი, როგორც იუწყებიან, სენატორმა ბორამ გამოსთქვა სურვილი, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობამ დაიხმაროს საბჭოთა კავშირის მთავრობა ამ სიყალბის გამოკვლევაში, რომელიც მიზნათ ისახავს დაამტკიცოს, ვითომ სენატორებმა ბორამ და ნორისმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლისაგან (პარიზში) მიიღეს თითომ 100.000 დოლარი საბჭოთა კავშირის ცნობისათვის ნიადაგის მოსამზადებელ კამპანიის საწარმოებლად.

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ მას ბორასაგან არ მიუღია არავითარი შუამდგომლობა. თუ ბორა ასეთ შუამდგომლობას აღძრავს, სახელმწიფო დეპარტამენტი მიმართავს საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც შეუძლია იშუამავლოს საბჭოთა კავშირთან მოსალაპარაკებლად. (ადს).

ვაშინგტონი, 11 იანვარი. ბორას ირგვლივ შექმნილი სიყალბის გამოსაკვლევად დანიშნულ სენატის კომისიის საიდუმლო სხდომაზე ბორამ მოითხოვა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის მთავრობამ მიმართოს საბჭოთა კავშირის მთავრობას თხოვნით—სიყალბის წყარო გამოკვლეულ იქნეს შეთანხმებით.

კომისიის განკარგულებაში არის ყალბი საბუთი, რომელზედაც ხელი ძალიან მოხერხებულად არის მოწერილი. ეს საბუთი ვითომ წარმოადგენს იმ დოკუმენტის ასლს, რომელიც აქვს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას პარიზში ან რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განკარგულებაშია.

მე ვფიქრობ,—განაცხადა ბორამ, — რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ვალდებულია გამოარკვიოს ეს საქმე. მჯერა, რომ ამ საქმის გამორკვევა შესაძლებელია. (ადს).

ამხ. რუძუტაკის დანიშვნა

მოსკოვი 12 იანვარი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებულად გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად დანიშნა ამხ. რუძუტაკი, ხოლო მის თანაშემწეთ—ამხ. კუბიაკი. (ადს).

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად

მოსკოვი, 12 იანვარი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან ერთად განიხილა საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიის მოხსენება გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ. განიხილა აგრეთვე ამ კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო ფინანსების მიწოდების საკითხები. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ ამინდის არახელსაყრელი პირობების გამო 1928 წელს შემოდგომის თესვის კამპანიაში კავშირის მრავალ ადგილას ვერ შესრულდა ნათესის სივრცის გაფართოების გეგმა. ეს დანაკლისი შევსებულ უნდა იქნეს გაზაფხულის კამპანიაში, ამასთან გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ საშემოდგომო მარცვლეული კულტურების სივრცის შემდგომი გაფართოებისათვის. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო, იღებს რა მხედველობაში დირექტივებს ნათესის სივრცის 7 პროც-ით გაფართოებისა, ხოლო მოსავლიანობის 3 პროც-ით გადიდების შესახებ, ავალებს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობას — 1929 წლის გაზაფხულის კამპანიაში უზრუნველჰყოს, რომ მარცვლეული კულტურებით დაითესოს 48 მილიონი ჰექტარი. აქედან საბჭოთა მეურნეობებში—420.000 ჰექტარი და კოლმეურნეობებში — 1.300.000 ჰექტარი უკრაინის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის მთავრობას მიეცა დირექტივა — მარცვლეული კულტურებით დათესოს 12 მილიონი ჰექტარი, აქედან საბჭოთა მეურნეობებში—170.000 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეობებში 160.000 ჰექტარი. დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს დაევალათ გამოარკვიონ მარცვლეული ნათესის გადიდების რაოდენობა გაზაფხულის თესვის კამპანიაში და ამის შესახებ აცნობონ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 20 იანვრამდე.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მარცვლეული კულტურების ნათესის სივრცე აღდგენილ იქნეს იმ რაიონებში, სადაც 1928 წელს შემოდგომის ნათესი დაილუპა. ამავე დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ხორბალის საგაზაფხულო ნათესის გასაფართოებლად სამხრეთ რაიონებში და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში. ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის თესლის სესხად დასარიგებლად საკავშირო სახკომსაბჭომ გადასდო 245,8 ათასი ტონა მარცვლეული. ამ რაოდენობიდან რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობისათვის დანიშნულია 93,3 ათასი ტონა და უკრაინის ს. ს. რ. მთავრობისათვის 147,6 ათასი ტონა. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა სასწრაფოდ დააწესოს სათესლე მასალის რაიონებისათვის დაგზავნის წესი და ვადები. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა პურის დამამზადებლებს უნდა მისცეს დირექტივა იმის შესახებ, რომ დაუშვებელია სათესლე მასალის ჩაბარება და დაგზავნა მოკავშირე რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახ. კომისარიატების მიერ დაწესებულ კონდიციებზე ნაკლები რაოდენობით. პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული ისინი, რომლებიც დაარღვევენ ამ წესებს. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა, გამოსცეს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს წმინდა ხორბლის და გაუმჯობესებული თესლის გადაცვლა მარცვლეულზე წისქვილებში, ელევატორებში და მისაღებ პუნქტებში. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს — უზრუნველჰყონ სათესლე მასალის გაწმენდა შემდეგი რაოდენობით: რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში საშუალოდ არა ნაკლებ 30 პროც-ისა, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაში არა ნაკლებ 60 პროც-ისა და ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში არა ნაკლებ 50 პროც-ისა.

მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებმა უნდა მოაგვარონ იმ ტრიერებისა და მარცვლეულის საწმენდი სხვა მანქანების სათანადოდ გამოყენება, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ამ მიზნით, 2 მახლობელი თვის განმავლობაში დასახელებულ უნდა იქნან ის რაიონები, სადაც იმუშავებენ მარცვლეულის გამწმენდი მანქანები. საადგილ-მამულო ორგანოებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის (რომელსაც მოეპოვებათ მარცვლეულის საწმენდი მანქანები), უნდა დაიდოს განსაკუთრებული შეთანხმება, რომელიც უზრუნველჰყოფს მანქანების თავის დროზე გამოყენებას.

მარცვლეულის გაწმენდასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის სახკომსაბჭომ გადასდო 1.750.000 მანეთი, აქედან 250.000 მანეთი ტრიერების საუკეთესო მუშაობისათვის პრემიების მისაცემად.

მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გამქირავებელმა პუნქტებმა უკეთ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. კერძოდ, მიღებულ უნდა იქნას ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ტრაქტორების სავსებით გამოყენებას, აგრეთვე ზომები მავნებლებთან ბრძოლისათვის. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სავსებით უნდა იქნან უზრუნველყოფილნი იმ საშუალებებით, რომლებიც საჭიროა მავნებლებთან საბრძოლველად. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან ღონისძიებანი მომავალი თესვის კამპანიის ჩასატარებლად. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ფინსახკომს — გაითვალისწინოს მეორე კვარტალში ამისათვის საჭირო ხარჯები 59,8 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 29 მილიონი [illegible] უნდა იქნას ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის კაპიტალის შესავსებად, 4 მილიონი მანეთი — გვალვასთან საბრძოლველად, 10,8 მილიონი მანეთი — მოუსავლიანობასთან საბრძოლველად უკრაინაში და 16 მილიონი მანეთი — სხვა ღონისძიებათა გასატარებლად გაზაფხულის თესვის კამპანიაში.

თესვის კამპანიის ღონისძიებათა განსახორციელებლად მესამე კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებულ უნდა იქნას 6.350.000 მანეთი. ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიეცა დირექტივა, მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო მიზნით ფინანსების მისაწოდებლად გასცეს არა ნაკლებ 88,8 მილიონი მანეთისა. აქედან მანქანების მისაწოდებლად — 59 მილიონი მანეთი, ტრაქტორების მისაწოდებლად 8,5 მილიონი მანეთი. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს — უზრუნველჰყონ იმ მთავარ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საბჭოთა კავშირის დადგენილებასთან მოსავლიანობის გადიდების ზომების შესახებ. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსების გაცემას მუშა საქონლის, მინერალური სასუქის და თესლის მისაწოდებლად. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ფინანსების მიცემას თესლის გასაწმენდად, ბალახის დასათესად და მავნებლებთან საბრძოლველად (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მარცვლეული კულტურის განვითარებისათვის ამ.-კავკასიაში

მოსკოვი, 12 იანვარი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებისათვის, ამიერ-კავკასიას მიეცეს 40 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს აგრეთვე სათეს მარცვლეულის შერჩევას.

ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი, მთავრობის მიერ გადაცემულ თანხის გარდა, მისცემს ამიერ-კავკასიას სესხად მარცვლეული მეურნეობათა განვითარებისათვის 3,4 მილიონ მანეთს.

ჩაის მეურნეობა საქართველოში

მოსკოვი, 12 იანვარი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ სამმართველოს სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფესორ პალიბინის ვრცელი მოხსენება ჩაის კულტურის განვითარების პერსპექტივების შესახებ საქართველოში.

მოხსენების გარშემო, მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად 1934 წელს ჩაის პლანტაციის მოედანთა საერთო სივრცე მთელ საქართველოში, აჭარისტანისა და აფხაზეთის ჩართვით, უნდა შეადგენდეს 46 ათას ჰექტარს.

კრებამ ამასთანავე დაადგინა, რომ რადგან ჩაის მოთხოვნილება ბაზარზე მეტად გაიზარდა და სახელმწიფო იძულებულია საიმპორტო ჩაიზე გაიღოს უცხოეთის ვალიუტა, საკითხი საკუთარი ჩაის კულტურის განვითარების შესახებ ცნობილ იქნას განსაკუთრებულად აქტიურ ამოცანად.

კურსები მეურნეობათა მშენებლობის საკითხებზე.

მოსკოვი, 12 იანვარი. კოლექტიურ მეურნეობათა სრულიად საკავშირო ცენტრმა დაამტკიცა გეგმა კურსების მოწყობის შესახებ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საკითხებზე. გეგმის თანახმად სულ მთელ საბჭოთა კავშირში უნდა მოეწყოს 127 კურსი, მათ შორის 10 იქნება საოლქო კურსი.

მემარჯვენე გადახრის ოპორტიუნისტული სახე

2. კლასიური ბრძოლის საკითხები პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში.*)

მემარჯვენე ელემენტებს თავისებურათ ესმით არა მარტო გლეხობასთან კავშირის საკითხი, არამედ კლასიური ბრძოლის საკითხებიც. მათი შეხედულება ამ საკითხებზე, რომელიც არსებითად კლასიური ბრძოლის უარყოფას მოასწავებს ბოლშევიკური პარტიისათვის მიუღებელია. პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში კლასიური ბრძოლის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა სახელმწიფოს და მის ხელმძღვანელ პარტიისათვის ის წარმოადგენს საფუძველს მთელი შემოქმედებითი მუშაობისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. ჩვენი პარტიის მუშაობა უნაყოფო იქნებოდა, თუ მას საფუძვლად არ დაედებოდა კლასიურ ძალთა განწყობილების კონკრეტიული ანალიზი, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა კლასიური ბრძოლა შედარებით გამწვავებულ ხასიათს ღებულობს. რამდენიც არ უნდა ეცადონ მემარჯვენეებმა გვერდი აუარონ კლასიურ ბრძოლის არსებობას და მისი გამწვავების ფაქტებს, სინამდვილე მაინც ბევრ მათგანს, რომელთაც საბოლოოდ არ დაუკარგავთ მისი გაგების მარქსისტული უნარი, აიძულებს ანგარიში გაუწიონ ამ ბრძოლის ფაქტებს.

კლასიური ბრძოლის გამწვავების დამახასიათებელ მოვლენათ, რომლის მიზეზებს ჩვენ ქვემოთ შევეხებით, უნდა ჩაითვალოს ის პროცესები, რომლებსაც დღეს ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს. პირველ ყოვლისა მთავარ ნიშანს კლასიურ ბრძოლის გამწვავებისა წარმოადგენს, გასულ წელში კულაკების პირველი სერიოზული ცდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისადმი აქტიურ წინააღმდეგობის გაწევისა პურის დამზადების საქმეში. გასულ წელს იმ კლასიური მომენტების გარდა, რომლებმაც თავი იჩინა პურის დამზადების დროს, სოფლად დღესაც ჩვენ საქმე გვაქვს კულაკების აქტივობასთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის საუკეთესო გამოხატულებას მუშ. გლეხ. კორესპონდენტებზე და ღარიბ გლეხობაზე თავდასხმის შემთხვევები წარმოადგენს. კლასიური ბრძოლის გამწვავების გამოხატულებას შეიცავს აგრეთვე შახტის ცნობილი საქმე, რომლის ლიკვიდაცია კიდევ არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ადგილი არ ქონდეს ან არ ექნება შახტის საქმის მგზავს მოვლენებს ამა თუ იმ სახით, სიძლიერით თუ ფორმით. ყველა ეს ფაქტები კლასიური ბრძოლის გამწვავების საუკეთესო დამამტკიცებელნი არიან. მიუხედავათ მათი სიცხადისა, ადგილი აქვს მათ მემარჯვენეების მხრივ, მიჩქმალვას და ამგვარად თვით კლასიური ბრძოლის არსებობისათვის ანგარიშის არ გაწევას.

კლასიური ბრძოლის თეორეტიული და პრაქტიკული გაგება მემარჯვენე ელემენტების მხრივ მოკლებულია რევოლიუციონურ შინაარს, რის გამო ის წარმოადგენს ლენინის სწავლის ოპორტიუნისტულ დამახინჯებას ამავე საკითხის შესახებ. როგორ დებულებაში შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს მემარჯვენე ელემენტების შეხედულება კლასიურ ბრძოლის საკითხებზე? ამ მხრივ ამომწურავ პასუხს იძლევა ამხ. სტალინი, თავის სიტყვაში გასული წლის აპრილის ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ. „... არის ხალხი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს არა ბრძოლის გაგრძელებას კაპიტალისტურ ელემენტებთან, მათ შორის კულაკობასთან, მათი დაძლევის მიზნით, არამედ ბრძოლის შეწყვეტას კულაკობასთან და სხვა კაპიტალისტურ ელემენტებთან". ამ შემთხვევაში მემარჯვენე ელემენტები გამოდიან იმ შეხედულებიდან, რომ ჩვენ კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალი ხანის გავლით თანდათანობით უახლოვდებით უკლასო საზოგადოებას, მაგრამ ეს თავის თავად სწორი მარქსისტული დებულება კარგავს თავის რეალურ მნიშვნელობას და ხდება განყენებულ ცნებათ, როდესაც ის ცილდება ყოველდღიურ ცხოვრების ფარგალს. მემარჯვენე ელემენტები ფიქრობენ, რომ რაკი ახალი ეკონომიური პოლიტიკა უზრუნველჰყოფს სოციალისტურ მშენებლობის წარმატებით მსვლელობას და მაშასადამე იძლევა რეალურ შესაძლებლობას უკლასო საზოგადოებისაკენ წინ სვლისათვის, კლასიური ბრძოლა ამ გარდამავალ პროცესთან დაკავშირებით არ უნდა მწვავდებოდეს და ღრმავდებოდეს, არამედ პირიქით ის უნდა სუსტდებოდეს და კარგავდეს თავის მნიშვნელობას. მხოლოდ თუ ჩვენში მაინც ადგილი აქვს კლასიურ ბრძოლის გამწვავებას, ამ ფაქტს მემარჯვენე ელემენტები ხსნიან თითქოს შემცდარი პოლიტიკური ხაზით.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მემარჯვენე ელემენტების აღშფოთებას არა აქვს საზღვარი, როდესაც პარტია მიუთითებს ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ. როგორ, გვეკითხებიან ისინი, ღონისძიებანი მიმართულნი კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ ხომ გამოიწვევს ურთიერთობის გამწვავებას კლასებს შორის, რაც მათი აზრით ეწინააღმდეგება ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ან უკეთ რომ ვსთქვათ საერთოდ გარდამავალ ხანის ბუნებას, რომელიც თითქოს ზედმეტად ხდის თვით კლასიურ ბრძოლას. ასეთია დაახლოვებით მემარჯვენე ელემენტების შეხედულებები ამ საკითხზე, რომლებიც შეიძლება უარყოფილი იქნენ, როგორც არა სწორი შეხედულებანი, ჩვენი სინამდვილის შესახებ.

მემარჯვენე ელემენტების აღნიშნული დებულება კლასიურ ბრძოლის შესახებ შედეგია კლასთა ურთიერთობის და გარდამავალ ეპოქის ეკონომიკის არა სწორი გაგებისა. ისინი ივიწყებენ იმ გარემოებას, **რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატებითი მსვლელობა ახალ ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე კლასიურ ბრძოლის გამწვავებას იწვევს და არა მის შენელებას.** ეს ადვილი გასაგებია თუ მხედველობაში გვექნება არა მხოლოდ ფორმალური დებულება იმის შესახებ, რომ ჩვენ მივისწრაფვით უკლასო საზოგადოებისაკენ, არამედ თვით კლასების არსებობის ფაქტი და ის მოვლენა, რომ სოციალისტურ მშენებლობის წარმატებითი მსვლელობის გამო სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური სექტორის მატარებელი კლასები შევიწროვებულნი რჩებიან. კლასიური ბრძოლის გამწვავება შემცდარი პოლიტიკის „შედეგი" კი არ არის, არამედ სწორი პარტიული პოლიტიკის, რამდენადაც ეს პოლიტიკა უზრუნველჰყოფს მუშათა კლასის გეგემონიას ჩვენს ქვეყანაში, რის პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს თვით სოციალისტური მშენებლობა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერება. მხოლოდ კლასების მოსპობის რეალურ პროცესის საფუძველზე აქვს თავისი მნიშვნელობა იმ ცნობილ მარქსისტულ დებულებას, რომ გარდამავალი ხანის გავლით ჩვენ მივდივართ უკლასო საზოგადოების დამყარებისაკენ. მემარჯვენე ელემენტები ამ მუხლშიც ამახინჯებენ ლენინის მოძღვრებას.

კლასიური ბრძოლის **შედარებითი გამწვავება** უკანასკნელ ხანში მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერებასთან ერთად ე. ი. ჩვენი შეტევით კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ სიმართლეთ არ მიაჩნიათ, როგორც მემარჯვენეებს ისე „მემარცხენეებსაც". მემარჯვენეები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ კლასების არსებობას ჩვენში, კლასიურ ბრძოლის გამწვავებას ხსნიან, როგორც დავინახეთ თითქოს არა სწორი პოლიტიკით. ინტერესს მოკლებული არ იქნება შევეხოთ იმას, თუ როგორ ესმით ეს საკითხი „მემარცხენეებს". ჩვენ გავიგებთ რომ ეს უკანასკნელნი მემარჯვენეებთან ერთად არსებითად **ერთ** წერტილში სცემენ. ტროცკისტები ირწმუნებიან, რომ კლასიური ბრძოლის გამწვავება ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში, შედეგია სოციალისტური ფრონტის შესუსტების და კაპიტალისტურის გაძლიერების, რაც მათი აზრით უნდა მიეწეროს შემცდარ პოლიტიკურ ხაზს. მაშასადამე — ასე ფიქრობენ ისინი მემარჯვენეებთან ერთად — უნდა შეიცვალოს პარტიული პოლიტიკის არსებული კურსი. აქ მათ შორის სრული თანხმობაა და ეს თანხმობა ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ როგორც „მემარცხენე" ისე მემარჯვენე გადახრის საფუძველს წვრილ-ბურჟუაზიული არე წარმოადგენს, რის გამო **მათ შორის უფრო მეტია საერთო ვიდრე განსხვავება.** მაგრამ ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს კლასიური ბრძოლის მიზეზს წარმოადგენდეს ჩვენი სისუსტე და კაპიტალისტური ელემენტების სიძლიერე, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ეს რომ ასე ყოფილიყო ე. ი. ჩვენი პარტიული პოლიტიკა რომ ხელს უწყობდეს კაპიტალისტური ძალების გაძლიერებას და სოციალისტურის კი შესუსტებას, მაშინ ისმება საკითხი, რატომ უნდა გვებრძოდენ ჩვენ კაპიტალისტური ელემენტები. რატომ მაგალითად კულაკი თავს ესხმის სოფლად გლეხკორს, როდესაც ის წინასწარ დარწმუნებულია იმაში, რომ არა თუ ერთი ან ორის, არამედ გლეხკორების მასიური მოსპობაც რომ შეეძლოს, ამითი სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას მაინც ვერ დაიბრუნებს. მაგრამ, თუ, მიუხედავათ ასეთი შეგნებისა, კულაკობა მაინც ხელს არ იღებს ინდივიდუალურ გამოსვლებზე, ერთგვარ ტერორისტული აქტების სახით, ეს ამტკიცებს არა მათ გაძლიერებას, არამედ შედარებით შევიწროვებას სოციალისტურ სექტორის გაძლიერებით. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ კულაკობის ამგვარ აქტივობას ადგილი უნდა ჰქონოდა უფრო ადრე, მაშინ, როდესაც საქმე გვქონდა მხოლოდ დანგრეულ მეურნეობის აღდგენის პროცესთან და არა მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდთან. ყოველივე ამის გაგება მიუწდომელი ხდება ტროცკისტულ განყენებულ თავებისათვის, რომლებიც მეტ ანგარიშს უწევენ მყვირალა ფრაზებს, ვიდრე ცოცხალ ფაქტებს ჩვენს ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებიდან. ამრიგად, **კლასიური ბრძოლის გამწვავება მაჩვენებელია არა ჩვენი შესუსტების, არამედ გაძლიერების, სწორ პარტიულ პოლიტიკურ ხაზის საფუძველზე, რომლის მნიშვნელობა არ ესმით, როგორც „მემარცხენეებს" ისე მემარჯვენეებს.**

მემარჯვენეებს არ ესმით ან არ უნდათ გაიგონ პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ამოცანები ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ. თუ მათ შეხედულებებს გავყვებით დავინახავთ, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ლენინიზმს, რომელიც კლასიური ბრძოლის ამოცანებს არ საზღვრავს ძალა-უფლების დაპყრობით პროლეტარიატის მიერ, არამედ სთვლის მას მხოლოდ პირველმნიშვნელოვან ნაბიჯად კლასების მოსპობის გზაზე. „რომ მოვსპოთ კლასები—სწერდა ლენინი—საჭიროა, პირველ ყოვლისა, ჩამოვაგდოთ მემამულეები და კაპიტალისტები. ამოცანის ეს ნაწილი ჩვენ შევასრულეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია და ამავე დროს არა ყველაზე უფრო ძნელი. რომ მოვსპოთ კლასები საჭიროა, მეორეთ, მოსპობილ იქნეს განსხვავება მუშასა და გლეხს შორის, რომ ყველანი მომუშავეებათ (работниками) გახდეს. ეს ამოცანები გაცილებით უფრო მეტად ძნელია და ხანგრძლივი" (ტ. XVI, 351). ვიდრე არ იქნება განხორციელებული კლასიური ბრძოლის ეს მეორე ამოცანა, შეუძლებელია ადგილი არ ექნეს კლასიურ ბრძოლას და ზოგჯერ მის გამწვავებას, რადგან მისი განხორციელების პირობათ ითვლება ძველი ეკონომიკის სრული გარდაქმნა სოციალისტურ მეურნეობის ნიადაგზე. მხოლოდ ეს გარდაქმნის პროცესი აუცილებლად ხდის კლასიურ ბრძოლას. ძველ ეკონომიკის საფუძველზე აღმოცენებულ კლასებს და ჯგუფებს, რომლებიც ჩვენში არსებობენ, რამდენადაც სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის გვერდით, როგორც მრეწველობაში ისე სასოფლო მეურნეობაში, არსებობენ კიდევ სხვა ფენები, რომელთა ნათელსაყოფად საკმაო იქნება გავიხსენოთ ლენინის სწავლა ჩვენი ეკონომიკის ხუთ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილის შესახებ, არ შეუძლიათ დარჩენ პასიურნი ამ პროცესისადმი. ეს ანბანურ ჭეშმარიტებათ ითვლებოდა და ითვლება დღესაც ნამდვილ მარქსისტებისათვის. ამიტომ **გაუგებარია მემარჯვენე ელემენტების გაკვირვება იმ გარემოებით, რომ ჩვენში ადგილი აქვს კლასიურ ბრძოლას და ზოგჯერ მის გამწვავებას, რამდენადაც არ უნდა გვქონდეს ჩვენ ამის სურვილი.**

აღნიშნულ საკითხში მემარჯვენეების შეცდომის ერთ-ერთი სათავე ამხ. სტალინის სამართლიანი აღნიშვნით მდგომარეობს იმაში, რომ მათ „არ ესმით კლასიური ბრძოლის მექანიკა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რისთვისაც ისინი ადვილად მიდიან დათმობებზე, კაპიტალიზმის მიმართ". (სიტყვა წარმოთქმული მოსკოვის კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე). კლასიური ბრძოლის მექანიკის, მისი ფორმების არ ცოდნა მემარჯვენეების მიერ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ ცვლილებებს კლასების ურთი-ერთ დამოკიდებულებაში, რომლებიც შეაქვს მასში პროლეტარიატის დიქტატურას. აქედან კი აკეთებენ შემცდარ დასკვნებს კლასიურ ბრძოლის შესუსტების გარდამავალ ხანაში. სინამდვილეში კი ჩვენ საქმე გვაქვს კლასების არსებობის მხოლოდ ადგილის შეცვლასთან, რაც არავითარ შემთხვევაში არ უარჰყოფს მოწინააღმდეგე კლასების არსებობას და მათ ურთიერთ ბრძოლას. პროლეტარიატი, მისი კლასიური დიქტატურის განხორციელების გზით დამონავებულ კლასიდან შეიქმნა გაბატონებული კლასი, აქედან გამომდინარე ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები, რომლებსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება ვერც ძველი კაპიტალისტური კლასები, ვერც ახალი ბურჟუაზია. მუშათა კლასი აწარმოებს ძველი საზოგადოების სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნას და მაშასადამე თანდათანობით უსპობს კაპიტალისტურ კლასებს არსებობის სოციალურ-ეკონომიურ ბაზას, თანდათანობით ამზადებს საერთოდ პირობებს კლასების მოსპობისათვის. ყოველივე ეს ხდება კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ ეპოქის გასწვრივ, მაგრამ მემარჯვენე ელემენტებს მაინც არ უნდათ გაიგონ ის რომ სწორედ **ამისათვის პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს კლასიურ ბრძოლის არა ჩვეულებრივ, არამედ მის უაღრესად განვითარებულ და მკაცრ ფორმას,** რამდენადაც მისი არსებობის განმავლობაში კლასების ურთიერთ დამოკიდებულება უფრო მეტად მწვავდება, კლასიური ბრძოლა უფრო გაფართოებულ ხასიათს ღებულობს. ასეთია ლენინის სწავლა ამ საკითხზე. **არავითარი საერთო არ შეუძლია ჰქონდეს მასთან მემარჯვენე ელემენტების ლაყბობას კლასების თანხმობისა და კლასიურ ბრძოლის შესუსტების შესახებ გარდამავალ ხანაში.** ლენინიზმის ამ დებულების სიმართლეს მოწმობს კლასიური ურთიერთობა დღეს ჩვენში, რომელიც შეუძლებელია გაგებული იქნეს, როგორც შესუსტება კლასიური ბრძოლის.

მუშათა კლასის და გლეხობის ღარიბ ფენების კლასიურ ბრძოლას, საშუალო გლეხობასთან კავშირში, ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია, რომელიც კლასიურ ძალთა განწყობილების კონკრეტიულ ანალიზის საფუძველზე სახავს გამარჯვების გზებს. მემარჯვენე ელემენტები გვერდს უვლიან კლასიურ ძალთა განწყობილების ნამდვილ ვითარებას და ნებსით თუ უნებლიეთ იძლევიან მის დამახინჯებულ სურათს. ეს არსებითად ერთი მხრივ გულისხმობს კაპიტალისტურ ძალების იმგვარ შეფასებას, რომელიც თითქოს საფრთხეს არ წარმოადგენდეს პროლეტარიატის დიქტატურის არსებობისათვის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მემარჯვენეების მხრივ ადგილი აქვს კლასიურ მტრების ძალთა სიძლიერის დაუფასებლობას, მხოლოდ მეორე მხრივ კი პროცესების უარყოფას, რომლებსაც ადგილი აქვს გლეხობაში და ნაწილობრივად მუშათა კლასში, მასში ახალ ფენების გადასვლის ნიადაგზე. როგორია კლასიურ ძალთა განწყობილების ნამდვილი სურათი ჩვენში?

მუშათა კლასი ჩვენში გაბატონებულ კლასს წარმოადგენს, რომელიც აწარმოებს და ხელმძღვანელობს სოციალისტურ მშენებლობას. ამ მუშაობის პროცესში ის ახალ ორგანიზატორულ გამოცდილებათა ნიადაგზე მიღებულ ცოდნით ვითარდება არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ კულტურულადაც, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის, როგორც ახალი ცხოვრების შემქმნელი კლასისათვის. სოციალ-გამცემლები მეორე ინტერნაციონალიდან დღესაც ფიქრობენ, რომ მუშათა კლასი ვერ შესძლებს საჭირო ცოდნის და გამოცდილების მიღებას, რის შედეგათ მათი დამარცხება უნდა მოხდეს. მაგრამ როგორც მაშინ— ძალა-უფლების აღების დროს, ეხლაც ოპორტიუნისტები ივიწყებენ იმას, რომ მუშათა კლასი სოციალისტურ მშენებლობის პროცესში ღებულობს შესაფერ ცოდნას და გამოცდილებას. მუშათა კლასი თვისობრივ ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე რიცხვობრივადაც. პარალელურად სოციალისტური მშენებლობის წარმატებით მსვლელობისა. ამიტომ ჩვენთვის შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს საკითხის მეორე მხარე, რაც მემარჯვენე ელემენტებს არ უნდათ შეითვისონ და ანგარიში გაუწიონ მას. მუშათა კლასის რიცხვობრივი ზრდა მიმდინარეობს მისი ახალი კადრების შევსების ხარჯზე, რომლებსაც არ შეუძლიათ თან არ მოიტანონ იმ საზოგადოებრივ წრის სულის კვეთება, საიდანაც ისინი გამოვიდენ, განსაკუთრებით კი გლეხური განწყობილება. რადგან მუშათა კლასის რიგები უმთავრესად ივსება მშრომელი გლეხობიდან. გარდა ამისა, შეუძლებელია არ იქნას მიღებული მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ჩვენს პირობებში მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებს კავშირი აქვთ სოფელთან, რასაც არ შეუძლია შესაფერი გავლენა არ მოახდინოს მუშათა კლასის ფსიქოლოგიაზე. თუ ყოველივე ამას მიუმატებთ იმას, რომ მუშათა კლასს, რაკი ის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული კლასია ჩვენს ქვეყანაში, ეტმასნება სოციალურად სრულებით უცხო ელემენტები, დავინახავთ, რომ მისი თვისობრივი და რიცხვობრივი ზრდა კიდევ არ გულისხმობს ამ კლასზე წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის გავლენის საფრთხის არ არსებობას. პარტია დაუშვებდა შეცდომას იმ შემთხვევაში თუ ის ნაცვლად ამ საფრთხის გამოაშკარავებისა, მისი დაძლევის მიზნით, შეეცდებოდა ხელი დაეფარებია მისთვის, როგორც ამას სჩადიან მემარჯვენე ელემენტები. წვრილი ბურჟუაზიული სტიქიის გავლენის საშიშროების დღის სინათლეზე გამოტანა, მისი არსებობის მიზეზების აღნიშვნით და დაძლევით წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პირობას პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებისათვის. ამ საშიშროების მიჩქმალვას შეუძლია სამსახური გაუწიოს მხოლოდ ჩვენს კლასიურ მტრებს. მიუხედავათ ამისა ამხ. უგლანოვმა დაუშვა უაღრესად დიდი შეცდომა, როდესაც მან მოსკოვის კომიტეტის გასული წლის სექტემ-

---

*) დასასრული. (იხ. „კომუნისტი" № 7).

მუშკორზე თავდამსხმელთა გასამართლება

ბრალდებულთა სკამზე სხედან: მუშკორზე თავდამსხმელი ორი ბანდიტი და ერთიც მათი დამხმარე, რომლებიც ცდილობენ დაუმტკიცონ სასამართლოს, რომ ისინი უთვინიერესი ხალხია. ამ შავი ყორნების გათეთრებას ცდილობენ ვექილები: ჯაფარიძე, ბარათაშვილი და ამირალოვი. ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენად შესძლებენ ყველა ისინი ამ უძნელესი ამოცანის გადაჭრას.

მუშკორ ვაჩეიშვილმა განაცხადა: მე თავს დამესხენ. თავდამსხმელები დაპატიმრებული იქნენ და დღეს ბრალდებულის სკამზე სხედან „კომუნისტი"-ს რედაქციის შუამდგომლობით. გაზეთის ასეთმა დახმარებამ მე ზნეობრივად გამამაგრა და დარწმუნებულს იმაში, რომ ჩვენ, მუშკორებს, დამცველები გვყავს, იმედი ჩამინერგა მომავალი მუშაობისთვის მუშკორის პოსტზე. რედაქციის ასეთი დახმარების გარეშე მე, სასოწარკვეთილი, იძულებული შევიქნებოდი, ხელი ამეღო ჩემს საზოგადოებრივ მუშაობაზე.

პროცესის მეორე დღე

სხდომა იხსნება მელითონეთა კლუბში საღამოს 8 საათზე და 20 წუთზე. კლუბის ვეებერთელა დარბაზი ხალხს ვერ იტევს. პროცესზე დასასწრებლად მოსულთა დიდი ნაწილი გარედ არის.

იწყება ბრალდებულთა დაკითხვა. ბრალდებულები: ი. ბრეგაძე და ი. ლეიბმანი გაჰყავთ დარბაზიდან, რადგან ბრალდებულთა დაკითხვა ბრალმდებელთა შუამდგომლობის თანახმად ცალ-ცალკე უნდა მოხდეს. საბრალდებლო სკამზე რჩება მარტო არქიპო ბახტაძე.

ბრალდებულ ა. ბახტაძის დაკითხვა

ბრალდებული ბახტაძე თავმჯდომარის შეკითხვის საპასუხოდ აცხადებს, რომ საქმეზე დაწვრილებით ლაპარაკი არ სურს, ურჩევნია შეკითხვებს გასცეს პასუხი.

ბახტაძის წარსული

ბახტაძე სასამართლოშიაც იმეორებს, რომ თვით 1918 წლიდან ე. ი. კომკავშირის ორგანიზაციების ჩამოყალიბების დღიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კომკავშირის არალეგალურ მუშაობაში, რომ 1918 წ. იგი არჩეულ იქნა ხონის კომკავშირის ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრად, ხოლო მას შემდეგ ასრულებდა კომკავშირის სხვადასხვა უჯრედების პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობას.

თავმჯდომარის შეკითხვა: თუ თქვენ 1918 წლიდან კომკავშირის ორგანიზაციაში ასე „აქტიურად" მუშაობდით, რატომ აქამდე პარტიაში არ გადაგრიცხეს?

ბახტაძე: იყო მიზეზები (სახელდობრ რა მიზეზები იყო, ბახტაძე არ ასახელებს).

თავმჯდომარის შეკითხვა: სანამ ა.-კ. საკონტროლო კომისიაში მოეწყობოდით, მანამდე სად მსახურობდით?

ბრ. ბახტაძე: რკინის გზის პოლიტსამმართველოში.

თავმჯდომარე: დაგითხოვეს, თუ თქვენ დაანებეთ თავი. და თუ დაგითხოვეს, რისთვის?

ბახტაძე: უფროსთან მომივიდა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მან თბილისიდან მცხეთაში გადამიყვანა სამუშაოდ.

საზოგადოებრივი ბრალდებული ამხ. აქ. ჭუღონია შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ ბახტაძის დათხოვნის ნამდვილი მიზეზის ნათელსაყოფად გამოქვეყნებულ იქნეს რკინის გზის პოლიტსამმართველოს ოფიციალური ცნობა ამხ. ეჟიბიას ხელმოწერით დადასტურებული.

სასამართლოს თავმჯდომარე კითხულობს საქმეში დართულ საბუთს, სადაც ნათქვამია, რომ „ბახტაძე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან **მოქალაქეებისადმი უდიერი მოპყრობისათვის**".

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ბახტაძეს ის-ღა რჩება სათქმელად, თითქოს ყველაფერი ეს მოჭორა მასზე გადამტერებულმა უფროსმა.

თავმჯდომარე: პასუხისგებაში თუ ყოფილხართ მიცემული, და, თუ ყავით, რისთვის?

ბახტაძე: ვიყავი 1927 წელს ხულიგნობისათვის. მისჯილი მქონდა სამი თვის პატიმრობა.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის შეკითხვა: თავდაცვა-ავიაქიმში მუშაობის დროს თქვენ ისეთი რამ ხომ არ ჩაგიდენიათ, რომ თქვენს პიროვნებას ჩირქს სცხებდეს?

ბახტაძე: არაფერი.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის შუამდგომლობით სასამართლო აქვეყნებს საქმეში დართულ საბუთს, საიდანაც ირკვევა, რომ ბახტაძეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციაში მუშაობის დროს მოუთვისებია ამ ორგანიზაციის თანხა.

ბახტაძე: იძულებულია დაადასტუროს ფულის მითვისების ფაქტი და თავს მით იმართლებს, რომ იმ ხანებში იგი ხულიგნობისათვის დააპატიმრეს და გაფლანგული თანხის დაფარვა ვერ მოასწრო.

საზოგადოებრივ ბრალმდებლის შეკითხვა: იმის შესახებ, რომ თქვენ ხულიგნობისათვის საპატიმროში იჯექით, აცნობეთ თუ არა კომკავშირის უჯრედს, რომელშიაც თქვენ ირიცხებოდით?

ბახტაძე (იბნევა): მე რად ვაცნობებდი— ეს სასამართლოს უნდა ეცნობებია.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი: თქვენ კომკავშირელი ხართ, როგორც აქ აცხადებთ. ამავე დროს ხულიგნობისათვის იყავით გასამართლებული. დასაშვებია თუ არა, რომ კომკავშირის რიგებში ირიცხებოდეს ხულიგნები?

ბახტაძე: (უტიფრად) მე ეს შესაძლებლად მიმაჩნია.

ბახტაძის ურთიერთობა მეზობლებთან

შეკითხვებზე ბრალდებული ბახტაძე უპასუხებს რომ 1925 წლიდან იგი ცხოვრობს პუშკინის ქ. № 29, სადაც მას თითქოს არასოდეს არავითარი უსიამოვნება არ ჰქონია.

შეკითხვა: მართალია თუ არა, რომ თქვენ ხშირად აყალ-მაყალს სტეხთ ბინაზე, ქეიფობდით როსკიპ ქალებთან, ეწეოდით აზარტულ თამაშს, გქონდათ ხშირად ჩხუბი ბინაზე და ამ დავიდარაბით შეწუხებულ ერთ-ერთ მდგმურს მილიციელიც მოეყვანოს თქვენს დასაწყნარებლად.

ბახტაძე: (ნერვიულობს) ყველაფერი ეს მოჩმახულია, ისე როგორც მთელი ეს ბრალდება ჩემს წინააღმდეგ იმ მდგმურების მიერ, რომლებთანაც მე ცუდ განწყობილებაში ვიყავი.

შეკითხვა: აკი ამბობდით, რომ არც ერთ მდგმურთან უკმაყოფილება არ მქონიაო?

ბახტაძე იბნევა და ლაპარაკობს თითქოს უკანასკნელად მას გადაეკიდნენ იმავე სახლში მცხოვრებ შალვა ვაჩეიშვილის ნათესავები და მეგობრები. ვაჩეიშვილთან კი იგი წაჩხუბებული ყოფილა.

შეკითხვა: რაღა თქვენ გადაგეკიდათ სულ ყველა: რკინის გზის პოლიტსამმართველოს უფროსიც, თავდაცვა-ავიაქიმიც, მეზობელი მდგმურებიც? რით ხსნით ამას?

ბახტაძე სდუმს.

ზღაპარი წყლის დაქცევის შესახებ და ვაჩეიშვილთან ანგარიშის გასწორება

ბრალდებული არქიპო ბახტაძე აცხადებს, თითქოს უკმაყოფილება მეზობლად მცხოვრებ შ. ვაჩეიშვილთან მას მოუვიდა იმის გამო რომ უკანასკნელი წყალს ღვრიდა მისი ოთახის კარებთან, რისთვისაც მრავალი გაფრთხილების შემდეგ იგი იძულებული გახდა გალახვით დამუქრებოდა ვაჩეიშვილს. თითქოს ამით შეურაცყოფილი ვაჩეიშვილი ბახტაძის სიტყვით, სთხზავს ათასგვარ ჭორებს და მის საწინააღმდეგო კორესპონდენციას გზავნის გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციაში.

თავმჯდომარე: მანამდე როგორ დამოკიდებულებაში იყავით ვაჩეიშვილთან ან როგორ იცნობდით მას?

ბახტაძე ლაპარაკობს, რომ მანამდე ის კარგ მეზობლურ დამოკიდებულებაში იყო ვაჩეიშვილთან, იცნობდა მას როგორც ღარიბ სტუდენტს და მისი სიტყვებიდან იცოდა, რომ იგი წერილებს ათავსებდა გაზეთებში.

შეკითხვა: იცოდით თუ არა, რომ იგი მუშკორი იყო?

ბახტაძე: არ ვიცოდი. მე მას ვთვლიდი გაზეთის თანამშრომლად (?), რომელიც საჩუქრებს (!) ღებულობდა რედაქციიდან.

ბახტაძის ასეთი განცხადება საყოველთაო გაკვირვებას იწვევს, რადგან წარმოუდგენელია ბახტაძემ არ იცოდეს, რომ რედაქცია საჩუქრებს არ არიგებს და რომ მუშკორი იგივე რედაქციის თანამშრომელია.

აშკარაა, რომ ბრალდებული გაურბის ამხ. ვაჩეიშვილის მუშკორად აღიარებას რადგან იცის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც მას დასჯა მოელის, ითვალისწინებს მუშკორზე თავდასხმას, როგორც კონტრ-რევოლუციონურ აქტს.

ბახტაძეს აგონდება ჩვენების დროს რამდენიმე წუთის წინ ნათქვამი სიტყვები და ამბობს, თითქოს იგი ეხლაც დარწმუნებული არ არის, რომ მის წინააღმდეგ გაგზავნილ კორესპონდენციის ავტორი ვაჩეიშვილი არის.

ბახტაძე ლაპარაკობს, რომ მის წინააღმდეგ კორესპონდენციის არსებობის შესახებ მან გაიგო 28 სექტემბერს პარასკევს.

შეკითხვა: თქვენ თვითონ წაიკითხეთ წერილი, თუ სხვამ გადმოგცათ ამის შესახებ.

ბახტაძე: სწორედ პარასკევს მე დამიბარა ამხ. ს. მეგრელიშვილმა და გაკვრით მითხრა, შენზე მამხილებელი კორესპონდენცია არის დაწერილი და რას იტყვიო? მე სიყალბეთ ჩავთვალე ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და მოვითხოვე საქმის გადაცემა გამოსაძიებლად.

შეკითხვა: თქვენ თვითონ ითხოვეთ სამსახურიდან განთავისუფლება, თუ მოგხსნეს?

ბახტაძე: მე მეორე დღესვე შევიტანე განცხადება თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, რადგან შეუძლებლად მიმაჩნდა ამის შემდეგ სამსახურში გაჩერება.

შეკითხვა: თუ კორესპონდენცია ყალბი იყო და თქვენ ცამდე მართალი იყავით—რატომ გრძნობდით უხერხულად სამსახურში გაჩერებას?

ბახტაძე სდუმს!

შეკითხვა: ნუ თუ არ აღგაშფოთათ უსაფუძვლო ცილის წამებამ?

ბახტაძეს რომ დაუჯეროთ, იგი ამ ამბავს თურმე სავსებით გულდამშვიდებით შეხვდა. წერილის ავტორობაში ეჭვი მიიტანა ვაჩეიშვილზე, დარწმუნებული კი არ იყო, რომ ვაჩეიშვილმა დასწერა კორესპონდენცია „კომუნისტი"-სათვის.

პროკურორის შეკითხვა: თუ დარწმუნებული არ იყავით, რომ ვაჩეიშვილი იყო წერილის ავტორი რად მიმართეთ მას სიტყვებით: „შალიკო წერილი რაზედ დასწერეო"? (ეს ბრალდებულს ნაჩვენები აქვს წინასწარ დაკითხვის დროს).

ბახტაძე იბნევა.

კიდევ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდება ბახტაძე, როცა იგი ცდილობს ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, თითქო ხმა მაღალი ლაპარაკიც კი არ ჰქონია ვაჩეიშვილთან, როცა მასთან მივიდა და კორესპონდენციის დაწერის შესახებ ჩამოუგდო ლაპარაკი.

თავმჯდომარის შეკითხვას, თუ რანაირ ფორმებში სწარმოებდა მისი ლაპარაკი ვაჩეიშვილთან, ბრალდებული უპასუხებს, რომ „ამხანაგურად" ელაპარაკებოდა მას.

— სამსახურიდან მოგხსნეს, გაგაუბედურეს იმ წერილის გამო, რომლის ავტორად სთვლით ვაჩეიშვილს, ვაჩეიშვილი წარმოდგენილი გყავთ, როგორც ცილისმწამებელი. მასთან წინად წაჩხუბებული ხართ, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ მიდიხართ და „ამხანაგურად" ეუბნებით: „რატომ დამიწერეთ წერილიო",—განა ეს დასაჯერებელია?—ეკითხება თავმჯდომარე ბრალდებულს.

ბრალდებულს ენა ებმება. თავის ტყუილს თვითონვე გრძნობს. ბახტაძეს უნდა იმის თქმა, რომ მის მხრივ მუქარას ადგილი არ ჰქონია.

გადის რამდენიმე ხანი და თვითონვე იძულებულია აღიაროს, რომ ვაჩეიშვილის პასუხმა იგი თურმე აალელვა (!)

ბახტაძე ცდილობს თავსაც უშველოს და დეიდაშვილსაც

ბრალდებული ბახტაძე პირველად ლაპარაკობს რომ მას არ უთქვამს თავის დეიდაშვილ ივანე ბრეგაძისათვის, რომ იგი სამსახურიდან მოხსნეს ვაჩეიშვილის მიერ დაწერილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით და არც დაუვალებია მისთვის ვაჩეიშვილთან ანგარიშის გასწორება.

პროკურორის შეკითხვა: როგორ დავიჯეროთ, რომ თქვენს დეიდაშვილს და კარგს მეგობარს, რომელთანაც ხშირად ქეიფობთ და დროს ატარებთ, არ აცნობეთ არაფერი თქვენი სამსახურიდან მოხსნის შესახებ?

ბახტაძე ახალ ზღაპარს სთხზავს. თურმე დეიდაშვილ ივანე ბრეგაძესთან არ იყო კარგ დამოკიდებულებაში და ერთხელ მან ბინიდანაც გააძევა იგი.

შეკითხვა: მაშასადამე, თქვენ კატეგორიულად აცხადებთ, რომ ბრეგაძისათვის არ გითქვამთ არაფერი არც თქვენი სამსახურიდან მოხსნის და არც კორესპონდენციის ავტორის შესახებ?

ბახტაძე: არ მითქვამს.

შეკითხვა: (პროკურორს მოჰყავს ადგილი ბრეგაძის მიერ წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებიდან) ბრეგაძე რატომ ლაპარაკობს, რომ თქვენ მას გააგებინეთ ამის შესახებ რამაც იგი ძლიერ აალელვა?

ბახტაძე (ღელავს), ბრეგაძეს რომ ჩემთვის კარგი ენდომებოდა, არც იმას ჩაიდენდა, რაც ჩაიდინა.

თავმჯდომარის მიერ მოხერხებულად მიცემული მრავალი შეკითხვა იძულებულს ხდის ბახტაძეს აღიაროს რომ მან მისი სამსახურიდან მოხსნის შესახებ სთქვა იმ წრეში, რომელშიაც ბრეგაძეც იმყოფებოდა".

ბახტაძე თავს იკატუნებს და ლაპარაკობს თითქოს მას კვირა საღამომდე არაფერი გაუგია ვაჩეიშვილზე თავდასხმის შესახებ, რომელიც მისი წაქეზებით მოახდინა მისმა დეიდაშვილმა ივანე ბრეგაძემ.

თურმე, მას თუ დაუჯერებთ, ბახტაძეს გულიც მოსვლია, როცა გაუგია, რომ ბრეგაძე თავს დაესხა ვაჩეიშვილს და საყვედურით მიუმართავს მისთვის: „ვინ დაგაკისრა ჩემი აპეკუნობაო".

ბახტაძე ლაპარაკობს, რომ მას თავდასხმის შესახებ უთხრეს: „ვიღაც კომენდანტს რევოლვერი წაართვესო".

ბახტაძეს აქაც იჭერენ ტყუილში.

თავმჯდომარე კითხულობს ადგილს მისი ჩვენებიდან, სადაც ბახტაძე ლაპარაკობს: „მითხრეს, რომ ბრეგაძე შეუვარდა ვაჩეიშვილს ოთახში შესაშინებლად და რევოლვერი წაართვისო".

საერთოდ ბახტაძე ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობაში ვარდება და იძულებულია ერთხელ ნათქვამი მეორეჯერ უარყოს

ბახტაძის პიროვნების დასახასიათებლად მნიშვნელოვანია მისი პასუხი საზოგადოებრივ ბრალმდებლის შეკითხვაზე.

შეკითხვა: თამაშობდით თუ არა ფულზე ნარდს და კარტს?

— სახლში ვთამაშობდით,—უპასუხებს ბრალდებული.

შეკითხვა: დასაშვებია თუ არა, რომ კომკავშირელი ფულზე თამაშობდეს ნარდსა და კარტს?

ბახტაძე: (უტიფრად) სახლში რატომაც არა! სავსებით დასაშვებია (დარბაზში სიცილია).

ბრალდებულ ბრეგაძის დაკითხვა

ბრალდებული ბრეგაძე უმჯობესად სცნობს თითონ მოუთხროს სასამართლოს საქმის ვითარება. დაპატიმრებამდე იგი მსახურობდა თბილისის მილიციის სამმართველოს კომენდანტად. პირველად მას ბინა ჰქონია თავის დეიდაშვილ ბახტაძესთან რომელთანაც თითქოს მას შემდეგ უკმაყოფილება მოსვლია და ბახტაძეს ბინიდან იგი გამოუგდია. შემდეგ იგი ღამეს ათევდა მილიციის სამმართველოს შენობაში. თუ მას დაუჯერებთ, იგი იშვიათად მიდიოდა დეიდაშვილის ბინაზე.

ნამდვილად კი ირკვევა, რომ ბრეგაძე არა თუ იშვიათად დადიოდა თავის დეიდაშვილთან, არამედ ხშირად ერთად ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ ბახტაძის ბინაზე.

30 სექტემბერს,—ამბობს იგი,—მე სახლიდან სამწუხარო წერილი მივიღე მატყობინებდნენ დეიდის სიკვდილს და დედის ავადმყოფობას. შევიარე არქ. ბახტაძესთან, რომლის უმცროს ძმას სამსახურის გამო, მისვლა-მოსვლა უხდებოდა ბათომ-თბილის შუა. მე მისგან მინდოდა გამეგო დაწვრილებით ამბავი ჩემი ოჯახის შესახებ და აგრეთვე გამეგზავნა მისი ხელით წერილი. ბახტაძეებთან მე გავიგე ჩემი დეიდაშვილის არქ. ბახტაძის სამსახურიდან მოხსნის ამბავი.

ბრალდებული ბრეგაძე ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება დასტოვოს, თითქოს ბახტაძის მოხსნაზე უკანასკნელს მასთან კერძოდ არავითარი საუბარი არ ჰქონია და შემთხვევით გაიგო მან ეს ამბავი, რომელმაც ძალიან გააკვირვა, რადგან თითქოს მან კარგად იცოდა ვაჩეიშვილისა და ბახტაძის კეთილმეზობლური დამოკიდებულება. იგი უარყოფს თავისსა ჩვენების დროს იმას რომ ის საგულდაგულოდ მისულიყოს ვაჩეიშვილთან პასუხის მოსათხოვად.

პროკურორი: თქვენ სთქვით, რომ ვაჩეიშვილს კარგად ვიცნობდი, ვიცოდი მისი კარგი დამოკიდებულება ბახტაძესთან. თუ ეს ასეა, მაშ მისვლისთანავე რად იკითხეთ: ვინ არის ვაჩეიშვილი, რომელმაც წერილი დასწერა ჩემი დეიდაშვილის წინააღმდეგო?

ბრეგაძე: მე ვიკითხე, რომელია ის ვაჩეიშვილი, რომელსაც არქიპოსთან უსიამოვნება მოსვლია, რადგან ვერ წარმომედგინა, რომ ის ასეთ წერილს დასწერდა იმ ამხანაგის წინააღმდეგ, რომელმაც მას ბევრი რამ სიკეთე უყო. წერილის დამწერი მე სხვა ვაჩეიშვილი მეგონა.

პროკურორი: თქვენ ხომ გითხრათ ბახტაძემ, რომ წერილის ავტორი შალვა ვაჩეიშვილია, რომელსაც კარგად იცნობდით, როგორც თქვენ ამბობთ.

ბრეგაძე: მე ბახტაძეს არ დავერწმუნე, პირადად მინდოდა დავრწმუნებულიყავი; სადილობის დროს ბახტაძის ნაამბობმა ძალიან ამაღელვა და მაშინვე გავეშურე სიმართლის გამოსარკვევად.

ბრეგაძეს აქ უკვე დაავიწყდა წინანდელი თავისი ჩვენება, რომ მე საგულდაგულოდ არ შემივლია ვაჩეიშვილის სანახავადო.

პროკურორი: ვაჩეიშვილთან რომ მიდით, აღელვებული ხომ არ ყოფილხართ?

ბრეგაძე: მე ყოველთვის აღელვებული ვიყავი,—ისეთ დაწესებულებაში ვმსახურობდი (?) ცოტა ნასვამიც ვიყავი.

ბრალდებული აქაც წინააღმდეგობაში ვარდება. პირველად მან განაცხადა რომ ვაჩეიშვილთან იგი სრულიად დამშვიდებული მივიდა, ხელიც ჩამოართვა, პაპიროსიც მიაწოდა და ტკბილი საუბარი გაუმართა.

პროკურორი: რევოლვერის ამოღება რად დაგჭირდათ?

ბრეგაძე: არ ვიცი, მეც ვერ ამიხსნია; მე ამით მინდოდა მეთქვა: შე კაი კაცო, ასეთი უბრალო საქმისთვის კაცის მოკვლა თუ გინდოდა რადა წერილს წერდი, რევოლვერს მე გათხოვებდი და მოგეკლა.

პროკურორი: ნუ თუ ამისთვის რევოლვერის ამოღება იყო საჭირო. იქნებ რევოლვერი შესაშინებლად ამოიღეთ, ბახტაძეს რომ უთხარით თქვენ: შესაშინებლად ამოვიღეო.

ბრეგაძე: ადამიანი არ ვიყო თუ მდომოდეს ვაჩეიშვილის მოკვლა, ან შეშინება. (სიცილი ხმა: ხატზე დაიფიცეთ).

პროკურორი: მაშ ვაჩეიშვილთან შეტაკება არ მოგსვლიათ, მას რევოლვერი არ წაურთმევია?

ბრეგაძე: რევოლვერი რომ მაგიდაზე დავდევი, მან ხელი დასტაცა და კარებისკენ გავარდა; როცა ხელი წავავლე, ყვირილი დაიწყო; მე ხალხის მოგროვების შემეშინდა და ხელი გაუშვი.

საზ. ბრალმდებელი: სისხლის სამართლის მილიციის კომენდანტისთვის დასაშვებია ხელი გაუშვას იარაღს და ასე ადვილად დაანებოს იგი ვინმეს?

ბრეგაძე: არა, არაა დასაშვები.

შემდეგი დაკითხვის დროს ბრალდებული ბრეგაძე კატეგორიულად უარყოფს ბახტაძესთან პირისპირ შეხვედრის ფაქტს და მასთან მოლაპარაკებას კორესპონდენციისა და ვაჩეიშვილის შესახებ.

საზ. ბრალმდებელი: რამოდენიმეჯერ მიმართავს მას გაიხსენოს, ჰქონდა თუ არა მაშ პირისპირ შეხვედრა და საუბარი ბახტაძესთან მომხდარი ამბავის თაობაზე. ბრალდებული გაბედულად აცხადებს რომ ასეთ შეხვედრას ადგილი არ ჰქონია, რომ მან ეს ამბავი ბახტაძისაგან მოისმინა დილით 30 სექტემბერს სხვებთან ერთად და შემდეგ სადილის დროს რესტორანში.

ამის შემდეგ საზ. ბრალმდებელი ამხ. ჭუღონია შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე წაკითხული იქნეს ბრალდებულ ბრეგაძის წინასწარი ჩვენებიდან ის ადგილი, სადაც იგი ბახტაძესთან პირისპირ შეხვედრის შესახებ ლაპარაკობს.

სასამართლოს თავმჯდომარე სიტყვა-სიტყვით კითხულობს შემდეგს:

„ჩვენს შორის,—ამბობს ბრალდებული ბრეგაძე წინასწარ ჩვენებაში,—საუბრის დროს ბახტაძემ გადმომცა, რომ ის მოუხსნიათ სამსახურიდან ვიღაც პირის საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში წერილობითი დასმენის გამო..., მისმა დათხოვნამ მე ძლიერ დამაინტერესა რის გამოც მე მას ვკითხე, თუ ვინ იყო ის პირი, მაგრამ ბახტაძემ არ მითხრა: ორი-სამი საათის გავლის შემდეგ მან გადმომცა:—შენ კი იცნობ ვინც არის—ჩვენ „დვორში" ცხოვრობს,—ვაჩეიშვილია. ეს საუბარი ხდებოდა გარეთ ქუჩაში, რის შემდეგ მე ამოვედი ზევით სახლში კარიდორში, მარტო. პირისპირანთან ვაჩეიშვილი იყო".

საზ. ბრალმდებელი: რას იტყვით თქვენ ამ ჩვენების შესახებ ეს ჩვენება ხომ თქვენ მიერ მიცემულია მაშინ, როცა ყველაფერი ახლად მომხდარი ამბავი იყო. არ შეიძლებოდა, რომ მაშინ თქვენ უკეთ არ გაგხსენებოდათ ყველაფერი, ვიდრე ეხლა.

ბრალდებული ბრეგაძე იბნევა და ვერაფერს ამბობს.

პროკურორი: რატომ მიიწვიეთ თქვენ ბახტაძის ოთახში ვაჩეიშვილი მოსალაპარაკებლათ?

ბრეგაძე: მარტო მინდოდა მასთან ლაპარაკი.

საზ. ბრალმდებელი: თქვენ ხომ ემდუროდით ბახტაძეს?

ბრეგაძე: არც იმდენად, რომ მის ბინაზე მისვლა ვერ გამებედა.

სასამართლოს თავმჯდომარე: რა გინდოდათ მაინცა და მაინც კარგა მოხურულ ოთახში? აივანზე ხომ იყო ისეთი ადგილი, რომ ცალკე გელაპარაკათ?

ბრალდებული იბნევა და გარკვეულ პასუხს არ აძლევს.

საზ. ბრალმდებელი: თუ თქვენ მართლაც სახლიდან მიღებული ცუდი ამბებით დარდიანებული იყავით, რა გაქეიფებდათ მთელი დღე?

პასუხი: სწორედ ამ ჯავრის გასაქარვებლათ. (დარბაზში სიცილია).

— რამდენ ხანს დარჩით ბაღში საქეიფოთ?

— დილის 4 საათამდე.

— ვის ხარჯზე იყო ქეიფი?

— ჩემს ხარჯზე ნისიად. მე იმ რესტორანში კრედიტი მქონდა.

საზ. ბრალმდებელი: რამდენად დასაშვებათ მიგაჩნიათ, რომ მილიციის თანამშრომელი კერძო მიკიტანთან ნისიად ქეიფობდეს?

პასუხი: ქეიფით მარტო მაშინ ვქეიფობ, ისე ნისიად ვსადილობდი. (სიცილი დარბაზში).

ბრალდებულ ბრეგაძის დამცველი ცდილობს ბრეგაძის გასამართლებლათ გამოიყენოს მისი გარეგნობა და მკლავების ძალა. ამ მიზნით იგი ეკითხება თავის მარწმუნებელს:

— ნუ თუ თქვენ არ შეგეძლოთ გამკლავებოდით ვაჩეიშვილს თუ თქვენ რევოლვერის ტარზე ხელი გეკიდათ, ხოლო ვაჩეიშვილი ლულას ექაჩებოდა?

ბრალდებული: არა თუ ერთი ვაჩეიშვილი, არამედ ხუთი ისეთიც კი ვერ გამიმკლავდება, ყველას შპალერივით გავაკრავ—ამაყად აცხადებს ბრალდებული.

— თუ სასამართლო საჭიროდ სცნობს, შეუძლია გამოსცადოს ჩემი ძალღონე. (დარბაზში სიცილია).

საბოლოოდ ირკვევა, რომ ბრეგაძე წინასწარ მოლაპარაკებული იყო ბახტაძესთან, რომელმაც მას აცნობა წერილის ავტორი ვაჩეიშვილიაო, და დაავალა სამაგიეროს გადახდა, ბახტაძემ დაკითხვის დროს უარყო, თითქოს მას პირადათ არ წაეკითხოს კორესპონდენცია დედანი ინსპექციაში. ბრეგაძის დაკითხვიდან კი ირკვევა, რომ მას იმ დღესვე უთქვამს ბრეგაძისათვის წერილის შინაარსი და აგრეთვე უცნობებია, რომ წერილი თავისი თვალით ნახა და წაიკითხა. მოლაპარაკებას ვაჩეიშვილთან ანგარიშის გასწორების შესახებ რამოდენიმეჯერ ჰქონია ადგილი: დილით 30 სექტემბერს, როცა ბრეგაძე პირველად მისულა მასთან და შემდეგ ცალკე ქუჩაში. უდაო ხდება, რომ სადილობის დროს მათ მოუფიქრებიათ და გამოუმუშავებიათ მოქმედების გეგმა, და კარგად შეზარხოშებული ბრეგაძე ნასადილევსვე შესდგომია დაკისრებულ საქმეს.

დაკითხვიდან ირკვევა აგრეთვე ბრეგაძის წარსული. იგი პასუხისგებაში ყოფილა მიცემული ფულის მითვისებისათვის. ციხეშიაც მჯდარა, ბრეგაძე თავს იმით იმართლებს რომ ფული კერძო პირს ეკუთვნოდა და ასეთი ფულის მითვისება დასაშვებიაო (!) ნამდვილად კი ფული კოოპერატივის ყოფილა. სტყუის აგრეთვე ბრეგაძე, როცა იგი სასამართლოს ეუბნება, თითქოს მილიციის თანამშრომლად იგი გაერთიანებულ პოლიტიკური სამმართველოს რეკომენდაციით ყოფილიყოს მიღებული.

ამხ. სტანსკის მიერ ხელმოწერილი საბუთის გამოქვეყნებით ირკვევა, რომ პოლიტიკურ სამმართველოს მისთვის ასეთი რეკომენდაცია არ მიუცია და იქ არც იცნობენ მას.

ბრეგაძეს თავი მოაქვს აგრეთვე იმით, პარტიის წევრი იყო 21-დან 23 წლამდეო.

— რატომ გამოდი პარტიიდან? ეკითხებიან.

— მექანიკურად გამომრიცხეს, კრებებს ვერ ვესწრებოდი, დატვირთული ვიყავი.

კითხვა: ნუ თუ საზოგადო საქმეებით დატვირთვა საპატიო მიზეზად არ სცნეს და გამოგრიცხეს?

ბრეგაძე პასუხს ვერ აძლევს.

— რად არ შეეცადეთ აღდგენას?

— შემდეგში „ხასიათი" არ მქონდა.

ცხადია, ბრეგაძე აქაც უმალავს სასამართლოს სიმართლეს—პარტიიდან გამორიცხვის ნამდვილ მიზეზს.

11 იანვრის სხდომაზე სასამართლო ასწრებს მხოლოდ ამ ორი მთავარი ბრალდებულის დაკითხვას.

სხდომა წყდება ღამის 1 საათზე.



ნაგანის სისტემის რევოლვერი, რომლითაც დაესხენ თავს მუშკორ ვაჩეიშვილს. რევოლვერზე, როგორც ნივთიერ საბუთზე, ჰკიდია ბეჭედი.

პროცესის მესამე დღე

(წინასწარი მოკლე ანგარიში)

სასამართლოს მესამე სხდომა იწყება ბრალდებულ ისაი ლეიბმანის დაკითხვით.

ლეიბმანი თავს დამნაშავედ არ სცნობს წაყენებულ ბრალდებაში, თუმცა თავის გასამართლებლად არავითარი საბუთი არ გააჩნია, ისიც, როგორც დანარჩენი ბრალდებულები, ტყუილებით ფიქრობს ფონს გასვლას, მაგრამ იხლართება წინააღმდეგობებში და სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. მაგალითად ლეიბმანს სავსებით „კანონიერად" მიაჩნია მისი უმოქმედობა იმ დროს, როცა მას მუშკორზე თავდასხმის შემდეგ მიუყვანეს განიარაღებული თავდამსხმელი მთვრალი— ბრეგაძე და მას ოქმიც არ შეუდგენია, ხოლო ერთი საათის შემდეგ სასეირნოდ გამოუშვა ქალაქში.

ამას იგი „ამართლებს" იმ გარემოებით, რომ თურმე უცდიდა მილიციის უფროსის მოსვლას, რომელიც თბილისიდან სოფელ კოდაში იყო წასული და მეორე დღემდე არ ჩამოდიოდა. ასეთი უაზრო თავის მართლებით სავსეა ლეიბმანის ჩვენება.

მოწმეთა დაკითხვა

ბრალდებულთა დაკითხვის დამთავრების შემდეგ იწყება მოწმეთა დაკითხვა.

პირველად დაკითხულ იქნა მუშკორი შალვა ვაჩეიშვილი, რომელიც სავსებით ადასტურებს საბრალმდებლო დასკვნაში მოყვანილ ფაქტებს მასზე თავდასხმის შესახებ. მუშკორი ვაჩეიშვილი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ მოახერხა მან რევოლვერის წართმევა ბრეგაძისათვის. მოწმე აღნიშნავს, რომ რევოლვერის წართმევა მას გაუადვილა აგრეთვე ბრეგაძის სიმთვრალემ.

მოწმე ვაჩეიშვილის შემდეგ დაკითხულ იქნა თავდასხმის მოწმე 11 წლის გოგონა თამარა დანელია, რომელიც სწორედ ისევე ასწერს ვაჩეიშვილისა და ბრეგაძეს შორის გამართულ ბრძოლას რევოლვერის წასართმევად, როგორც მოწმე ვაჩეიშვილი.

სხდომა დამთავრდა ღამის 11 საათზე. მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე. სხდომაზე გაგრძელდება მოწმეთა დაკითხვა.

მუშკორის მდევნელები სასტიკად უნდა დაისაჯონ

გაზ. „ფუხარ"-ას მუშკორების ხმა

(დეპეშა ბათომიდან)

გაზეთ „ფუხარა"-ს მუშკორები აღშფოთებული არიან მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმით და მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას.

მუშკორთა ბიურო

კახეთის რკინის-გზის მუშკორთა გამოძახილი

(დეპეშა გურჯაანიდან)

12 იანვარს კახეთის რკინის გზის კვანძის მუშკორთა საერთო კრებამ გამოსთქვა სასტიკი აღშფოთება მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმის გამო და მოითხოვს თავდამსხმელთა სამაგალითოდ დასჯას.

კახეთის კვანძის მუშკორთა ბიურო.

დეპეშა ხაშურის მუშკორებისაგან

სადგურ ხაშურის მუშკორები აღშფოთებას გამოსთქვამენ მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდასხმის გამო და მოითხოვენ ბახტაძის ბრეგაძის სასტიკად დასჯას.

რედკოლეგია.

სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშების ხმა

10 იანვარს შესდგა სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშათა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. ახობაძემ გააკეთა ინფორმაციული მოხსენება მუშკორ ვაჩეიშვილზე მკვლელის მიზნით თავდასხმის შესახებ. მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც თბ. სპილენძის სატკეც ქარხნის მუშების საერთო კრება მოითხოვს მოქ. ბახტაძის და ბრეგაძის სასტიკად დასჯას.

ქართველი.

ბრის პლენუმზე დასვა საკითხი ასეთი საშიშროების არსებობის უსაფუძვლობის და უმნიშვნელობის შესახებ. აი რას ამბობდა ის: „...**ეხლა არ არის საჭირო ბრძოლის მიმართვა წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილების წინააღმდეგ პროლეტარიატს შორის... ყურადღება იმაზე უნდა იქნეს მიქცეული, რომ უკეთესად ვაწარმოოთ მეურნეობა, გვქონდეს წესრიგი (распорядок) უკეთესად ვითვალოთ ფული...** საკითხის დედა-აზრი ეხლა ამაში მდგომარეობს და არა მუშათა კლასში წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილებათა ძიებაში". თავი რომ დავანებოთ იმ გარემოებას, რომ ამხ. უგლანოვი გვერდს უვლის წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის გავლენის საშიშროების გამოაშკარავებას და მასთან ბრძოლის აუცილებლობას, პროლეტარიატის გამარჯვების უზრუნველსაყოფად, მას აგრეთვე გადაჭარბებულად მიაჩნია სწორი დებულება იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი გარემოცულია წვრილ-ბურჟუაზიული ატმოსფეროთი, რომელსაც არ შეუძლია შესაფერი გავლენა არ იქონიოს პროლეტარიატზე. „**ვინც ამას ვერ ხედავს — სწერდა ლენინი—ის თავისი სიბრმავით სწორეთ ტყვეთ უვარდება წვრილ-ბურჟუაზიულ ცრუ-მორწმუნეობას**". გარდა ამისა, უსათუოდ უარყოფილი უნდა იქნეს საკითხის ისე დასმა, თითქოს კომუნისტური პარტია აშორებდეს ეკონომიკისაგან პოლიტიკას. მემარჯვენე ელემენტები ხშირად იკვეხნიან, რომ ისინი საქმის ხალხია და არა სიტყვის, რომ დროს არ კარგავენ პოლიტიკის გზების ძიებაზე, მაგრამ ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ საქმიანობა სწორ პოლიტიკის გარეშე ე. ი. სწორ კლასიურ ხაზის მტკიცედ დაცვის და გატარების გარეშე არაფერს არ წარმოადგენს და ხშირად შეუძლია ჩვენს წინააღმდეგაც დარჩეს მომართული. ასეთი ხალხის საყურადღებოთ ლენინი სწერდა: „რასკვირველია მე ყოველთვის გამოვთქვამდი, გამოვსთქვამ და მუდამ გამოვსთქვამ სურვილს, რომ ჩვენ **უფრო ნაკლებ ვსაქმიანობდეთ პოლიტიკით და უფრო მეტად მეურნეობით. მაგრამ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ამ განზრახვების შესრულებისათვის საჭიროა რომ არ იქნეს პოლიტიკური სიძნელენი და პოლიტიკური შეცდომები... პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება...**" (ტ. XVII, ნაწ. I, გვ. 50). ასეთია ლენინიზმის ჭეშმარიტი სიტყვა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ადვილი გასაგებია, თუ მემარჯვენე ელემენტებს რატომ არ სურთ დრო „დაჰკარგონ" პოლიტიკაზე, ამ შემთხვევაში წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილების ძიებაში მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში. ეს მათ არ ეპიტნავებათ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ სწორეთ ეს წვრილი ბურჟუაზიული განწყობილების ელემენტების არსებობა საერთოდ ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს მათ მასაზრდოებელ ძალას. ამისი დავიწყება შეუძლებელია. პარტია შესძლებს მის დაძლევას და ამით უზრუნველჰყოფს მუშათა კლასის კლასიურ, პროლეტარულ სიწმინდეს და სიძლიერეს.

ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ აგრეთვე იმასაც, რომ სოფლად სოციალისტურ მშენებლობის გაფართოების ნიადაგზე სხვადასხვა სოციალურ ფენების აქტივობა უაღრესად გაიზარდა. ღარიბი გლეხობა კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება პარტიასა და მუშათა კლასის გარშემო, რაც წარმოადგენს ერთ ერთ უმთავრეს ფაქტორს კულაკების წინააღმდეგობის დაძლევისა და საშუალო გლეხობასთან კავშირის შენარჩუნებისათვის. ეხლა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სდგას საკითხი საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისა და ღარიბ გლეხობის შეკავშირების შესახებ, რადგან შეუძლებელია არ იქნეს მიღებული მხედველობაში ის გარემოება, რომ საშუალო გლეხობის ზედა-ფენები უკმაყოფილო იყო იმ ღონისძიებებით, რომელიც მიიღო პარტიამ და ხელისუფლებამ გასულ წელს პურის დამზადების დროს. მხოლოდ ღარიბი გლეხობის მჭიდროდ შეკავშირება და საშუალო გლეხობასთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება წარმოადგენს კულაკების გაძლიერებულ აქტივობის დაძლევის მთავარ პირობას. მემარჯვენე ელემენტები უარყოფენ კულაკურ საფრთხეს, უარყოფენ იმას, რომ სოფლად კაპიტალისტური ელემენტების აქტივობა გაიზარდა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, **ერთის მხრივ, მათი მეურნეობის შედარებითი შემცირების, მაგრამ აბსოლიუტურად გაზრდის ნიადაგზე, მეორე მხრივ, სოციალისტურ სექტორის გაძლიერებულ შეტევით, რომელსაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს მათი აქტივობა თავიანთი პოზიციების შენარჩუნებისათვის.** გარდა კულაკობისა ჩვენ საქმე გვაქვს კიდევ სხვა კაპიტალისტურ ჯგუფების არსებობასთან, როგორიც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის გარეთ. ახალ ბურჟუაზიის („ნეპმანების") გარდა კიდევ არსებობენ ძველი გაბატონებული კლასების ნაშთები, რომელთაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ძველ კაპიტალისტური კლასების ნაშთებმა ჩვენი ქვეყნის შიგნით ამხ. ლენინის თქმით თავი შეაფარეს სახელმწიფო დაწესებულებებს. აქედან გამომდინარეობს ბიუროკრატიზმის ერთ-ერთი კლასიური მომენტი და მის წინააღმდეგ გაფართოებული ბრძოლის წარმოების აუცილებლობა. ძველ კაპიტალისტურ კლასების ნაშთებს აქვთ მჭიდრო კავშირი საერთაშორისო კაპიტალთან, რომელიც თავის მხრივ მათ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს. ამიტომ ამბობს ლენინი, რომ „მათი მნიშვნელობა აუცილებლად მეტია ვიდრე მათი წილი მცხოვრებთა საერთო რიცხვში." (ტ. XVI, 354). ასეთია კლასიურ ძალთა განწყობილება ჩვენში. თავისი ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძლიერის მიხედვით მუშათა კლასის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მის ბრძოლას კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ შემდეგშიაც დაურჩება ისეთი სწორი პროლეტარული ხელმძღვანელობა, როგორიც აქამდის ჰქონდა, თუ პარტია გასავალს არ მისცემს მემარჯვენე გადახრის ცდას მიჩქმალოს კლასიური ბრძოლის საკითხები და მათი მნიშვნელობა ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამ რიგად ჩვენ დავინახეთ, რომ ისე, როგორც გლეხობასთან კავშირის, კლასიურ ბრძოლის გაგების საკითხებშიც მემარჯვენე გადახრა თავისი შეხედულებებით ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის კლასიურ ხაზს და ლენინის სწავლას. მემარჯვენე ელემენტები არსებითად უარყოფენ კლასიურ ბრძოლის მნიშვნელობას გარდამავალ პერიოდში, უარყოფენ კლასიურ ბრძოლის გამწვავებას და წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის ზრდას ჩვენს ქვეყანაში. არ ცდილობენ სათანადო ანალიზი გაუკეთონ კლასიურ ძალთა დღევანდელ ურთიერთობას და განწყობილებას, რომ აქედან შესაფერი სამოქმედო გეგმა გამოიმუშაონ. მათ არ ესმით ლენინის ის დებულება, რომელიც ამბობს, რომ თუ კლასების მოსპობის საქმეში პირველ ნაბიჯათ ითვლება ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, „მის დამთავრებისათვის (ე.ი. კლასების საბოლოოდ მოსპობისათვის ვ.გ.) პროლეტარიატმა უნდა განაგრძოს თავისი კლასიური ბრძოლა, რისთვისაც უნდა გამოიყენოს სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების აპარატი და იხელმძღვანელოს ბრძოლის სხვა და სხვა მეთოდებით"... (ტ. XVI, 356), რადგან თვით კლასიური ბრძოლის პროცესი წარმოადგენს აუცილებელ ფორმას კლასების მოსპობისათვის.

ვ. გორდელაძე.

კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხები

(კოლმეურნეობათა საქ. ცენტრის საბჭოს სესიის შედეგები)

დეკემბრის ბოლოს მოსკოვში დასრულდა კოლმეურნცენტრის საბჭოს სესია. სესიამ ჯამი გაუკეთა საშემოდგომო თესვის კამპანიას და ამასთან დაკავშირებით დასახა მთელი რიგი ღონისძიებები სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში. ამასთან, სესიის დღის წესრიგში იდგა: კოლმეურნეობათა მშენებლობის მორიგი ამოცანები, კოლმეურნეობათა 5 წლიანი საწარმოო გეგმა, აგროსაწარმოო ხელმძღვანელობა, განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება კულტურულ განმანათლებელ მუშაობის შესახებ კოლმეურნეობებში—(მომხს. ამხ. კრუპსკაია), საექიმო დახმარების საქმე კოლმეურნეობებში (მომხს. ამხ. სემაშკო), სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწსახკომის და ცენტრო-კავშირის წარმომადგენელთა მოხსენებები და ტრაქტორების მშენებლობის საკითხი.

კოლმეურნცენტრის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სწორი გამოდგა პარტიის ხაზი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანისა მშრომელ გლეხობისაგან შემდგარ კოლექტივების საშუალებით, პირველ წლებშივე ჩვენ მივიღეთ საგრძნობი შედეგები, როგორც ნაწარმოებთა დამზადებისა, ისე მოსავლიანობის გაზრდის მხრივ კოლმეურნეობებში. წელს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებმა ხელისუფლებას 20 მილიონი ფუთი ხორბალი ჩააბარეს. მოსავლიანობა შედარებით კერძო გლეხურ მეურნეობასთან მნიშვნელოვნად გადიდდა. კოლექტივიზაციის მხრით სოფლის მეურნეობის მიღწევების აღნიშვნის შემდეგ, სესია შეჩერდა კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელშემშლელ გარემოებებზე და გამოიმუშავა ღონისძიებები მათი გადასალახავად.

კოლმეურნეობათა გამსხვილების საკითხი

ერთი ასეთი გარემოება თვითეულ კოლმეურნეობისა ძალზე სიმცირე. სტატისტიკური მასალებიდან გამოირკვა, რომ რუსეთში საშუალოდ თითო კოლმეურნეობაზე მოდის შეკავშირებული 11-დან 13 ოჯახამდე და 40 დესეტინამდე გაერთიანებული მიწა. ცხადია, რომ ასეთ პატარა კოლმეურნეობებში შეუძლებელია საჭირო გაუმჯობესებათა და რეფორმების შეტანა. აქ მოუხერხებელი ხდება მსხვილ მიწადმოქმედების უპირატესობათა გამოყენება. ამიტომ ჩვენს წინაშე ისმება საკითხი კოლმეურნეობათა გამსხვილებისა. როგორც ახალი მსხვილი ერთეულების დაარსებით, ისე მცირე კოლმეურნეობათა გაერთიანებით, ამ მიზნით კერძოდ უნდა დაჩქარდეს მიწადმოწყობა კოლმეურნეობებში.

მსხვილი კოლექტივები, მრავალი მუშახელით და განსაზოგადოებული მიწების დიდი ფართობით მოგვცემს ასეთ შედეგებს: ა) სახარგებლოდ გამოვიყენებთ მსხვილ მანქანა-იარაღებს, რაზედაც დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის აღდგენა; ბ) გავაცხოველებთ აგრონომიულ ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის საქმეს, გ) გავზრდით მოსავლიანობას და მოვამაღლებთ ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოების გარდაქმნას.

ამ მხრივ სესიამ მტკიცე დირექტივები მოგვცა. „თოველი წინ, მსხვილი კოლექტიური მეურნეობისაკენ" (ამხ. მოლოტოვის სიტყვები მე-15 პარტყრილობაზე)—ასეთია ჩვენი ლოზუნგი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

აგროდახმარება და ჯგუფური აგრონომია

სესიის მეორე მნიშვნელოვანი დირექტივა ეხება აგროდახმარების გაძლიერებას და ჯგუფურ აგრონომიის მოწყობას.

ჩვენი გლეხობა აგრონომიული ცოდნის მხრით ძალზე ჩამორჩენილია, მან არ იცის მანქანა-იარაღების სათანადოდ მოხმარება და მიწის რაციონალურად დამუშავება. აქედან აგრონომების მიზანშეწონილ გამოყენებას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორი სახის აგროდახმარება გვაქვს ჩვენს მეურნეობებში შესატანი? ეს არის: ა) სწორი თესლთბრუნვის შემოღება, რომლის ჩანასახიც არ არის ჯერ ჩვენში; ბ) ჯიშიანი სათესლე მასალის დამზადება; გ) მიწების განოყიერება; დ) საქონლის ჯიშის გაუმჯობესება; ე) საქონლიანი ტექნიკური მეურნეობის გავრცელება და სხვა. საითკენ წაიყვანს ეს ღონისძიებები ჩვენს მეურნეობას, ასეთი ღონისძიებები აუცილებელია მოსავლიანობის გასადიდებლად.

ჩვენ გვყავს ეხლა სოფლად მიწსახკომის აგრონომები, რომელნიც შეძლებისდაგვარად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს, მაგრამ ეს შეძლებისდაგვარად. [illegible] აგრონომები ზოგ შემთხვევაში დიდ ინიციატივას იჩენენ და ბევრს მუშაობენ კოლმეურნეობებში, მაგრამ თუ აგრონომების საერთო მასას ავიღებთ, უნდა ითქვას, რომ ისინი, თავის სურვილის წინააღმდეგ, ვერ ახერხებენ ამ მხრივ მუშაობის დაძლევას, რადგან სხვა დავალებებით არიან დატვირთულნი. ცხადია, ასეთი სასხვათაშორისო მუშაობა კოლმეურნეობებში ოდნავადაც არ არის საკმარისი. ცხადია, მიწსახკომის აგრონომიამ კოლმეურნეობათა მშენებლობას გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. მაგრამ ჩვენს წინაშე საკითხი ისმება კიდევ საკუთარი აგრონომიული ძალების გამონახვისა; ეს ძალები უშუალოდ და მხოლოდ კოლმეურნეობათა საქმეებში იქნებიან დატვირთულნი. ამ მხრივ საბჭოს სესიამ მოგვცა დირექტივა შექმნათ ჯგუფური აგრონომია.

ასეთი აგრონომია გულისხმობს კოლმეურნეობათა ჯგუფურად მოწყობას, რის შესახებ დირექტივა გვაქვს კოლმეურნეობათა პირველ საკავშირო ყრილობისაგანაც. რამოდენიმე, რიცხვით 7—10-დე ერთი რაიონის კოლმეურნეობანი ურთიერთ შორის სდებენ ხელშეკრულებას, ამგვარად გაერთიანებული ჯგუფი იწყობს მსხვილ წამოწყებებს, როგორიცაა: წისქვილი, სახერხი ქარხანა, აგურხანა და სხვა, აგრეთვე იძენს მსხვილ მანქანა-იარაღებს, სალეწ მანქანებს, ლოკომობილებს და სხვ. ეს ღონისძიებები სახარგებლო და რენტაბელურია მხოლოდ კოლექტივთა ჯგუფში, ერთი საშუალო ტიპის კოლმეურნეობა ამ ღონისძიებებს ვერ გაატარებს, რადგან მას საშუალებანი არ მოეპოვება და კიდევაც რომ მოეპოვებოდეს, საჭირო არ არის მარტო მისთვის ერთი წისქვილი, სახერხი ან სალეწი და სხვ., მაშინ, როდესაც ყველა ამ წამოწყებებს დატვირთავენ და სახარგებლოთაც გამოიყენებენ კოლექტივთა ჯგუფები. ამიტომ ჩვენი უახლოესი მიზანია ფართოდ გავშალოთ ჩვენში კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანება.

კოლმეურნეობათა ჯგუფებმა უნდა აიყვანონ ჯგუფში შემავალ კოლექტივებისათვის აგრონომი და მოაწყონ აგროპუნქტი. თითო კოლმეურნეობას მათი აყვანა არ შეუძლიათ, ჯგუფი კი პირველ წელში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის და მთავრობის დახმარებით შესძლებს მათ შენახვას, შემდეგში კი, როდესაც სამეურნეო მხრივ კოლექტივები მოღონიერდებიან, შესძლებენ თვით გასწიონ სათანადო ხარჯები.

კოლმეურნეობათა ჯგუფების მოწყობა და მათი აგრონომების საშუალებებით ხელმძღვანელობა ერთ-ერთ მთავარ დირექტივად მოგვეცა კოლმეურნცენტრის საბჭოს სესიამ.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, თანამედროვე ტექნიკის, გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღების და სხვა საშუალებების გავრცელებასთან ერთად აუცილებლად გულისხმობს გლეხების კულტურულად და პოლიტიკურად მომზადებას, განსაკუთრებით ეს ითქმის კოლმეურნეობათა წევრების შესახებ. საჭიროა, რათა კოლმეურნეობებში გადაიშალოს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა., წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის უახლოეს დროში მოსპობა, მოზარდი თაობის სკოლებში გაგზავნა, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და მათი ხმამაღლა კითხვა, საბავშვო ბაღებისა და კრების მოწყობა, სამკითხველოების და წითელი კუთხეების გახსნა, მოძრავი კინოებისა და თეატრების ორგანიზაცია, საექიმო და საბებიო პუნქტების მოწყობაში და სხვ.,—ასეთია ამ მხრივ ამოცანები, ამავე დროს კულტურულ დარგში მომუშავე კომისარიატებმა გამოზარდონ და მოამზადონ კოლმეურნეობათა, ახალი ხელმძღვანელები. ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობათა მშენებლობის კურსის შემოღება როგორც უმაღლეს, ისე საშუალო და დაბალ ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლებში და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა განვითარებისათვის სკოლის ასაკამდე ბავშვების სკოლებისა, საბავშვო კრებისა და ბაღებში მოწყობას. ეს საშუალებას მისცემს კოლექტივის წევრ ქალებს განთავისუფლდნენ ბავშვების მოვლის და ყოველდღიურ წვრილმან ოჯახურ საქმეებიდან და ჩაებან საზოგადოებრივ მუშაობაში. მეორე მხრივ მოზარდი თაობა მიიღებს სწორ აღზრდას.

გარდა ტექნიკური უცოდინარობის მოსპობისა, საჭიროა პოლიტიკური უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაც. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით კოლმეურნეობებში თითქმის არაფერი გაკეთებულა. უნდა მოეწყოს მოძრავი პოლიტსკოლები მსხვილ კოლმეურნეობებში. სადაც შეუძლებელია კოლექტივში ასეთი სკოლების მოწყობა. უახლოეს სკოლაში უნდა იქნეს გაგზავნილი კოლექტივის წარმომადგენლები. საჭიროა, რათა 1-ლ საფეხურის სკოლები პირველ რიგში გაიხსნეს იმ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებია, ამასთანავე ყოველივე უპირატესობა უნდა მიეცეს კოლმეურნეობის წევრთა ბავშვებს და მოზარდთათვის ყველა ტიპის სკოლებში მიღების დროს.

დიდი სამოღვაწეო ასპარეზი კოლმეურნეობებში კულტურულ მუშაობის მხრივ აქვს აგრეთვე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს. საექიმო დაწესებულებები კოლმეურნეობებს უნდა დაუახლოვდნენ. უნდა ხდებოდეს პერიოდული საექიმო გასინჯვა კოლმეურნეობათა წევრების და მათი ოჯახთა წევრებისაც. უნდა მოეწყოს რეგულიარული სანიტარული ზედამხედველობა კოლმეურნეობებზე. კოლმეურნეობათა მხრივ განვითარებულ რაიონებში უნდა მოეწყოს დედათა და ბავშვთა კონსულტაცია. კოლმეურნეობებისათვის უნდა მოეწყოს მოძრავი საბებიო პუნქტები. სადაც ეს მოსახერხებელია, უნდა გაძლიერდეს კოლმეურნეობათა მომარაგება წამლებით და ყველა კოლექტივში უნდა მოეწყოს პატარა აფთიაქები.

კაპიტალების ორგანიზაცია

კოლმეურნეობაში არის ორი სახის მთავარი კაპიტალი, განუყოფელი და გასაყოფი. ამას გარდა არის კიდევ სამორტიზაციო და სათადარიგო თანხები.

განუყოფელი კაპიტალი ეს ყველაზე მნიშვნელოვანია კოლმეურნეობისათვის. რამდენად დიდია ის, იმდენად მეტია განსაზოგადოება კოლექტივში და იმდენად ძლიერია უკანასკნელი, თუ რომელიმე წევრი კოლექტივიდან გავიდა განუყოფელი კაპიტალიდან ის არაფერს იღებს, განუყოფელი კაპიტალი კოლექტივში შესდგება სახელმწიფოს მიერ გადმოცემული ქონებიდან, განუყოფელ კაპიტალში შედის მსხვილი მანქანა-იარაღების ღირებულება და თვით კოლექტივის ყოველწლიური ანარიცხები განუყოფელ კაპიტალში გადასარიცხავად. ყოველწლიური სამეურნეო შედეგების გაგების შემდეგ, როდესაც გამოიყვანება ბალანსი და გამოირკვევა მეურნეობის მდგომარეობა, საერთო შემოსავლიდან იფარება პირველ რიგში ვალები, შემდეგ განსაზღვრული პროცენტი გადაიდება განუყოფელ კაპიტალში და დანარჩენით დაკმაყოფილებული იქნება წევრთა სამომხმარებლო და კულტურული საჭიროებანი და სხვ. მაშინვე ხდება გაცვეთილი მანქანა-იარაღების აღსადგენი თანხის გადიდება. განუყოფელი კაპიტალის დაგროვებას ეძლევა დიდი მნიშვნელობა, მასზეა დამოკიდებული სოციალისტური დაგროვება კოლმეურნეობაში. თუ კოლექტივი სულ დაიშალა, ეს თანხა მაინც არ იყოფა წევრთა შორის და გადადის კოლექტივიზაციის ფონდში, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს კოლმეურნეობის განსავითარებლად.

გარდა განუყოფელი თანხებისა კოლექტივში არის ისეთი თანხებიც, რომლებიც გასვლისას წევრს უბრუნდება. ესაა მის მიერ შემოტანილი პაი და ანაბარის სახით შემოტანილი ქონება ან თანხა. გასულ წევრს ეს უბრუნდება წლიური ანგარიშების დასრულების შემდეგ, როდესაც გამოირკვევა მეურნეობის წარმოების შედეგები. გასულ წევრს წლის დამთავრებისას შემოტანილ ქონებასთან ერთად უბრუნდება მიწიც. მიწის დაბრუნება უნდა მოხდეს ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს განსაზოგადოებულ მეურნეობის წარმოებას და არ დაშალოს გაერთიანებული ტექნიკური ძვირფასი კულტურები, ამისათვის გასულ წევრს პირველ რიგში უნდა მიეცეს მიწა ახლად შემოსული წევრისა ან სახელმწიფო ფონდიდან, ამნაირად, ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა არ დაქუცმაცდეს უკვე განსაზოგადოებული მიწები.

რაც შეეხება წევრის მიერ შეტანილ საპაიო თანხის სიდიდეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის უნდა იქნეს იმდენი, რომ ყველა წევრებმა შესძლონ მეურნეობის პირველ ხანებში მოწყობა და წაყვანა. საპაიო თანხა შეიძლება იქნეს სხვა და სხვა რაოდენობის—25 მანეთიდან 100 მანეთამდე და მეტიც. გარდა ამისა განსაზოგადოებულ მეურნეობას წევრს შეუძლია ამ მეურნეობას დაეხმაროს ფულით, თუ აქვს; შეიტანოს იქ ანაბარად, რისთვისაც მიიღებს საკრედიტო ამხანაგობაში დაწესებულ პროცენტს.

როდესაც საპაიო თანხის შეტანაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს კოლექტივებში დიდი ადგილი უჭირავს მოჯამაგირეობას და ღარიბ გლეხობას, რომელთაც საპაიო შეტანის საშუალება არა აქვთ. ამიტომ მათთვის არსებობს მთელი რიგი შეღავათები: შესატანი პაის განაწილება რამოდენიმე წელზე და ნაწილ-ნაწილად შეტანა, ღარიბი გლეხობის პაის შეტანა ღარიბთა კოოპერატიულ შეკავშირების ფონდიდან. ამ ფონდიდან მიღებული პაი რამოდენიმე წლის შემდეგ უნდა დაბრუნებულ იქნეს წევრის მიერ და მოხმარდეს სხვა გლეხის წევრად შეყვანას. ამავე დროს თვით კოლმეურნეობა ქმნის ღარიბთა ფონდს. შესაკავშირებელ ფონდს, რომლის ხარჯზე შეყვანილი იქნება კოლექტივში ღარიბი გლეხი ან მოჯამაგირე. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არც ერთი ეს ღონისძიება ცხოვრებაში არ ტარდება, რაც ხელს უშლის კოლმეურნეობათა გაძლიერებას. ამ საკითხების მოგვარებით, ცხადია, მეტად დაჩქარდება ტემპი ღარიბი გლეხობის კოლმეურნეობაში შეკავშირებისა. კოლმეურნეობათა ცენტრის საბჭოს სესიამ ამ მხრივ დასახა სათანადო ღონისძიებები.

სესიამ შემდეგ განიხილა ტრაქტორების მშენებლობის საკითხი საბჭოთა კავშირში, გამოირკვა, რომ ყოფ. პუტილოვის და უკრაინის სატრაქტორო ქარხნებში ჩქარი ტემპით იზრდება ჩვენი ტრაქტორების გამოშვება. რაც შეეხება სტალინგრადის ქარხანა-გიგანტის აგებას, დასმულია საკითხი უმაღლეს ორგანოებში გეგმის გასაფართოებლად და მშენებლობის დასაჩქარებლად. ასე რომ, უახლოეს 3—4 წელიწადში იმდენად გაიზრდება ჩვენი ტრაქტორების წარმოება, რომ ის საკმაოდ დააკმაყოფილებს ჩვენი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას.

ვლ. ცაგარელი.

საბჭოების საანგარიშო კამპანია

საბჭოების საანგარიშო კამპანია მშრომელი მასების დიდი აქტივობით მიმდინარეობს.—ხულოს მაზრაში დასრულდა საბჭოთა გადარჩევები.—საარჩევნო კრებებზე აჭარელი გლეხობა ამჟღავნებდა მოლების მატყუარობას და მოითხოვდა სავალდებულო დადგენილების გამოცემას მედრესების დახურვის და ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ

თბილისის საბჭო ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

პარტსკოლის კურსანტები თბ. საბჭოს მუშაობის შესახებ

თბილისის ცენტრალური პარტსკოლის კურსანტები განსაკუთრებული ინტერესით შეხვდენ თბილისის საბჭოს მოღვაწეობის შესახებ გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებას.

თბილისის საბჭოს წევრს ამხ. ვ. პოლოხოვს, რომელიც გამოვიდა მოხსენებით, საბჭოს მუშაობის შესახებ, დამსწრეებმა სიტყვასიტყვით მიაყარეს შეკითხვები.

— რატომ მოხდა, რომ ტრამვაი ზელაბლის დიზელებიანი სადგურის ენერგიაზე გადაიყვანეს და ზაჰესს ჩამოაშორეს?

— რატომ არის ამბულატორიებში დიდი რიგები და ამის წინააღმდეგ ღებულობენ თუ არა ზომებს?

— რატომ არ იშოვება ქალაქის აფთიაქებში ზოგიერთი წამლები?—ასეთი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათმა ორატორმა.

— ჩვენ შრომის სკოლებში, ამბობდენ კამათში გამოსული კურსანტები,—არ არის სწავლის საქმე ისე დაყენებული, როგორც ეს შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს და შრომის სკოლის ხასიათს. ბევრ სკოლებში თავის სიმაღლეზე არ დგას პედაგოგიური პერსონალი და ზოგანაც ჩვენს შრომის სკოლას არ შეეფერება სწავლების მეთოდი. ამიტომ მომავალში, ახალი საბჭოს ალმასკომმა და მისმა განათლების განყოფილებამ უნდა იზრუნოს ამ საკითხების მოსაგვარებლად.

კამათის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოწონებულია მეექვსე მოწვევის თბილისის საბჭოს მუშაობა.

მეტი ყურადღება საბინაო მშენებლობას

მეექვსე სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა თავის ოჯახის წევრებთან ერთად მოისმინეს ამხ. მიკირტიჩიანის და ამხ. კოპაძის მოხსენებები თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებლებმა ქართულ და რუსულ ენებზე კრებას დაწვრილებით გააცნეს თბილისის საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

მათი სიტყვით საანგარიშო ხნის განმავლობაში თბილისის საბჭომ ბევრი რამ გააკეთა მასიური მუშაობის გასაღრმავებლად. სექციებში მუშაობდა 848 წევრი. ამას გარდა საბჭოს მუშაობაში ჩაბმულია 90 აქტიური ქალი. საბჭომ შესძლო სამეურნეო ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება 148,835 მანეთის რაოდენობით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა საბჭომ დროზე მიაქციოს ყურადღება ტრამვაის მოძრაობის საქმის მოწესრიგებას და მუშათა უბნებში გაუშვას ტრამვაის ვაგონები საკმაო რაოდენობით, უნდა მოიკირწყლოს ზოგიერთი ქუჩები, რომელზედაც მოძრაობა შეუძლებელი ხდება, უნდა გაუმჯობესდეს მუშებისათვის მედიკამენტების მიწოდების საქმე, ამას გარდა თბილისის საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საბინაო მშენებლობის საქმეს რათა ძველი შეცდომები აღარ განმეორდეს და სხვა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც თბილისის საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბაში

პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ამხანაგებმა თბილისის საბჭოს მუშაობაში აღნიშნეს შემდეგი ნაკლოვანებანი. თბილისის საბჭო საბურთალოში გზების შეკეთებას არ აქცევდა შესაფერ ყურადღებას და უსუფთაობაა. 26 კომუნარის რაიონში განაპირა ქუჩები გასაბჭოების შემდეგ არ შეკეთებულა. მუშებს, რომლებსაც განაპირა უბნებში 2—3 ოთახიანი სახლი აქვთ დიდ გადასახადს აწერენ. მეეზოვეები ხშირად თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად არ ასრულებენ. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირებას ბევრგან არ აქცევენ ყურადღებას სასტუმროები, რომლებიც ხელს უწყობენ პროსტიტუციას. კრებამ საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

თბ. მუშკოოპის თანამშრომლებში

თბილისის მუშკოოპის თანამშრომელთა კრებაზე რომელსაც დაესწრო 500-დე კაცი, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ნარსიამ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათმა კაცმა. ორატორები თითქმის ერთხმად აღნიშნავდენ რომ თბილისის საბჭოს და ალმასკომს საანგარიშო პერიოდში მეტად თვალსაჩინო მიღწევები აქვს.

მიღწევასთან ერთად ხაზი გაესვა ზოგიერთ ნაკლოვანებებსაც. უმთავრესი საყვედური გამოითქვა იმის გამო, რომ ქალაქის გარეუბნებს კიდევ ვერ აქვთ მიქცეული შესაფერი ყურადღება. გამოითქვა უკმაყოფილება აგრეთვე იმის გამოც, რომ ქუჩების კეთილმოწყობის და ტრამვაის ხაზების დაგებაში ადგილი აქვს უგეგმობას. ეს ჩანს იქიდან, რომ ხშირად ერთსა და იმავე ადგილზე აწარმოებენ შეკეთებებს.

ყველა ამ და მრავალ სხვა მომენტებზე მიაქციეს ყურადღება კამათში გამოსულ ორატორებმა და მომავალ საბჭოს მოუწოდეს მათი გამოსწორებისაკენ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რეზოლიუციაში მუშკოოპის თანამშრომელთა საერთო კრება თბილისის საბჭოს და ალმასკომის საქმიანობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

მფრინავი მიტინგი თბილისის დეპოში

12 იანვარს თბილ. დეპოში შესდგა დეპოს მუშა-მოსამსახურეთა მფრინავი მიტინგი. რომელსაც დაესწრო 1500 კაცამდე. კრებამ—მოისმინა ამხ. გოლდაბაუმის მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ და გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია. რომ დეპოს მუშა-მოსამსახურენი მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რათა წარმატებით იქნეს ჩატარებული არჩევნები და საბჭოებში არ შეიპარონ საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტები.

მუშკორი კოლხიდელი.

საანგარიშო მოხსენება ცეკავშირში

ცეკავშირის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბიბილაშვილმა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ორატორებმა აღნიშნეს როგორც საბჭოს მუშაობაში არსებული მიღწევები, აგრეთვე შეეხენ არსებულ ნაკლოვანებებსაც. ეს ნაკლი გამოიხატება შემდეგში: სუსტი საბინაო მშენებლობა და ამავე დროს არსებული სახლების შეუკეთებლობა, ტრამვაის მოძრაობის მოუწესრიგებლობა და სხვა.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია რომელშიც კრება იწონებს თბილისის საბჭოს მუშაობას.

ძეხვების ქარხანაში

ძეხვების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აზარაშვილმა.

მოხსენების დამთავრებისა და შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა.

მოკამათენი უმთავრესად აღნიშნავდენ: ალმასკომის ზოგიერთ განყოფილებებში; თელასში, უკსში და ჯანმრთელობის განყოფილებაში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს, რაც უმთავრესად აიხსნება ამ ორგანოებში ძველი თავად-აზნაურების და ჩინოვნიკების მოკალათებით. ერთ-ერთმა მუშამ, რომელმაც ცენტრალურ ამბულატორიაში მოსამსახურე ქალს საექიმო დახმარება მოსთხოვა, პასუხად მიიღო: „შენისთანა მუშები მამა-ჩემს 4 ყავდა და თან ლანძღვით გაუმასპინძლდა.

აბანოები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას მუშა-მოსამსახურეთათვის ელექტრონის გაუვნე, შეუძლებელი ხდება დიდი ფასების გამო.

დასასრულ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიც საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი.

კამათი გადაიდო მეორე სხდომისათვის

11 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე შესდგა პოლიგრაფტრესტის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის და წითელი ჯვრის სტამბის მუშა-მოსამსახურეთა კრება რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ხამუილოვმა და გიორგაძემ. მომხსენებლები შეეხენ საბჭოს მიღწევებს ელექტროფიკაციის, სწავლა-განათლების ჯანმრთელობის, აგრო-დახმარების და სხვ. დარგში.—მოხსენების ირგვლივ შემოვიდა აუარებელი შეკითხვები, რის გამო კრება გაგრძელდა და შეუძლებელი გახდა კამათის გახსნა. კამათი გადაიდო ორშაბათისთვის.

მუშკოოპის ტრანსპორტზე მომუშავეთა შორის

მუშკოოპის ტრანსპორტზე მომუშავეთა კრებაზე თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. სტუპკოვმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი ორატორები თბილისის საბჭოს მუშაობაში აღნიშნავდნენ შემდეგ ნაკლოვანებებს:

საავადმყოფოებში ექიმები ავადმყოფებს უხეშად ეპყრობიან, რის გამოც ზოგიერთი ავადმყოფები გაურბიან ამბულატორიაში მისვლას.

ნეპმანებს, ვაჭრებს და აგრეთვე ბევრ საბჭოთა მოსამსახურეებს საბჭოთა სახლებში უკავიათ ბინების დიდი ფართობი, საჭიროა მოხდეს მათი შემჭიდროება.

დიდუბის უბანში გზები შეუკეთებელია, რის გამო ხდება ავტომობილისა და ტრამვაის ვაგონების დაჯახება.

განათლების განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებას.

საბჭოთა სახლები ბევრგან ინგრევა, საჭიროა მათ შესაკეთებლად დროზე ზომების მიღება.

უნდა გაძლიერდეს ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ.

კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

სად შესდგება საანგარიშო კრებები

ქალაქის რაიონში

დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება სამხედრო-კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

26-ის სახ. რაიონში

დღეს, დღის 10 საათზე, სამხედრო-წისქვილის შენობაში შესდგება ამავე წისქვილის მუშების კრება.

ამავე დროს ორთაჭალის შამულში შესდგება მებაღეთა კრება.

14 იანვარს კრებები შესდგება

26-ის სახ. რაიონში

საღამოს 7 ს. ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის შენობაში მოწვეულია ამავე კომისარიატის და „ზაკგოსტორგ"-ის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება.

შუა ბაზარში № 22, საღამოს 7 საათზე შესდგება „საფეიქრო ვაჭრობის", კბილის საექიმო კლინიკის, „სოიუზხლებ"-ის, ტყავის სინდიკატის, „მიასოპროდუქტი"-ს და „ბირლიკი"-ს თანამშრომელთა საერთო კრება.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3) საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ახალშენებათა კომიტეტის და ქიმიურ ლაბორატორიის თანამშრომლების კრება.

სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის შენობაში საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე ამხანაგობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კრება.

ქალაქის რაიონში

ფინანსთა სახ. კომისარიატში (კეცხ. 7) საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე კომისარიატის თანამშრომელთა კრება.

პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის მუშა-მოსამსახურეთა კრება შესდგება 4 საათზე (ბროსეს ქუჩა 2).

4 ს. შესდგება 1-ლი სტამბის მუშების კრება (პლეხან. 91).

თბ. ელექტრო-მექანიკურ ქარხნის მუშების კრება შესდგება ნაშუადღევის 3 ს.

გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკაში კრება მოწვეულია 4 ს. (ვერის აღმ. 61).

თბ. ალმასკომის წითელ დარბაზში საღამოს 6 საათზე შესდგება ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა კრება.

საღამოს 7 საათისათვის მოწვეულია იუსტიციის სახ. კომისარიატის მოსამსახურეთა კრება (ტრიბ. ქ. 32).

სახ.-სამ. მუზეუმში 4 ს. შესდგება მიწადმოქ. სახ. კომისარიატის და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კრება.

ცეცხლის მქრობელ რაზმის თანამშრომლების კრება მოწვეულია დღის 12 ს. რაზმის შენობაში.

გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში კრება შესდგება საღამოს 6 ს.

სანიტ-განათლების სახლში საღამოს 6 საათზე შესდგება ჯანმრთ. კომ., გინეკოლოგიურ და ფიზიოთერაპევტიულ ინსტიტუტის, ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის, საკურორტო სამმართველოს და მედტექნიკუმის თანამშრომელთა საერთო კრება.

მუშათა თეატრში (ყოფ. სახ. სახლი) ნაშუადღევს 3 საათზე შესდგება სახმედვაჭრობის, წითელი ჯვარის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის, საფეთიაქო სამმართველოს და აფთიაქების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

შინა-მოსამსახურეების კლუბში საღამოს 7 საათზე შესდგება პარიკმახერებისა და მრეცხავების გაერთიანებული კრება.

შეჯიბრება პირველობაზე

26 კომუნარის სახელობის რაიონის [illegible] ჩვენი კომისიამ არჩევნების საუკეთესოთ ჩატარებაზე გამოიწვია ბაქოს ბაილოვის ბიბიეიბათის რაიონის საარჩევნო კომისია, რომლისგან მიღებულია შემდეგი პასუხი: ვიღებთ თქვენს ამხანაგურ გამოწვევას. გიგზავნით ძმურ სალამს ბაილოვო ბიბიეიბათის რაიონის პროლეტარიატის სახელით. ამ დღეებში ჩამოვა ჩვენი წარმომადგენელი. გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელიც.

წითელ ჯარში

№ არტ-ლეგიონში

ნაწილში უკვე დაიწყო საბჭოთა არჩევნების კამპანიის ჩატარება. ლეგიონის პარტპოლიტსაგანმანათლებლო გეგმაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი არჩევნების კამპანიის ჩატარებას, ტარდება საუბრები წ.-არმიელებს შორის. ლენკუთხეში ჩამოყალიბებულია ხმა-მაღლა მკითხველთა ჯგუფები, სადაც სისტემატიურად სწარმოებს გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა. ლეგიონის კლუბში დადგმული იქნა წარმოდგენა „ბნელი ძალები", რომელიც მთლიანად გამოხატავდა საბჭოთა არჩევნების ფორმებს და კულაკების ბრძოლას საბჭოებში გასაძრომისათვის, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წ.-არმიელებზე.

მზადდება ლენ კუთხეებში ინსცენიროვკები. უკვე შედგენილია საარჩევნო სია, როგორც ლეგიონის შემადგენლობის, ისე მეთაურთა ოჯახის წევრების.

იანვრის პირველ რიცხვებში მოსმენილ იქნა მოხსენება პარტ-ორგანიზაციაში კომკავშირთან ერთად „პარტ-ორგანიზაციის როლი საბჭოთა არჩევნებში".

26, 27, და 28 იანვარს ჩატარდება დივიზიონების საერთო კრებები მეთაურთა ოჯახების წევრებთან ერთად, რომელზედაც მოსმენილი იქნება დეპუტატების მოხსენებები საბჭოს მუშაობის შესახებ.

წელს ჩვენი ლეგიონის შემადგენლობა ასი პროცენტით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას.

ვლ. ჩერქეზია.

საბჭოთა არჩევნების შედეგები ხულოს მაზრაში

(წერილი აჭარისტანიდან)

ხულოს მაზრაში დასრულდა საბჭოთა არჩევნები. წინასწარ მოწვეულ იქნა ღარიბთა ჯგუფების კონფერენცია აჭარელ ქალების თანდასწრებით. რომელზედაც დამუშავდა საბჭოთა გადარჩევებთან დაკავშირებული საკითხები.

მოსამზადებელ მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღარიბ გლეხობის დარაზმვას და რაც მთავარია—აჭარელ ქალთა მონაწილეობას საბჭოთა რჩევნებში. ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა აგრეთვე მიქცეული მოჯამაგირეების შეკავშირებასაც. მოსამზადებელი მუშაობა გაგრძელდა ორი თვე, ხოლო არჩევნები დაიწყო 18 დეკემბრიდან. მაზრა დაყოფილი იყო 59 უბნად მამაკაცებისათვის და 80 უბნად აჭარელ ქალთათვის. მთელ მაზრაში ამომრჩეველთა რიცხვი უდრიდა 15.558-ს.

საარჩევნო კამპანია დამთავრდა 31 დეკემბერს; ყველა თემებში არჩეულია ახალი თემსაბჭოები თავისი ხელმძღვანელი ორგანოებით.

საბჭოების შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: ღარიბი გლეხები—76 პროცენტი, საშუალო—24 მოჯამაგირეები—8, წითელ არმიელები—8. შეძლებულები სრულებით არ არის გაყვანილი საბჭოებში. არჩეულთა შორის 18 პროცენტს ქალები შეადგენენ, რაც უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება უდრიდა: მამაკაცების 80 პროცენტს, აჭარელ ქალების 35—40 პროც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ თემებში ადგილი ჰქონდა კრებების გადადებას რაც გამოწვეული იყო კულაკურ და სახულიერო წოდების ელემენტების მიერ პროვოკაციული ხმების გავრცელებით. ისინი ჩუმად დაძვრებოდნენ სოფლად და ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს საბჭოთა არჩევნების დროს ხელისუფლებას სურს აჭარელ ქალებს ძალით ახადოს ჩადრი, დაუკეტოს გლეხებს მედრესები და მით ხიფი აღებინოს სარწმუნოებაზე.

მართალია საბჭოების არჩევნებს ჩვენ დაუკავშირეთ ჩადრის ახდის კამპანია და მედრესების დახურვა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს თითქოს ამ ნიადაგზე პარტია და ხელისუფლება ძალადობას მიმართავს. ეს უნდა მოხდეს პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით მშრომელ გლეხებს შორის.

ფუჭარა გლეხებს პირველ ხანებში გავრცელებული ხმები მართალი ეგონა რის გამო ზოგიერთ კრებებზე დანიშნულებისამებრ არ ცხადდებოდნენ მაგრამ როცა გაიგეს პროვოკატორების ოინები, მაშინვე ყველა როგორც მამაკაცები, ისე ქალები სიხარულით მიეშურებოდნენ კრებებზე.

საარჩევნო კრებებზე გლეხები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საკითხების გადაჭრაში, ისინი განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ თემსაბჭოს მუშაობას და აძლევდნენ საქმიან მითითებებს ახალ საბჭოებს მომავალი მუშაობისათვის.

აჭარელი ქალები, რომლებიც პირველად გამოდიოდენ კრებებზე მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ამა თუ იმ საკითხის გარჩევაში. ისინი აგრეთვე თავიანთ მხრივ ირჩევდნენ დეპუტატებს საბჭოებში. ჩადრის ახდას აჭარელი ქალები დროულად სთვლიდენ და ზოგიერთები საარჩევნო კრებებზევე იხდიდენ ჩადრებს.

მამაკაცები შეგნებულად ხვდებოდნენ ჩადრის ახდას, ხოლო მედრესების დახურვაზე კი პირველ ხანებში ყოყმანობდენ, მაგრამ როდესაც პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლები უხსნიდნენ გლეხებს იმ სისაძაგლეებს, რომელსაც ჩადის ხოჯა-მოლები მშრომელთა წინაშე, და რომელიც მოაქვს მედრესების არსებობას გლეხობა ერთხმად მოითხოვდა მედრესების დახურვას და მის მაგიერად შრომის სკოლების გამრავლებას.

საარჩევნო კრებებზე გლეხებიც გამოდიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ: მედრესე ხალხის მტერია. მედრესის საშუალებით ხოჯები თვალებს გვიბრმავებენ ისინი ახალგაზრდებს ვითომ ასწავლიან, მაგრამ სინამდვილეში—კი მედრესეში რყვნიან ბავშებს და აჩვევენ ათას გვარ ბოროტებას, მაგალითებისათვის მოყავდათ სოფ. დანდალოს ხოჯა, რომელმაც გააუპატიურა 5 წლის ბავში და შემდეგ ცეცხლშიაც კი დასწვა. ლაპარაკობდენ ღორჯომის ხოჯაზედაც, რომელიც მრავალჯერ იქნა დაჭერილი გლეხობის მიერ ქურდობაში და ცხოველებთან სქესობრივ კავშირის დაჭერაში.

ყოველივე ამის გამო საარჩევნო კრებებზე დამსწრე გლეხები ერთხმად გაიძახოდენ: ძირს მედრესები, ძირს მატყუარა ხოჯები. გაუმარჯოს კულტურას!

ხულოს მაზრის გლეხობა დღეს შეგნებულად გამოდის და მოითხოვს მთავრობისაგან სავალდებულო დადგენილების გამოცემას მედრესების დახურვისა და ჩადრის ტარების აკრძალვისათვის. გლეხობა მოითხოვს აგრეთვე სავალდებულო სწავლების შემოღებას.

საერთოდ საბჭოების გადარჩევებმა ხულოს მაზრაში გამოააშკარავა, რომ აჭარისტანის გლეხობა თავს აღწევს სიბნელეს და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების გზაზე.

რ. ხოზრევანიძე.

საანგარიშო კამპანია ქუთაისში

ქუთაისი, 11 იანვარი. ქუთაისში გაჩაღებულია საანგარიშო კამპანია. ქალაქი გაყოფილია 28 საარჩევნო უბნად აქედან 13 ტერიტორიალური უბანია, 12 სამრეწველო და 3 სამხედრო. საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვითაც 13 იანვარს საანგარიშო კამპანია ჩატარდება სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე, ხოლო 20 იანვარს—ტერიტორიალურ და სამხედრო უბნებში. უკვე დასრულდა შედგენა საარჩევნო უფლება წართმეულ პირთა სიებისა, რომლებსაც ამ დღეებში გამოაქვეყნებენ. საარჩევნო უფლება წართმეულ პირთა რიცხვი წელს შარშანდელზე მეტია. (ადს).

მოსამზადებელი მუშაობა გაგრძელდება 15 იანვრამდე

(წერილი ჭიათურიდან)

ჭიათურის მუშკოოპი უკვე შეუდგა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

მუშკოოპის გამგეობამ გამოჰყო ერთი წევრი საარჩევნო კომისიაში სამუშაოდ.

კოოპერატიული აქტივი მიიღებს მონაწილეობას საარჩევნო კრებებში და ამ კრებებზე გააშუქებს საბჭოების ხელმძღვანელობას კოოპერაციისადმი.

მუშკოოპის მიერ ჭიათურასა და ქარხანა მაღაროებში ფართოდ იქნება გავრცელებული გაზეთ „ჩვენი კოოპერაცია"-ს სპეციალური საარჩევნო ნომერი, პლაკატები და ლოზუნგები.

ფართოდ იქნებიან გამოყენებული საარჩევნო კამპანიის დროს კოოპერატიული წრეები და კლუბებთან და ქოხ-სამკითხველოებთან არსებული კოოპერატიული კუთხეები.

თემებში ჩატარებულ იქნება საუბრები შემდეგ თემებზე: „კოოპერაციის მიღწევები და ჩვენი ამოცანები საბჭოთა გადარჩევაში".

კოოპერატიული კუთხეები მორთული იქნება საარჩევნო პლაკატებით. კუთხეებში სისტემატიურად იწარმოებს საუბრები არჩევნების ირგვლივ.

მოხსენებებისა და საუბრებისათვის გამოყენებული იქნებიან კოოპერატივის გამგეობის წევრები და აქტივი.

კედლის გაზეთებში მოთავსებული იქნება წერილები არჩევნების შესახებ.

განზრახულია არჩევნების დროს გამოყენება მოძრავი კინოსი, რომლითაც ნაჩვენები იქნება კოოპერატიული ხასიათის კინო-სურათები.

ი. ხ—შვილი.

რა გაკეთდა პროფკავშირების ხაზით

(საქართველოს პროფსაბჭოს ცნობები)

საბჭოების საანგარიშო კამპანიის დაწყების დროს, საქართველოს პროფორგანიზაციების მიერ საარჩევნო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დასრულებული იყო. იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც პროფკავშირებმა ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობის დაწყების დღიდან. უკვე იყო პრესაში გამოქვეყნებული ცნობები რომლებიც ეხებოდა გასული წლის 10 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე წარმოებულ მუშაობას.

საქართველოს პროფორგანიზაციები 15 დეკემბრამდე უმთავრესად დაბანდებული იყვნენ სამუშაო გეგმების შედგენაზე, ადგილებზე და ცენტრალურ გამგეობებთან კომისიების გამოყოფაზე საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობისათვის, კავშირების ცენტრალურ გამგეობებთან თათბირების მოწვევაზე და ამომრჩეველთა სიების შედგენაზე როგორც მუშა-მოსამსახურეების, ისე უმუშევრების და მათი ოჯახის წევრების.

15 დეკემბრიდან მთავარი სამუშაო გადატანილ იქნა ადგილებზე და კავშირების ცენტრალური გამგეობები აწარმოებდნენ საერთო ხელმძღვანელობას მთელ მუშაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაზე პროფორგანიზაციების მიერ მიპყრობილია განსაკუთრებული ყურადღება ვინაიდან ამ კამპანიას აქვს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს იქიდან ჩანს, რომ ყველა პროფორგანიზაციებმა თავის დროზე შეუდგნენ სამზადისს და მოსამზადებელი მუშაობა ე. ი. საარჩევნო კამპანიის პირველი პერიოდი წარმატებით დაამთავრეს.

შედგენილი გეგმის თანახმად ცენტრალური გამგეობების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაო:

ყველა პროფორგანიზაციების მიერ მოწვეულ იქნა პროფაქტივის კრებები, რომლებზედაც აკეთებდენ მოხსენებებს საბჭ. გადარჩევების მნიშვნელობის შესახებ, იხილავდენ საკითხებს ცენტრალური გამგეობის სხდომებზე ფარკომების წევრებთან ერთად; უმუშევართა სიების შედგენა კავშირების მიერ თითქმის დასრულებულია.

გარდა ამისა, ზოგიერთი კავშირების მიერ, (გემო-კვების, კომუნალური მეურნეობის რკინის გზის საუწყებო პროფკავშირის, მელითონეების) ჩატარებულ იქნა მოხსენებები საერთო კრებებზე.

განათლების მუშაკთა და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირების მიერ ჩატარებულ იქნა აქტივის სარაიონო კრებები.

მთელ რიგ კავშირებმა (გემო-კვების, [illegible], მელითონეების და კომუნალური მეურნეობის მუშათა) გამოყვეს ადგილებზე საარჩევნო კომისიები.

ნაციონალურ უმცირესობათათვის ადგილებზე ჩატარებულ იქნა მოხსენებები მათთვის გასაგებ ენაზე და აგრეთვე მიწა-ტყის და განათლების მუშაკთა კავშირების მიერ გამოიცა პლაკატები და მოწოდებები ოთხ ენაზე (ქართულად, რუსულად, სომხურად და თათრულად).

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის მიერ ცენტრალურ გამგეობასთან ჩამოყალიბდა ცნობათა ბიურო საბჭოთა გადარჩევნებთან დაკავშირებით.

ის პროფორგანიზაციები, რომელთაც პროფკავშირების წევრთა დიდი რიცხვი ჰყავთ სოფლად, კავშირი აქვთ გაბმული მათთან.

მიწა-ტყის კავშირმა საარჩევნო კამპანიის გაშუქების მიზნით, ცენტრალურ გამგეობაში თათბირზე გამოიწვია თბილისის მაზრის მ შათა კომიტეტის თავმჯდომარეები.

კომუნალური მეურნეობის მუშათა და მ ლითონეების კავშირების მიერ შეფობაზ ვანილ სოფლებში გაიგზავნა საშეფო კომის ების წევრები.

მთელ რიგ წარმოებებში ჩატარდა მიტინ გამოწვევები, ასეთი მიტინგები გემო-კვებ ხეზე მომუშავეთა, ფოსტა-ტელეგრაფის ლითონეების და კომუნალურ მეურნეობის შათა კავშირების მიერ მოეწყო 40-ზე მეტ

პროფკავშირების სამაზრო ორგანიზაცი ბიდან ცნობები მთლიანად არ არის მიღებ ლი, მაგრამ არსებული ცნობებიდან ჩანს, რ პროფორგანიზაციები მაზრაში აწარმოებ მოსამზადებელ მუშაობას. ჩატარებულ ი აქტივის კრებები. საბჭოების გადარჩევებ დაკავშირებით. ავტონომიურ რესპუბლიკ ბის პროფსაბჭოების და სამაზრო პროფბ როების პლენუმებზე განხილულ იქნა საბჭ ების გადარჩევებთან დაკავშირებული საკ ხები.

სადირექტივო წერილების თანახმად, მი ბულ იქნა ზომები საანგარიშო და საარჩევ კამპანიაში სოფლად მომუშავე პროფკავშირ ბის წევრთა მისაზიდად, ეს მუშაობა გამოიხ ტება შემდეგში: მოხსენების გაკეთება გლეხებზე გამგზავრება, კედლის გაზეთებში ადგილობრივ პრესაში (აფხაზეთი აჭარისტან საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის გაშუქ და სხვ.

პროფკავშირების პასუხისმგებელი მუშ ბი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში მიე ზავრებოდნენ მაზრებში საკავშირო მუშაობა ამასთანავე ერთად მონაწილეობას იღებდ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებაში და ა ლევდნენ ადგილობრივ დირექტივებს.

რაც შეეხება კლუბების მონაწილეობას არჩევნო კამპანიაში, უნდა აღინიშნოს კომუნალური მეურნეობის მუშათა, მელით ნეების და სხვ. კავშირების სამხატვრო წრ ები გამოდიოდნენ სპეციალური დადგმებ კედლის გაზეთებმა შეუქცეს საარჩევნო მზადის მნიშვნელობა, მთელ რიგ წარმოებ ში გამოიცა კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრები საარჩევნო კამპანიასთან დაკავშ რებით.

ამასთან ერთად ეწყობოდა ექსკურსიები მ ზეუმებში და სხვა წარმოებებში თბილისის ს ჭოს მუშაობის გასაცნობად, ხოლო ამ მუშაობა სწარმოებს საანგარიშო კრებების სატარებლად.

არჩევნებისათვის სამზადისი ერევანში

(წერილი ერევნიდან)

6 იანვარს, დილით შესდგა ერევნის საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი დადგენილებანი: ერევანში საანგარიშო და საარჩევნო კამპანია დაიწყება 20 იანვრიდან და დამთავრდება 15 თებერვლამდე. ქალაქი დაყოფილია 48 საანგარიშო და 60-მდე საარჩევნო უბნად. 15 თებერვლამდე მოწვეულ უნდა იქნას ალმასკომის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც გააკეთებენ მოხსენებას ერევნის საბჭოს მუშაობის შესახებ.

ერევნის საარჩევნო კომისიამ არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისათვის [illegible] შეჯიბრებაზე გამოიწვია ქალ. ბათომი.

საარჩევნო ნორმა რჩება წარსული წლის, ე. ი. 25 მუშა აირჩევს საბჭოს ერთ დეპუტატს. კომისიამ გამოყო ხუთი ამხანაგი თბილისში გასაგზავნად საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის.

ლენინაკანი კი თავის მხრივ 5 ამხანაგს გზავნის ბაქოში.

ამით დამთავრდა საარჩევნო კომისიის დღის სხდომა.

საარჩევნო კომისიამ საღამოს სხდომაზე მოისმინა კოტაისის და ვედიბაზარის სარაიონო ალმასკომების თავმჯდომარეთა მოხსენებები, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაციული მუშაობა ხსენებული რაიონების უკვე დამთავრებულია და 5 თებერვლიდან დაიწყება საბჭოების არჩევნები, კოტაისის რაიონი იყოფა 32 სასოფლო საბჭოთ და 24 საარჩევნო უბნად. უახლოესი სოფელი ერევნიდან დაშორებულია 7 კილომეტრით, უკანასკნელი საარჩევნო პუნქტი კი 88 კილომეტრით. მთელი წინასწარი მუშაობა. მომხსენებლის სიტყვით, სწარმოებდა როგორც ზეპირად და კედლის გაზეთების საშუალებით, — ისე სხვადასხვა კრებების მოწვევით, სადაც კეთდებოდა მოხსენებები.

მომხსენებლის სიტყვით კოტაისის რაიონში ადგილი ჰქონია შემდეგ ნაკლოვანებებს. ერთ-ერთ სოფელში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იყო ყოფ. მღვდლის ცოლი, რაზეც მიღებული იქნა ზომები და ეს შეცდომა ადგილობრივ გამოსწორდა. ერთ-ერთ სოფელში კულაკები შეეცადნენ საარჩევნო კამპანიის ხელის შეშლას, მაგრამ მიღებული ზომებით კულაკები ალაგმულ იქნენ.

სოფელ ელგოვაკში ბეკ კიაზომს (ყო მაუზერისტი) მოჯამაგირის გამომცხადებ ჩამორთმევა საარჩევნო ხმის უფლება, რა გამო მან სიკვდილით დაემუქრა მოჯამაგ რეს.

სხვათა შორის ჩვენი მუშაობის დროს, ამ ბობს მომხსენებელი, სოფლებში ყოფ მღვდლები და კულაკები მართავენ ქეიფებ რითაც სურთ ხელი შეუშალონ მ შაობას. საერთოთ აღნიშნულ რაიონში ხმ მიცემის უფლება წართმეული აქვს ამომრჩ ველთა საერთო რიცხვის 5 პროც.

ვედიბაზარის რაიონის შესახებ მო ხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში მუშაობ ჩატარებას ხელი შეუშალა პასუხისმგებე ამხანაგების მოხსნამ, კამპანიის მნიშვნელობ სათანადოდ გაუშუქებლობამ, არ ექცევ ჯეროვანი ყურადღება ნაციონალურ უმცირ სობას, სოფლის ინტელიგენცია არ მ შაობდა შესაფერისად, არა გვაქვს დადგმ შედეგები ხმის ჩამორთმევის მოკლებულთა ს [illegible] საქმეში. იყო ისეთი შემთხვ ვაც, რომ ზამ სოფელში სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებად არჩეულ იყვნენ კულაკ ბი, სოფ. შამში, როცა საარჩევნო კომის გამოაცხა შავი სია. ამ სიაში შეტანილი კ ლაკი კომისიის თავისი ნაცვლის ბინაში შ თავაზა, ალღონდ მისთვის მიეცათ ხმის უფ ლება.

იყო შემთხვევა, რომ ყოფილი კულაკი არ ჩეულ იქნა სოფლის საბჭოს თავმჯდომარ და მისი მამა კი სოფლის მღვდელი იყო თავმჯდომარე ყოველგვარ საშუალებას რობდა, რომ სოფელში არ შემოეტანათ სოფლო-სამეურნეო იარაღები.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, ვერდიბასარის რაიონში საერთოთ მუშაო სუსტად მიმდინარეობდა. რასაც ცენტრმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და არჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ამ რაიონ სამუშაოდ გაგზავნოს უფრო გამოცდილი ხანაგები.

ვერდიბასარის რაიონში 48 სოფლის ს ჭოებია გაერთიანებული და რაიონი 27 საა რჩევნო უბნად არის დაყოფილი.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომამ ადგინა ვერდიბასარის რაიონში სამუშაო გაგზავნოს უფრო გამოცდილი ამხანაგები.

ვ. ოქიტაშვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

ორთქლის მანქანის 106 წლის თავი

ჩვენი დრო მექანიზაციაქმნილი შრომის დროაა. მსოფლიოში არსებულ ძრავების საერთო სიძლიერე 600 მილიონ ცხ. ძალს უდრის და ეს, რომ ადამიანის მუშაობაზე გადავიტანოთ 12 მილიარდ მუშის შრომას მივიღებთ.

ამ ძრავების უდიდესი ნაწილი (95 პროც.) სითბოს ენერგიაზე მომუშავე ძრავებზე მოდის. აქედან კი ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა კაცობრიობისათვის სითბოს ენერგიის მექანიკურ ენერგიათ გადაქცევას და მით მუშა მანქანების ამუშავებას. თანამედროვე თბოძრავები ეკუთვნიან—შიდა წვის მანქანები, ორთქლმანქანები და ორთქლის ტურბინები. პირველად ადამიანმა სითბოს ენერგიის გამოყენება ორთქლის მანქანის გამოგონებით შესძლო და ამ მიმდინარე წლის 6 იანვარს, 160 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც შოტლანდიელმა გამომგონებელმა ჯემს უატმა პატენტი აიღო თავის პირველ ორთქლის მანქანაზე. ორთქლის მანქანის გამოგონებამ იმდენად დიდი გადატრიალება მოახდინა ტექნიკასა და მეურნეობაში და გავლენა იქონია მათ შემდგომ განვითარებაზე, რომ ინტერეს მოკლებული არ იქნება მოკლეთ მაინც გავეცნოთ ასეთ მნიშვნელოვან გამოგონების ავტორის ცხოვრებას და მის გამოგონების მნიშვნელობას.

ჯემს უატი დაიბადა 1736 წ. 19 იანვარს გრინოკში—შოტლანდიაში. მამა მისი ოსტატი იყო და ჰქონდა საკუთარი სახელოსნო, სადაც სხვადასხვა ნივთებს ამზადებდენ. პატარა ჯემსი ხშირად დაიარებოდა მამის სახელოსნოში, რადგან მასში დიდ ინტერესს იწვევდა ყველაფერი ის, რაც კეთდებოდა სახელოსნოში, და, როცა ხედავდა იქ. ეს დაინტერესება და გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ მამამ ცალკე, განსაკუთრებული კუთხეც კი მოუწყო პატარა ჯემსს, სადაც ის მუშაობას ეჩვეოდა სხვადასხვა იარაღებზე. 6 წლის ჯემსი მშობლებმა სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ბავშობიდან თანდაყოლილი თავის ტკივილის გამო ხშირად აკლდებოდა გაკვეთილებს და ამ დროს სკოლის მაგიერ მთელ დღეებს სახელოსნოში ატარებდა. გაკვეთილების ხშირი გაცდენა ხელს უშლიდა სკოლაში მეცადინეობას და მასწავლებლებიც უიმედოთ უყურებდნენ პატარა ჯემს უატს. სამაგიეროთ ის ხშირი სტუმარი იყო თავისი ბიძის—გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორის, რომელთანაც თავს იყრიდნენ მისი ამხანაგები პროფესორები და მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხზე. პატარა ჯემსი დიდის გულმოდგინეობით უგდებდა ყურს ასეთ საუბრებს და კამათს. როგორც სკოლაში, ისე ამ საუბრების თემებს შორის მას ყველაზე უფრო გეომეტრია და მექანიკა იტაცებდა.

ჯემს უატის მიერ ბავშობიდანვე ხელოსნობით და მექანიკით გატაცებამ ერთის მხრივ და მამის პრაქტიციზმმა მეორეს მხრივ გადასწყვიტეს უნივერსიტეტში შესვლის საკითხი. ჯემსის მამა ფიქრობდა, რომ უნივერსიტეტის გათავება ვერ უზრუნველყოფს მის შვილს მატერიალურად, მაშინ, როდესაც კარგი ოსტატი ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალურად და მართლაც იმ ხანად ინგლისში ზღვაოსნობისათვის საჭირო ზუსტ ხელსაწყოების და იარაღების დამზადების კარგი ოსტატები სულ რაღაც 6—7 თუ მოიძებნებოდა. მხოლოდ ოსტატის სახელწოდების მიღებისათვის იმ ხანად საჭირო იყო 7 წელიწადი შეგირდით მუშაობა.

საუკეთესო ოსტატები ლონდონში მუშაობდენ და 18 წლის ჯემს უატი, გლაზგოელ ფიზიკის პროფესორის სარეკომენდაციო ბარათით ლონდონში მიემგზავრება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლაზგოდან ლონდონამდე უატი ცხენით მგზავრობდა 12 დღე მოუნდა, მაშინ, როდესაც მის მიერ შემდეგში გამოყენებულმა ორთქლის მანქანით მოძრავმა მატარებელმა 12 საათში გაიარა იგივე მანძილი. ჯემსი ლონდონში 1 წელიწადს მუშაობდა ოსტატ მორგანთან. მართალია ამ ერთი წლის განმავლობაში მან ხელობა კარგად შეისწავლა, მაგრამ რადგან დაწესებული ვადა არ უმუშავნია ოსტატის სახელწოდებაც არ მიუღია. ლონდონში მან შეიძინა სამუშაო იარაღი და დაბრუნდა სამშობლოში. სწორედ ამ ხანებში ერთმა მდიდარმა შოტლანდიელმა გლაზგოს უნივერსიტეტს მრავალი აპარატი და იარაღები უანდერძა და უნივერსიტეტმაც მათ შესაკეთებლად და წესრიგში მოსაყვანად ჯემს უატი მიიწვია.

შემდეგში მას უნივერსიტეტის მექანიკის თანამდებობა მისცეს.

უატის დროს ინგლისში ხმარებაში იყო ნიუკომენის ორთქლის მანქანა, რომელიც თავის მხრივ პაპინის ორთქლის ქვაბიდან განვითარდა. ნიუკომენის მანქანები უმთავრესად ამწევი მანქანები იყო და იხმარებოდა მაღაროებიდან წყალის ამოსაღებათ. აღსანიშნავია, რომ ნიუკომენის მანქანა იმდენად ორთქლის მანქანა არ იყო, რამდენადაც ატმოსფერული, რადგან ატმოსფერის დაწოლის საშუალებით სწარმოებდა მუშაობა—წყალის ამოღება. უნივერსიტეტის ლაბორატორიაში იყო ნიუკომენის მანქანის მოდელი, რომელსაც ლექციების დროს უჩვენებდნენ სტუდენტებს, ერთხელაც ეს მოდელი გაფუჭდა და შესაკეთებლად მისცეს უატს. მართალია მან მალე შეაკეთა მოდელი, მაგრამ ამაზე არ გაჩერდა უატი. მან ყურადღება მიაქცია ნიუკომენის მანქანის ნაკლს და მიზნათ დაისახა მისი გაუმჯობესება. პირველი და უმთავრესი გაუმჯობესება მდგომარეობდა ცილინდრისა და მაცივარის განცალკევებაში.

1764 წ. უატმა თავი დაანება უნივერსიტეტში მუშაობას, რომ მთელი დრო თავის ახალ გამოგონების გაუმჯობესებაზე დაეხარჯა. ამისათვის საკუთარი სახელოსნო გახსნა გლაზგოში. მან უკვე დაამზადა თავის მანქანის მოდელი და დაიწყო მდიდარი კომპანიონის ძებნა მანქანათა ასაგებად. პირველად შეუამხანაგდა მეკარხნე რობუკს, მაგრამ ეს უკანასკნელი მალე გაკოტრდა და დაუწყო მეორეს ძებნა. თან განაგრძობდა თავის მანქანის გაუმჯობესებას. მალე ის უამხანაგდება ქ. ბირმინგამის მახლობლად მდებარე მანქანათსაამშენებლო ქარხნის პატრონს ბოლტონს. უატმა და ბოლტონმა 1769 წ. 6 იანვარს პატენტი აიღეს ორთქლის მანქანის აგებაზე თან 25 წლის განმავლობაში მხოლოდ. მათ უნდა აეშენებინათ ახალი ორთქლის მანქანები. ყოველ წლის უატს ახალ-ახალი გაუმჯობესება შეჰქონდა თავის მანქანაში.

სხვა მრავალ გაუმჯობესებათა შორის აღსანიშნავია ის, რომ უატამდე არსებული მარტივი მანქანები მან ორმაგ მოქმედების მანქანებად შესცვალა, მანვე შემოიღო ორთქლის ავტომატიური განაწილება და სხვ.

რასაკვირველია უატის შემდეგაც განიცადეს ორთქლის მანქანებმა გაუმჯობესებანი, მაგრამ უატის მანქანაში თითქმის ყველაფერია მოცემული, რითაც ხასიათდება ორთქლის მანქანა და ამიტომ ითვლება ჯემს უატი მის გამომგონებლად. მეცხრამეტე საუკუნის 80-ან წლებამდე მხოლოდ დგუშიანი ორთქლის მანქანები არსებობდა, მაგრამ ამ ხანებში გამოგონილი იქნა ორთქლის ტურბინები. ამ უკანასკნელთა კონსტრუქტორთა შორის აღსანიშნავია შვედი დელავალი და ინგლისელი პარსონს. უკანასკნელ ხანებში ორთქლის ტურბინებმა დიდი გავრცელება-გამოყენება ჰპოვეს და ხშირად მათი სიძლიერე ასეულ ათას ცხენის ძალამდე აღწევს.

უატის მიერ ორთქლის მანქანის გამოგონებას წინ უსწრებდა მისი თეორიული შეცადინეობა და ცდები ფიზიკაში, ის არა მარტო კარგი მექანიკოსი და კონსტრუქტორი იყო, არამედ თავის დროისათვის თეორიულათ ღრმა განვითარებული ადამიანი.

ჯემს უატი 1800 წლიდან უშუალოდ აღარ განაგებდა თავის მანქანების ამშენებლობას, ის ძლიერ ბევრს მოგზაურობდა ან თავისუფალ დროს სცხოვრობდა ბირმინგამის მახლობლად ჰითფილდში, სადაც გარდაიცვალა 19 აგვისტოს, 1819 წელს.

უატის მანქანის გამოგონებას ძლიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მე-18 საუკ. დამლევის და მეცხრამეტე საუკუნის ვაჭრობა-მრეწველობის და საერთოდ კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების საქმეში. ფაბრიკა-ქარხნებში მანქანების ამუშავების გარდა, უატის ორთქლის მანქანის გამოყენებით ამერიკელმა რობერტ ფულტონმა გამოიგონა თანამედროვე გემი (1807 წ.) და ინგლისელმა გიორგი სტეფანსონმა ორთქლმავალი (1816 წ.).

ქ. ბ—ძე.

სატელეფონო კავშირი ევროპა-ამერიკას შორის

ორი წლის წინად დამყარდა სატელეფონო კავშირი ინგლის-შეერთებულ შტატებს შორის. ეს შესანიშნავი მიღწევა, რომელშიც უმთავრესი დამსახურება ინგლისელ ინჟინრებს ეკუთვნის, ემყარება კაბელისა და რადიოსადგურის პარალელურად გამოყენებაზე. გზაში ხმა ძლიერდება სპეციალური გამაძლიერებელი აპარატების საშუალებით და ატლანტის ოკეანეს მეორე მხარეზე აღწევს გარკვეული სიტყვების სახით.

წარსულ წელს ტრანს-ატლანტიურმა სატელეფონო კავშირმა არსებობის ორი წლის თავი იდღესასწაულა. ორი წლის განმავლობაში სატელეფონო კავშირმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. ამჟამად ტელეფონით დაკავშირებულია არა მარტო ლონდონი და ნიუ-იორკი, არა მარტო ინგლის-შეერთებული შტატების ყოველ პუნქტი, არამედ მთელი რიგი ევროპიული და ამერიკის სახელმწიფოები. მთავარი სადგურები მოთავსებულია: ინგლისში—რიგბიში და ამერიკაში—ნიუ-იორკში. რამდენიმე ხნის წინათ მოახდინეს ლონდონ- სიდნეის (ავსტრალია) შუა ტელეფონით საუბრის ცდა. ეჭვს გარეშეა რომ ახლო ხანში რეგულიარული სატელეფონო კავშირი იქნება დამყარებული ევროპა-ავსტრალიის, ევროპა-ინდოეთისა და ევროპა-აფრიკას შორის.

მაგრამ ვინ არის აბონენტები ამ ტელეფონის, რომლითაც სარგებლობა გირვანქა სტერლინგი (10 მანეთი) უჯდება წუთში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთავრობებს, ტელეფონით უმთავრესად სარგებლობენ ვაჭარ-მრეწველები და ბირჟევიკები, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ტელეფონი მთლიანად ვერ განდევნის ტელეგრაფს, მაგრამ იგი უდიდეს როლს თამაშობს ეკონომიურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა ბირჟაზე აჟიოტაჟი იწყება. ერთ ინგლისელმა კომერსანტმა ლონდონიდან 1 ნახ. საათის განმავლობაში ესაუბრა ნიუ-იორკს და 3000 მან. გადაიხადა. მეორე (ამერიკელმა) მრეწველმა ერთი კვირის განმავლობაში იმდენი ილაპარაკა ტრანს-ატლანტიური ტელეფონით, რომ 50.000 მან. გადაიხადა. ეს იყო ბირჟაზე გამეფებული სპეკულაციის გაძლიერების პერიოდში და „უხვმა" აბონენტმა, მისივე განცხადებით ოცდაათჯერ მეტი რაოდენობით აინაზღაურა ტელეფონით ლაპარაკზე გაწეული ხარჯები.

აბონენტის მეორე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ შეძლებული წრეები, რომელთა ჯიბე ადვილად იტანს წუთში ათი მანეთის გადახდას ოკეანეს იქით მხარეს მცხოვრებ ნათესავ-მეგობრებთან გამოსალაპარაკებისათვის. ასეთი აბონენტების რიცხვი განსაკუთრებით იზრდება დღესასწაულების წინა-დღეებში. ამ დროს ტელეფონით ლაპარაკი (ლონდონიდან) ნიუ-იორკთან წუთში ღირს 150 მანეთი, მიუხედავად ამისა, ტელეფონის სადგური გაჭედილია ოკეანეს იქითა მხარეს „საშობაო", საახალწლო და „სააღდგომო" მისალმების გადაცემის მსურველებით.

ტრანს-ატლანტიური ტელეფონი ერთხელ გამოყენებულ იქნა ინგლისისა და ამერიკელ ინჟინერთა „გაერთიანებული" სხდომის მოსაწყობათ. ერთი საზოგადოების სხდომა შეიკრიბა ლონდონში, მეორე—ნიუ-იორკში, სხდომის დარბაზები რადიო-ტელეფონით იყო ერთმანეთთან შეერთებული (ამ „გაერთიანებული" სხდომის შესახებ „კომუნისტში" თავის დროზე მოთავსებული იყო ვრცელი ცნობა). მეორე შემთხვევაში ერთმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ოტტავიდან (კანადა) ტრანს-ატლანტიური ტელეფონით სიტყვით მიმართა კარდიფში (ინგლისი) შეკრებილ მიტინგს.

ხდება კურიოზებიც. ერთმა ბავშმა, ლონდონში, ამერიკულ ჟურნალში წაიკითხა განცხადება სათამაშო რევოლვერის შესახებ, რომელმაც იგი ძლიერ დააინტერესა. ისარგებლა რა იმით, რომ მშობლები არ იყვნენ სახლში, მან ტელეფონით გამოიძახა ბოსტონი (ამერიკა). ნახევარი საათის შემდეგ მას ელაპარაკებოდა სათამაშოების ფირმის განსაცვიფრებელი აგენტი, რომელმაც აღუთქვა ლონდონელ „კლიენტს" მისი დაკვეთის სასწრაფოდ შესრულება. დაკვეთა შესრულებული იქნა.

ადვილი წარმოსადგენია განცვიფრება ბავშის მშობლების, როცა მათ მეორე დღის წარუდგინეს 90 მანეთის ანგარიში ბოსტონთან საუბრისათვის. ამაოთ ფიცავდა ბავშის მამა რომ მას აზრადაც არ მოსვლია ბოსტონთან საუბარი. ის იძულებული გახდა 90 მან. გადაეხადა და მხოლოდ მაშინ გაიგო, თუ რაში იყო საქმე, როცა ბოსტონიდან მისი ვაჟის მიერ დაკვეთილი სათამაშო რევოლვერი მიიღო.

ა. ბ.

დირიჟაბლით მიმოსვლის პერსპექტივები

დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" („ლც 127") რომელიც ოქტომბერში გადაფრინდა ევროპიდან ამერიკაში და უკან, ამჟამად იმყოფება ფრიდრიხსჰაფენში. ცეპელინის კომპანიის საავიაციო ქარხნების ანგარში. დირიჟაბლის მშენებელ ეკკენერს განზრახული აქვს მოაწყოს დირიჟაბლის რამდენიმე საცდელი გაფრენა რომლის დროს ჩატარებული იქნება მთელი რიგი გამოკვლევები.

საცდელი გაფრენა ჩატარებული იქნება სახელმწიფო საავიაციო ექსპერიმენტალური ინსტიტუტის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დირიჟაბლის საწვავ მასალათ საჭირო გაზის დამზადება შეჩერებულია, რადგან ქარხანა საჭირო რაოდენობით ვერ ამზადებს გაზს და გადაკეთებული იქნება.

ცეპელინების ახალი დიდი სადგურის აგების საკითხი ჯერ გადაჭრილი არ არის. შესაძლოა, რომ სადგური აგებული იქნეს ბერლინის ახლო, შტაკენში, ან შვეიცარიაში, ბაზელის მიდამოებში. სადგურის ასაგებად საჭირო თანხებს, როგორც ზოგიერთი (ჟურნალებიდან ჩანს, მთავრობა გაიღებს. სახელმწიფო გაიღებს აგრეთვე დირიჟაბლის ჩრდ. პოლუსზე გაფრენასთან (1930 წ.) დაკავშირებულ ხარჯებს.

ეკკენერს განზრახული აქვს 1930 წლამდე ააგოს ახალი დირიჟაბლი—„ლც 128" 140.000 კუბ. მეტრის მოცულობის მქონე (35.0000 კუბ. მეტრით მეტი ვიდრე „გრაფი ცეპელინი").

საჰაერო მიმოსვლა დირიჟაბლებით ატლანტის ოკეანეთი—ესპანეთ-სამხრეთ-ამერიკის ხაზით დაიწყება მაშინ, როგორც კი ოკეანის ორივე ნაპირზე დამთავრებული იქნება საჰაერო სადგურების მოწყობა. საჰაერო სადგური სევილიაში (ესპანეთი) უკვე შენდება. იქვე შენდება სარემონტო სახელოსნოები და გაზის ქარხანა.

მტვერისებური საწვავი მასალა

ინგლისის საზღვაო სამინისტრო ახდენს სამხედრო გემების ქვაბების გასათბობათ დაფშვნილი ნახშირის გამოყენების ცდებს. ცდებისათვის გამოყოფილია ორი ძველი სამხედრო გემი „მედსტონი" და „ხოლიხუკი", რომლებიც უკვე ოცი წელიწადია რაც აგებულია. ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა საწვავი მასალების ხარჯვის, მანქანების მუშაობის და სხვ. სწორი აღრიცხვა.

ამჟამად ინგლისის სამხედრო ფლოტში საწვავ მასალად ხმარობენ ნავთს, რომელსაც მთელ რიგ დადებითი თვისებებთან ერთად ერთი დიდი „ნაკლი" ახასიათებს—სიძვირე. ეს გარემოება აიძულებს ინგლისის საზღვაო სამინისტროს ეძებოს უფრო იაფი საწვავი მასალა.

უშიშროების დასაცავად

შეერთებული შტატების ზოგიერთ გზებზე დადგმულია ერთი გამომგონებლის მიერ დამზადებული აპარატი რომელიც საგრძნობათ ამცირებს კატასტროფების საფრთხეს.

აპარატი იდგმება მოსახვევებში, გვირაბებში შესავალთან და სხვა ამგვარ ადგილებში სადაც მოსალოდნელია დაჯახება შემხვედრ ავტო-მანქანასთან. აპარატი შესდგება სასიგნალო მოწყობილობიდან (ზარიდან), რომელიც მოძრაობაში მოჰყავს გზის სიგანეზე დამაგრებულ ბერკეტით, რომელიც ოდნავ სცილდება გზის ზედაპირს. როგორც კი ავტომობილის ბორბლები მოხვდება ბერკეტს, ზარი იწყებს რეკას და შემხვედრ მანქანებს აფრთხილებს ავტომობილის მოახლოების შესახებ.

კონტროლი ბავშვთა გონებრივ განვითარებაზე

ამერიკელმა პედოლოგებმა (პედოლოგია—მეცნიერება ბავშვთა შესახებ) ლინფერტმა და ხილკორცელმა შეადგინეს მთელი რიგი წესები ძუძუმწოვარ ბავშვთა (ერთი თვიდან ერთ წლამდე ჰასაკის) გონებრივი განვითარების გამოსაცდელად. ეს წესები შესდგება მარტივ ოპერაციებიდან, რომელთა შესრულება იოლია. ასე მაგალითად, გამოცდის ერთი წესით, ბავშვს აძლევენ ფერად რგოლს, რომელსაც იგი ჰასაკის მიხედვით ან პირში [illegible] ან ათვალიერებს. მრავალმა ასეულმა ცდებმა, რომლებიც მოახდინეს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის მშობელთა ბავშვებზე, გამოაშკარავა ბავშვთა რეაქციის განსაცვიფრებელი ერთგვარობა ამ გამოცდების დროს. გამონაკლისს მხოლოდ ბავშვთა უმნიშვნელო პროცენტი შეადგენდა. ამრიგად მშობლებს ეძლევა უაღრესად მარტივი და ამავე დროს საიმედო საშუალება თვალყურის სადევნებლად ბავშვთა გონებრივი განვითარებისათვის. ნორმას ჩამორჩენა მაჩვენებელია ან ბავშვის ავადმყოფობის ან კვების მოუწესრიგებლობის და სხვ. ამ შემთხვევებში საჭიროა ექიმისათვის მიმართვა.

ბოტანიკოს დაიერის გარდაცვალება

ჩილტენჰეიმში (ინგლისი) გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი ბოტანიკოსი, სამეფო ბოტანიკური ბაღის ყოფილი დირექტორი ტისელტონ-დაიერი. დაიერს „ორივე ნახევარსფეროს ჯადოქარს" უწოდებდნენ. მან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მცენარეთა აკლიმატიზაციის დარგში. მის სახელთან გახმაურებულად არის დაკავშირებული ინგლისის კაუჩუკისა და ნაწილობრივ ბანანის მრეწველობის განვითარება. დაიერი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი იყო, როცა მდ. ამაზონკის (სამხრეთ-ამერიკა) სანაპიროების ტყეებიდან გამოიტანა კაუჩუკის მცენარის თესლი. ეს მცენარე ინგლისში მასზე ხანგრძლივი ცდების ჩატარების შემდეგ გადატანილ იქნა სინკაპურში (ინდოეთი). პირველად კაუჩუკის თესლით დათესეს პატარა მინდორი, ახლა კი კაუჩუკის პლანტაციებს უჭირავს თვალუწვდენი სივრცე [illegible] ათას ტონა ქვეყნიურ პროდუქტს იძლევა. ინდო-ჩინეთიდან დაიერმა გაიტანა განსაკუთრებული სახის ბანანი, რომელიც [illegible] ინდოეთის ბუნებას.

ოპტიკური სიგნალიზაცია გერმანიის რკინისგზებზე

რკინისგზებზე კატასტროფების გახშირებამ გერმანიის სარკინიგზო უწყების წინაშე დააყენა სიგნალიზაციის გაუმჯობესების ამოცანა. ამ მიზნით დაწყებულია ერთი სპეციალისტის მიერ გამოგონებული ოპტიკური სიგნალიზაციის გამოცდა. ოპტიკური სიგნალიზაციის აპარატს საფუძვლად უდევს ფოტო-ელემენტი, რომლითაც ფართოდ სარგებლობენ რადიო - ტექნიკაში. ფოტო-ელემენტი შესდგება მინერალ სელენიდან, რომელსაც ერთი შესანიშნავი თვისება ახასიათებს: ნორმალურ მდგომარეობაში იგი არ ატარებს ელექტრო - დენს, მაგრამ, როგორც კი მასზე მოხვდება სინათლის სხივი, იგი ელექტრო-დენის გამტარი ხდება.

ასეთი ფოტო-ელემენტი თავსდება ორთქლმავალზე, ფოტო-ელემენტთან შეერთებულია მოწყობილობა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მუხრუჭები. როცა ფოტო-ელემენტი გაუნათებელია, ელექტრო-დენი მასში არ გადის და მუხრუჭები უმოქმედოთაა. მაგრამ როგორც კი ფოტო-ელემენტზე მოხვდება სინათლე, მუხრუჭები იწყებენ მოქმედებას. სიგნალს იძლევა ლამპა, რომელიც ასხივებ უხილავს ინფრა-წითელ სხივებს. ეს სხივებ გამოყენებულია პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მათ სქელი ნისლიც ვერ აკავებს და მ ორე—იმიტომ, რომ თავიდან იქნეს აცილებ ლი მატარებლის შემთხვევითი გაჩერება ფ ტო-ელემენტზე სინათლის სხივების მოხვედ რის გამო.

ახალი სიგნალიზაციით მოახდინეს 5.00 ზე მეტი ცდა, რომლებმაც დადებითი შედეგ გამოიღო. არ ყოფილა არც ერთი შემთხვე იმის, რომ ფოტო-ელემენტზე სინათლის მ ხვედრის შემთხვევაში მუხრუჭებს ნორმალ რათ არ ემუშავა.

გერმანიის რკინისგზელ სპეციალისტებ აზრით ოპტიკური სიგნალიზაცია მნიშვნელ ვან ნაბიჯს წარმოადგენს სარკინიგზო მ სვლაში. იგი არა მარტო კატასტროფების თ ვიდან აცილებას ხდის შესაძლებლად, არამე მატარებლების საშუალო სისწრაფის გად დებასაც.

მ. ზუბალოვის გამოგონება

აპარატი ავტომობილის სვლის მოსაწესრიგებლად

სტალინის სახელობის ავტოსახელოსნოებში მომუშავე მ. ზუბალოვმა (ხელობით ელექტრო-მექანიკოსმა) გამოიგონა აპარატი ავტომოძრაობის მოსაწესრიგებლად. აპარატი იდგმება ყველა ავტომობილზე.

მ. ზუბალოვის აპარატი წარმოადგენს ელექტრონის სანათურს, რომელსაც წინა და უკანა მხარეზე აქვს რგვალი მუქი წითელი ფერის მინები. შიგნით სანათური კედლებით დაყოფილია ოთხ კამერათ, თვითეულ კამერაში მოთავსებულია ცალკე ელექტრონის ლამპა.

მ. ზუბალოვის მიერ გამოგონილი აპარატი განათების საშუალებით იძლევა მიმართულების სისწრაფის და დამუხრუჭების მაჩვენებელ ნიშნებს.

მარჯვნივ გადახვევას უჩვენებს აპარატის მარჯვენა ნახევარ წრეში მოთავსებული ლამპების განათება. მარცხნივ გადახვევას მარცხენა ნახევარი წრის განათება, პირდაპირ სვლას უჩვენებს ზედა ნახევარი წრის ლამპების განათება, ხოლო უკან დახევას—ქვედა ნახევარი წრის განათება.

როცა შოფერი ავტომობილს დაწესებულ ნორმაზე მეტი სისწრაფით წაიყვანს, მაშინ აპარატის ყველა კამერები განათებულია და საგუშაგოზე მდგომ მილიციელს საშუალება აქვს მიიღოს ზომები ავტომობილის ზომების შესანელებლად. ავტომობილის დამუხრუჭების დროს განათდება ჯვარედინად მდებარე კამერები.

მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევის წინ ან უკან სვლის და დამუხრუჭების ნიშნების მაჩვენებელ ლამპებს აპარატში ანთებს თვით შოფერი, ხოლო ნორმაზე ზედმეტი სისწრაფის მაჩვენებელი ლამპები ენთება ავტომატიურად, ე. ი. როცა ავტომობილი ქალაქში 30 კილომეტრზე მეტი სისწრაფით მიდის, აპარატი თვით ნათდება მთლიანად.

დამუხრუჭების დროსაც ხელსაწყოს ჯვარედინად განათება ხდება ავტომატიურად.



მ ზუბალოვის აპარატის მოქმედები სქემა

მთელი ხელსაწყო შეერთებულია ავტომანქანის ელექტრო-მოწყობილობასთან.

1) ავტომობილი უხვევს მარჯვნივ—ანთებულია ლამპის მარჯვენა ნაწილი, 2) მოხვევა მარცხნივ, 3) სვლა პირდაპირ, 4) უკან დახევა, 5) საზღვრითი სისწრაფე, 6) დამუხრუჭება.

ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას განზრახული აქვს ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს მ. ზუბალოვის მიერ გამოგონებული აპარატი.

ეს აპარატი მოიწონა ლენინგრადის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა გამოგონებათა კომიტეტმა. გარდა ამისა, აპარატი შეამოწმა სპეციალისტთა კომისიამ მოსკოვსა და თბილისში.

სპეციალისტთა კომისიის დასკვნით, ზუბალოვის მიერ გამოგონებული აპარატი დიდად გამოსადეგია ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

სახელმწიფო დაზღვევა

მეტი ყურადღება ღარიბთა ფონ დების განაწილების საქმეს

გასულ 1927—28 სამ. წელში საქართველოს სახ. დაზღვევის სამმართველოს სასოფლო მეურნეობის საგანაკვეთო დაზღვევის ანარიცხებიდან ულარიბესი მოსახლეობისათვის შეღავათების მისანიჭებლად გადადებული ქონდა 256.000 მანეთი. ამ თანხიდან მოხმარებული იქნა 179.200 მანეთი, დანარჩენი 76.800 მანეთი კი გამოუყენებელი დარჩა. იყო შემთხვევები, რომ ადგილებზე ქვრივ-ობლებს და უკიდურეს ღარიბებს ახდევინებდნენ სახდაზღვევის გადასახადს, მაშინ როცა ასეთები კანონით გადასახადისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ.

საშეღავათო ფონდის ულარიბეს მოსახლეობას შორის განათლების საქმე მთლიანად ადგილობრივ თემ-აღმასკომებზეა დამოკიდებული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ისინი უმოქმედობას იჩენენ. პარტიის და ხელისუფლების ხაზი ღარიბთათვის დახმარების აღმოჩენის და დაწესებულ შეღავათების მინიჭების დარგში მტკიცედ უნდა გატარდეს.

სახდაზღვევის სამმართველომ იმ თავითვე მიიღო საჭირო ზომები, რათა ამ წელში არ განმეორებულიყო წინანდელი შეცდომები ღარიბთა ფონდების განაწილების საქმეში; მან, სხვათა შორის, დაუგზავნა ადგილებს სადირექტივო წერილი, რომლითაც ავალებდა საშეღავათო ფონდების განაწილებას ღარიბთა შორის 15 ოქტომბრამდე. მიუხედავად ამისა, დღემდე საშეღავათო ფონდების განაწილება მთელს რესპუბლიკაში სუსტად მიმდინარეობს.

1928—29 წ. ულარიბესთა საშეღავათო ფონდისათვის გადადებულია 300,000 მანეთი, აქედან 15 დეკემბრამდე განაწილებულია 66.000 მანეთი ფონდის 22 პროც. თემ-აღმასკომებმა უნდა დააჩქარონ ღარიბთა სიების შედგენა და მათი გადაცემა სახდაზღვევის სააგენტოებისათვის, რათა უკანასკნელებმა ულარიბესი მოსახლეობა გაანთავისუფლონ დაზღვევის გადასახადისაგან. ღარიბთა საშეღავათო ფონდების განაწილების საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის პარტორგანიზაციებმა, რაც უზრუნველყოფს კლასიური ხაზის სისწორით გატარებას.

მ. პაიჭაძე.

მეფუტკრეობის გაჯანსაღებისათვის

მეფუტკრეობა წინედაც და ეხლაც საიდუმლო ხასიათს ატარებდა და ატარებს. კარჩაკეტილი მდგომარეობა ხელუხლებელია და რაც უმთავრესია, ასეთი მდგომარეობა სასარგებლოთაც არის ცნობილი მეფუტკრეობაში. დაახლოებით მეფუტკრეობის 50 პროცენტი რაციონალურ ნიადაგზე სდგას და ასე თუ ისე სარგებლობს მეცნიერული ცოდნით. მიუხედავად ამისა სრული მყუდროებით არის მოცული ჩვენი მეფუტკრეობა. არავინ არ სცნობს საჭიროდ პრესის საშუალებით სხვასაც გაუზიაროს თავისი მუშაობის შედეგები, თავისი კუთხის განსაკუთრებული ხელის შემწყობი, ანუ ხელის შემშლელი პირობები. ეს დაუშვებელია მით უმეტეს იმ საფუტკრეებისათვის, რომელსაც ინსტრუქტორები განაგებენ. საჭირო კი იყო ცნობები აშკარად და გარკვევით დაგროვილიყო, რომ ასეთი მასალით საჭირო დროს ადამიანს შესძლებოდა თავისი წარმოდგენა შეედგინა და გაეთვალისწინებინა ამ დარგის ნამდვილი მდგომარეობა.

დროა საკუთარი საფუტკრეების იქითაც გავიხედოთ და საერთო ინტერესი დავინახოთ. ბევრი რამ არის ამ დარგში გასაკეთებელი; ჩვენი მეფუტკრეობის 50 პროც. კოდებშია მოთავსებული, რომელიც თითქმის შემოსავალს არ იძლევა და დაქვეითების გზაზე სდგას. აუარებელი ახალი პირები იწყებენ და სურთ დაიწყონ მეფუტკრეობა, რომელნიც საჭიროებენ ყოველგვარ დახმარებას. მათი იმედის გაცრუება, საქმისათვის მავნებელი იქნებოდა. ეგრედ წოდებული რაციონალური მეფუტკრეობაც, ჩვენში მოიკოჭლებს და ჩამორჩენილია. ინვენტარის დიდი ნაკლებობა და დიდი სიძვირე შესამჩნევად აფერხებს მეფუტკრეობის განვითარების საქმეს.

ჩვენი თაფლის საუკეთესო ღირსება სრულიად დაფარულია და როგორც კონკურენტი ჩვენ ბაზარზედაც კი ჯეროვანი ადგილი არ უჭირავს, თუმცა რიგიანი ორგანიზაციის ხელში ჩვენს თაფლს შეეძლო საგარეო ბაზარის ყურადღებაც მიეპყრო.

მეფუტკრეობის საჭიროების მიხედვით აგრეთვე საჭიროა ჩვენი ქვეყნის კუთხეების შესწავლა და სხვა, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ საერთო ძალ-ღონით შეიძლება. დროა ამ მხრივ სათანადო ნაბიჯი გადაიდგას. შესდგეს მეფუტკრეთა ამხანაგობები თემის ფარგლებში მაინც, რომლის განვითარება წარმოშობს სამაზრო და რესპუბლიკანურ ცენტრებს.

მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მეურნეობის ამ დარგმა დაგვანახოს თავისი უაღრესი ნაყოფიერება, რომელიც მნიშვნელოვანი გახდება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობისათვის.

ეს საკითხი საკმაოდ მომწიფებულია და თხოულობს დაუყოვნებლივ მოგვარებას.

ციველი.

მრეწველობის და სამრეწველო მშენებლობის გამოკვლევა

ა. კ. სტატსამმართველოში ჩატარდა საკავშირო და ა. კ. რესპუბლიკანურ სტატსამმართველოების, რესპუბლიკანურ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოების და ა. კ. სახელმწიფო ს გეგმ. კომისიის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა მსხვილი მრეწველობის წლიური გამოკვლევის და სამრეწველო მშენებლობის გამოკვლევის საკითხი. მრეწველობის წლიური გამოკვლევის მიზანს შეადგენს ჩვენი სამრეწველო წარმოებათა მდგომარეობის, მათი ენერგიის სამრეწველო მოწყობილობის, მუშა-ხელის, პერსონალის, ხელფასის და სხ. გამორკვევა. მსხვილი მრეწველობის წლიური გამოკვლევის მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებული უნდა იქნეს 1 თებერვლამდე, ხოლო თვით გამოკვლევა ჩატარდება 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

ამავე გამოკვლევასთან დაკავშირებით წელს პირველად ჩატარდება მსხვილი სამრეწველო მშენებლობის გამოკვლევა. გამორკვეული იქნება როგორც ახალი ისე ძველი სამრეწველო ნაგებობათა მდგომარეობა, მშენებლობის საერთო ღირებულება, მშენებლობის ბრუნვა, ხარჯები და სხ.

ამასთანავე გამოკვლეული იქნეს თუ რამდენათ შეესაბამება მრეწველობის თვითეულ ცალკე დარგის მშენებლობა ამავე დარგის გეგმიან მუშაობას.

ზემოაღნიშნულ გამოკვლევათა შედეგები და დასკვნები დამუშავებული იქნება, იმ ვარაუდით, რომ ამ დასკვნებით ხელმძღვანელობა შესაძლო იქნეს ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს.

ამხ. პარმენ ფრუიძის ხსოვნას

რვა იანვარს, ღამით, ყურის ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა ძველი კომკავშირელი და პარტიის წევრი ამხ. პარმენ ფრუიძე. ამხ. პარმენი იყო ღარიბი გლეხის შვილი სოფ. ალპანიდან (ყოფ. ლეჩხუმის მაზრა). პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში მშობლების დახმარებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე პარმენი შევიდა კომკავშირის ორგანიზაციაში და შეუდგა ენერგიულ მუშაობას. 1922 წელში სამაზრო კომიტეტმა ის გაგზავნა თბილისის ცენტრ. პარტსკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე ბრუნდება ლეჩხუმში. იქ პარმენს ირჩევენ კომკავშირის რაიკომის მდივნად, ხოლო 1924 წელში გადაჰყავთ კომკავშირის ლეჩხუმის მაზრკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ და აქედან იწყება მისი თვალსაჩინო მუშაობა.

პარმენი არ კმაყოფილდებოდა მარტო პარტიულ ხაზზე მუშაობით და ცხოველ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საბჭოთა და კულტურულ მუშაობაში.

1924 წელში მენშევიკური ავანტიურის დროს პარმენი იარაღით ხელში იბრძოდა ავანტიურისტების წინააღმდეგ.

1926 წლიდან ამხ. პარმენი სამუშაოდ გადაჰყავთ სამპარტკომში და აქაც ის მუშაობის დიდ უნარს იჩენს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არსდება კედლის გაზეთი და სხვა მრავალი წრეები.

ამხ. პარმენი იყო გაზეთ „კომუნისტი"-ს ერთ-ერთი კორესპონდენტი ყოფ. ლეჩხუმის მაზრიდან და პრესის საშუალებით სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ყოველგვარ ბოროტების წინააღმდეგ.

ამხ. პარმენს დიდი სურვილი ჰქონდა ცოდნის შეძენის, ამ მიზნით ის შედის თბილისის ქართულ მუშფაკში, მაგრამ არ დასცალდა სწავლის დამთავრება. მუშაობით მოქანცულმა და ისედაც ავადმყოფმა ვერ აიტანა ოპერაცია და უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან.

მშვიდობით ჩვენო საუკეთესო ამხანაგო და მეგობარო პარმენ. შენ საკმაოდ ბევრი გააკეთე სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. გაძლევთ სიტყვას, რომ იმ დიდ საქმეს, რომლისთვისაც შენ რვა წლის განმავლობაში მუშაობდი, საბოლოო გამარჯვებამდი მიიყვანენ შენი ამხანაგები.

აქვსენტი ჭაგუკიანი.

ბიბლიოგრაფია

იმის შესახებ, თუ როგორ იწერება ჩვენში სახელმძღვანელოები

(სეით იაშვილი —დაწყებითი გეოგრაფია—სახელგამი, 1928 წ.)

კულტურული რევოლიუციის სისტემაში, იდეოლოგიურ სიწმინდეს სახელმძღვანელოთა რომლებზედაც მთელი ჩვენი ახალი თაობა უნდა აღიზარდოს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ კი ჩვენში მდგომარეობა მეტად ცუდია. წიგნის ბაზარზე ხშირად ისეთი სახელმძღვანელოები გამოდის, რომლებიც ყოვლად მიუღებელი არიან იდეოლოგიურის მხრით; მათ—ჩვენი სკოლებისათვის ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლიათ. ასეთი სახელმძღვანელოების შესახებ ჩვენ მრავალჯერ გვქონდა საუბარი „კომუნისტი"-ს მკითხველებთან. ეხლაც სახელმძღვანელოს ერთ ასეთ სურათზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველთა ყურადღება.

დაახლოებით ერთი კვირის წინად გამოიცა **ს. იაშვილის** წიგნი—„დაწყებითი გეოგრაფია"—სახელმძღვანელო შრომის სკოლების მეხუთე ჯგუფისათვის. ამ „სახელმძღვანელოს" მე-32 გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკა ფედერატიულად დაკავშირებულია აზერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან და სამივე რესპუბლიკა ერთად წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციას, **რომელიც შედის საბჭოთა რუსეთის კავშირში**". ის, რაც შეიძლება მეხუთე ჯგუფის მოწაფემ იცის, რომლისთვისაც ეს სახელმძღვანელოა დაწერილი; არ იცის თვით მისმა შემდგენელმა. სახელმძღვანელოს ავტორმა არ იცის, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია საბჭოთა რუსეთის კავშირში კი არ შედის, არამედ საბ.-სოც. რესპ. კავშირში.

მაგრამ ყველაზედ უფრო აღმაშფოთებელია სახელმწიფოს ცნების ის განსაზღვრა, რომელსაც ს. იაშვილი იძლევა თავისი წიგნის მე-74 გვერდზე. „ბინადარმა ხალხმა —ამბობს იაშვილი,—სოფლები და ქალაქები გააშენა და **წესრიგის დასამყარებლად და გარეშე მტრებისაგან თავის დასაცავად სახელმწიფო დაარსა**" ჯერ ერთი, როგორ შეიძლება სახელმწიფოს „დაარსება". როგორც სჩანს, ავტორს სახელმწიფოს წარმოშობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს. სახელმწიფოს ასეთ განსაზღვრას ბურჟუაზიულ ავტორის ყოველ სახელმძღვანელოში შეხვდებით, იმ ავტორის, რომელიც ცდილობს ჩაუნერგოს მოსწავლეს ის აზრი რომ სახელმწიფო ზეკლასიური ინსტიტუტია, რომ იგი მოწოდებულია დაიცვას საზოგადოებრივი „წესრიგი" და „მშვიდობიანობა" არავითარი აღნიშვნა კლასიური მომენტის, ხაზგასმა იმისა, რომ სახელმწიფო კლასიური ორგანიზაციაა, რომელიც გამოხატავს და იცავს გარკვეული კლასის ინტერესებს—სახელმძღვანელოში არ მოიპოვება. აქედან ცხადია, რამდენად იდეოლოგიურად მავნებელია ჩვენ სკოლებში ასეთი სახელმძღვანელოების ხმარება. იქ, სადაც ავტორი ეხება სხვადასხვაგვარ რესპუბლიკებს, სრულიად არაფერს ლაპარაკობს ბურჟუაზიული სახელმწიფოთა კლასიური ბუნების შესახებ, **„ამ სახელმწიფოებში** (ლაპარაკია კაპიტალისტურ სახელმწიფოების შესახებ. ბ.) **მმართველებს მოსახლეობის ყველა კლასები ირჩევენ"**. (გვ. 74). კაპიტალისტური სახელმწიფოს რაობის ასეთი განმარტება შეიძლება მხოლოდ აიხსნას ან იმ ადამიანის უსაზღვრო უვიცობით და გულუბრყვილობით. რომელიც „მეცნიერებებში" და კერძოდ მარქსიზმში სრულებით არ ერკვევა ან იმით, რომ მას განზრახ უნდა მოახვიოს ჩვენს ახალგაზრდობას არქი-ბურჟუაზიული შეხედულებები.

ს. იაშვილის თვალსაზრისით გამოდის, რომ, მაგ., ინგლისის კონსერვატიული მთავრობა გამოხატავს როგორც ბურჟუაზიის, ისე მუშათა კლასის ინტერესებს. სხვაგვარად არ შეიძლება ზემოთმოყვანილი სიტყვების გაგება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორს მოვთხოვოთ ბურჟუაზიული სახელმწიფოთა კონსტიტუციების ზედმიწევნითი ცოდნა, მაგრამ იმდენად რამდენადაც იგი სწერს სახელმძღვანელოს ჩვენი სკოლისათვის და ამავე დროს სახელმწიფოსა და კონსტიტუციის საკითხებსაც ეხება, იგი მოვალეა გადმოსცეს საქმის ნამდვილი ვითარება და ამისათვის გაეცნოს ამ საკითხებსაც.

კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი. ამავე ავტორს თურმე დაუწერია გეოგრაფიის ორი სახელმძღვანელო (სოფლის და საკავშირო). ეს სახელმძღვანელოები ისე უვიცად ყოფილა შედგენილი და მასში იმდენ „ლაფსუსებს" ჰქონია ადგილი, რომ კორექტორებიც კი ამჩნევდენ თურმე იმ უდიდეს შეცდომებს. რომელთაც გვერდი აუარა სათანადო **ორგანომ**. სახელგამის მოთხოვნით, სახელმძღვანელოები მოხსნილი იქნა მაგრამ ჯიუტმა ავტორმა კვლავ წარადგინა მესამე სახელმძღვანელო სოც. აღზრდის მმართველობის ვიზაო ეს სახელმძღვანელო ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველს. ჯერ ერთი, რომ ასეთ სახელმძღვანელოებს მხოლოდ ზარალი შეუძლია მოუტანოს სახელგამს—ორი სახელმძღვანელო იბეჭდებოდა და შემდეგ მოიხსნა. მეორე, რაც მთავარია, იგი ყოვლად მიუღებელია ჩვენი სკოლებისათვის. ჩვენს მკითხველს ალბად ახსოვთ თოფურიასა (საბჭოთა კონსტიტუცია და რუხაძის (საქართველოს გეოგრაფია) სახელმძღვანელოები, რომლებიც უვარგისობის გამო მოიხსნა.

ს. იაშვილის ზემოთაღნიშნული სახელმძღვანელო ამ სახით არ შეიძლება ვიხმაროთ ჩვენს სკოლაში, ყოველივე ეს პარტიის წინაშე სვამს საკითხს იმ ორგანოს შემადგენლობის გადასინჯვის შესახებ. რომელიც „მეთოდიურად" გვერდს უვლის ყველა იმ შეცდომებს, რომლებიც თვით კორექტორებისთვისაც კი არ ხდება შეუმჩნეველი.

ბიბლიოგრაფი.

პ. კერჟენცევი და ა. ლეონტიევი—ლენინიზმის ანბანი

დაწყებითი პარტსკოლების სახელმძღვანელო სახელგამის გამ.—1928 წ. გვ. 407. ფ. 1 მ. 50 კ.

ამ წიგნის მიზანია მკითხველს მიაწოდოს მოკლედ და მარტივად დალაგებული ლენინიზმის ძირითადი დებულებანი. სწორედ ასეთ სახელმძღვანელოს უქონლობას მწვავედ განიცდიდა ჩვენი პარტიის ფართო მასა. მართალია, ქართულ ენაზედ რამდენიმე სახელმძღვანელო იქნა გამოშვებული, რომლებიც დაახლოვებით ასეთივე მიზანს ისახავდენ. ე. ი. პარტიულ მასის გათვითცნობიერებას ცდილობდნენ ჩვენი მუშაობის ძირითადი პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის ამოცანების გარკვევას, მაგრამ ზოგი მათგანი უკვე იმდენად ჩამორჩა უკანასკნელ ხანის საკითხებს, რომ მით სარგებლობა დღეს ჩვენს მკითხველს რაიმე პრაქტიკულ ღირებულებას ვერ შესძენს.

ამხ. კერჟენცევისა და ლეონტიევის სარეცენზიო წიგნი უეჭველად აღსანიშნავ მოვლენას წარმოადგენს. მასალაც იქ მიზანშეწონილადაა დალაგებული და საკითხებიც მეთოდოლოგიურად სწორადაა გაშუქებული. თუ დაუმატებთ იმასაც რომ წიგნი დაწერილია საშუალო მკითხველისათვის, ადვილად გასაგები ენით, მაშინ ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა სავსებით გამართლებულია.

აღნიშნული სახელმძღვანელო შესდგება სულ 17 თავისაგან და დამატებისაგან.

პირველ თავში გარკვეულია საკითხი, პარტიისა და კლასის ურთიერთობის შესახებ. აქ მკითხველი ეცნობა კლასების საკითხს როგორც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ისე საბჭოთა კავშირში. საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ფორმები. აქ მკითხველი მოკლეთ, მაგრამ ნათლად ეცნობა თუ რა აფერხებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროლეტარიატის მიერ თავის კლასიური ამოცანების შეგნებას. მეორე და მესამე თავში ავტორები არკვევენ, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ეკონომიის ძირითად დებულებებს; მკითხველი აქ მოკლედ, მაგრამ გარკვევით ეცნობა კაპიტალისტური, საქონლის მწარმოებელ საზოგადოების ბუნებას. რა არის საქონლის მეურნეობა რა კანონებს ემორჩილება საქონლის მეურნეობის განვითარება. რა საფეხურებს გაივლის მეურნეობის ეს ფორმა, რა შინაგანი წინააღმდეგობანი ახასიათებს მას, რა პერიოდში იმყოფება დღეს კაპიტალისტური მეურნეობა და რა სპეციფიური მოვლენები ახასიათებს კაპიტალიზმის ამ უკანასკნელ ეტაპს,—აი ის საკითხები, რომლებიც გარკვეულია ამ ორ თავში.

რასაკვირველია, ზოგჯერ აქა-იქ საკითხის მოკლედ და პოპულიარულად გადმოცემის პირობებში, ავტორები ვერ აძლევენ მკითხველს სრულ და ნათელ წარმოდგენას ამა თუ იმ საკითხზე. ასე, მაგ. გვ. 48 მონოპოლიის საკითხის გარკვევის დროს ავტორები მონოპოლიას ასე განმარტავენ: „მონოპოლია ნიშნავს კაპიტალისტების შეთანხმებას, რომელიც მიმართულია თავისუფალი კონკურენციის მოსპობისაკენ". მონოპოლიის ასეთი ახსნა მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მონოპოლიის ბუნების შესახებ ასეთი განმარტება საკმაო არაა.

საჭირო იყო აგრეთვე იმპერიალიზმის თავში აღნიშნული ყოფილიყო თუ როგორ გარდაიქცა კაპიტალისტთა კლასი ფინანსიური კაპიტალიზმის ეპოქაში მწარმოებლის ხელმძღვანელ კლასიდან პარაზიტულ კლასად. ამ საკითხის გარკვევა მკითხველს კიდევ უფრო გაუადვილებს კაპიტალიზმის უკანასკნელ ეტაპის სრული წარმოდგენას. მეოთხე თავი ეხება მეტად საყურადღებო საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეულად ვერ ჩაითვლება. ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში—ესაა გარდამავალი პერიოდის საკითხი. აქ გარკვეულია ამ პერიოდის ძირითადი თავისებურებანი და ის ამოცანები, რომლებიც სდგას პროლეტარიატის წინაშე გარდამავალ პერიოდში. აქვეა მოკლედ აღნიშნული გარდამავალ პერიოდში არსებული სიძნელენი, რასაც, როგორც ვიცით, ის გარემოება იწვევს რომ ჩვენ სოციალისტური აღმშენებლობას ვეწევით ჩვენდამი მტრულად განწყობილ სამეურნეო წყობილების და მასთან დაკავშირებულ კლასების არსებობის პირობებში (გვ. 74). ამავე თავში გარკვეულია აგრეთვე, თუ რა ხასიათს ატარებს კლასიური ბრძოლა გარდამავალ პერიოდში.

მეხუთე თავში გარკვეულია: ბურჟუაზიის დიქტატურა და პროლეტარიატის დიქტატურა. აქ მკითხველი ეცნობა, როგორი სისტემაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფოს მართველობის და რა ხასიათისაა ჩვენი სახელმწიფოს მართველობა. სასურველი იყო შედარებით უფრო დაწვრილებით ყოფილიყო გარკვეული საბჭოთა წყობილების ბუნება. მიუხედავად ამისა, დაკვირვებული მკითხველი ადვილად გაერკვევა ამ განყოფილებაში არსებულ პატარ-პატარა თავებიდან, თუ რა შინაარსისაა ჩვენი ეროვნული პოლიტიკა. თუ რა მიზანს და ამოცანებს ისახავს ჩვენში პროფკავშირები და კოოპერაცია, ანუ მშრომელთა მასიური ორგანიზაციები.

შემდეგ თავებში გარკვეულია ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკის საკითხები—აქ მოკლე ისტორიული მიმოხილვაა მოცემული თუ რა საფეხურები გაიარა სამეურნეო პოლიტიკამ და რითი იყო იგი გამოწვეული.

ცალკე თავში განხილულია ინდუსტრიალიზაციის საკითხი. აქ სათანადო დიაგრამებით ირკვევა ჩვენი სამეურნეო ზრდის და განვითარების საკითხები.

ცალ-ცალკე თავებშია განხილული პარტიის ამოცანები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ავტორები დაწვრილებით არკვევენ მრეწველობის დარგში რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის გატარების მნიშვნელობას და აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დანარჩენ თავებში განხილულია კულტურისათვის ბრძოლა, პირველი რევოლიუცია, პარტია რეაქციისა და იმპერიალისტური ომების ეპოქაში, 1917 წელი (ორი რევოლიუცია), პარტიული წესდების საფუძვლები, ბრძოლა პარტიული მთლიანობისათვის, კომუნისტური ინტერნაციონალი, საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური სამყარო და უკანასკნელ თავში—დამატებაში განხილულია საქართველო და ამიერ-კავკასია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისაგან ჩამოშორების წლებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთის მხრივ როგორც ავტორთა შეცდომა, ხოლო იმავე დროს ქართველი მთარგმნელის უყურადღებობის ნიმუში, შემდეგი ადგილი: (ქართ. თარ. გვ. 243).. ფინანსიური კაპიტალი უერთდება სამრეწველოს და ამრიგად იქმნება ფინანსიური კაპიტალი... ის რასაკვირველია სრული უაზრობაა, სამწუხაროდ ასეთვეა იგი რუსულ ორიგინალშიაც (იხ. გვ. 191).

მკითხველი ბევრად მოიგებდა, რომ ავტორებს თვითეულ თავის დასრულების შემდეგ ჩამოეწერათ განსამეორებელი კითხვები, რადგან, როგორც თვით ავტორებიც აღნიშნავენ, წიგნი არა მარტო საკითხავია, არამედ სახელმძღვანელოს მოვალეობაც უნდა შეასრულოს მან, ხოლო სახელმძღვანელოს კი განსამეორებელი კითხვები უეჭველად ესაჭიროება, მით უმეტეს, როცა სახელმძღვანელო გათვალისწინებულია „თვითგანვითარებისათვის".

საერთოდ აღნიშნული წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ფართო მკითხველთა მასას და დაეხმარება მთელ რიგ პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის საკითხების სწორ გარკვევაში.

უ. შ.

ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღეები

18-დან 22 იანვრამდე ჩატარებული იქნება ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი დღეები მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავის შესრულების გამო.

ამის გამო საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს აღნიშნული კამპანიის ჩატარების დროს მშრომელთა ფართო მასების ყურადღება შეაჩერონ სოციალისტური მშენებლობის ამოცანებზე და ეს კამპანია დაუკავშირონ საბჭოების საარჩევნო კამპანიას.

პროფკავშირების ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აღნიშნულ კამპანიაში, რომლის დროსაც ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, წარმოების რაციონალიზაციის საკითხები, შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომის დისციპლინის გაძლიერება და სხვა.

კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს შესაფერი ლექციები და მოხსენებები, კონცერტები საუკეთესო ძალების მონაწილეობით და სხვა. პროფკავშირების ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს ლენინის ლიტერატურის გამოფენა, მთელი მასიური მუშაობა კლუბებში, წითელ კუთხეებში და ბიბლიოთეკებში ჩატარებული უნდა იქნეს იმ თვალთახედვით, რომ გაძლიერებული იქნეს ლენინის იდეების აგიტაცია და პროპაგანდა.

ამასთან ერთად პროფორგანიზაციების პერიოდულ გამოცემებში და კედლის გაზეთებში გაშუქებული უნდა იქნეს ლენინის ხსოვნის კამპანიის მნიშვნელობა, გამოშვებული უნდა იქნეს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, რომლებშიაც უნდა დაიბეჭდოს მუშების მოგონებები ლენინზე და სხვა.

ამას გარდა ლენინის ხსოვნის დღეებში უნდა მოხდეს სხვადასხვა კულტურულ კერების გახსნა, უნდა მოეწყოს მუშების ექსკურსიები რევოლიუციის მუზეუმში და სხვა.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

რა არის გაკეთებული დღემდე

სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოები დაჯდება სულ 12 მილიონი მანეთი. თვრამეტ ელექტრომავალის შეძენასთან ერთად კი 20 მილიონი მანეთი.

მიმდინარე წელს საელექტროფიკაციო სამუშაოებისათვის გაცემულია 3 მილიონი მანეთი.

აქამდე დახარჯულია—2.460.000 მანეთი.

ა. წ. 1 იანვრისათვის შესრულებული იყო შემდეგი სამუშაოები: დადგმულია 148 ანძა, მზადაა დასადგმელად 39 ანძა. მომზადებულია 356 საფუძველი ანძებისათვის.

ენერგიის გადამცემ ხაზამდე მასალების მოსაზიდავად 15 კილომეტრის მანძილზე გაყვანილია ახალი გზები. გარდა ამისა 19 კილომეტრის მანძილზე შეკეთებულია უკვე არსებული გზები.

თბილისსა და რიონჰესის შუა 216 კილომეტრის მანძილზე დაწესებულია ორ ხაზიანი სატელეფონო კავშირი.

ხაშურში მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენებულია ორი თითო სართულიანი სახლი; თითეული სახლი შესდგება ოთხ-ოთხი ბინისაგან. იქვე შენდება ორი ექვს ბინიანი სახლი. ამ სახლების მშენებლობა უკვე 80 პროცენტით არის შესრულებული. სახლები აშენებულია აგრეთვე სადგ. მოლითში და გორში.

მოლითში უკვე დამთავრებულია ერთი ორსართულიანი სახლის აშენება, რვა ბინით და მთავრდება მეორე ორ სართულიანი, რვა ბინიანი სახლი. გორში აშენებულია ერთი სახლი ორი ბინით.

[illegible] საქმის მოსაწესრიგებელ სუგო

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

1 იანვრისათვის აკრეფილია 2.035.510 მანეთი

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, საქართველოში ა. წ. 1 იანვრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეკრებილია 2.035.510 მანეთის რაოდენობით. შეკრებილი თანხა შეადგენს ნავარაუდევი თანხის 65,4 პროცენტს.

აფხაზეთში გადასახადი შეკრებილია—38.643 მან. (16.4 პროც.) რაოდენობით, აჭარისტანში—32.070 მან. (52,9 პროც.) რაოდენობით და სამხრეთ-ოსეთში—28.906 მან. (59,5 პროც.) რაოდენობით.

მაზრაში გადასახადის აკრეფა ასეთ სურათს იძლევა: ახალქალაქის მაზრაში აკრეფილია 204.460 მან. ახალციხის—105.378 მან., ბორჩალოს—271.799 მან., გორის—220.436 მან., თბილისის—322.910 მან., კახეთის—593.134 მან., ზუგდიდის—38.132 მან., ქუთაისის—52.054 მან. რაჭა-ლეჩხუმის—36.265 მან., ოზურგეთის—10.475 მან., სენაკის—22.700 მან. და შორაპნის მაზრაში—58.148 მანეთით.

ყველაზე უკეთ გადასახადის აკრეფის საქმე მიმდინარეობს გორის მაზრაში, სადაც უკვე შეკრებილია ნავარაუდევი თანხის 99,3 პროცენტი.

მეთამბაქოეთა თათბირი გურჯაანში

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ინიციატივით 5 იანვარს გურჯაანში შესდგა კახეთის მაზრის მეთამბაქოების რაიონების სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი თამბაქოს ნათესების კონტრაქტაციის შესახებ. თათბირზე მონაწილეობა მიიღეს საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, „სოფლის კავშირის" და „ტაბაკსირიო"-ს წარმომადგენლებმა.

თათბირმა მოისმინა მოხსენებები მეთამბაქოების მდგომარეობის შესახებ მაზრაში და საჭიროდ სცნო, რომ მიმდინარე სამეურნეო წელიწადში ჩატარებული იქნეს კონტრაქტაცია 1.800 ჰექტარ თამბაქოს ნათესებზე. ამასთანავე თათბირმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს ორგანოების წინაშე, რომ თამბაქოს ნათესებზე ავანსი დაწესებული იქნეს ჰექტარზე არა ნაკლებ 400 მანეთისა. ავანსები გაცემული უნდა იქნეს სამ ვადაში: პირველი ავანსი გაცემული უნდა იქნეს—10 მარტისათვის, მეორე ავანსი 10 ივლისისათვის და მესამე 10 აგვისტოსათვის. თათბირმა ამასთანავე იშუამდგომლა, რომ გამოყოფილი ფქვილი მეთამბაქოებს გაუნაწილდეს მარტსა და მაისში.

ანალოგიური თათბირები ჩატარებული იქნება საქართველოს მეთამბაქოების დანარჩენ რაიონებშიაც.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს უმაღლეს ეკონომსაბჭოსთან არსებულმა კოოპერატიულ საქმეთა სამმართველომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი ახალი კოოპერატივები: თბილისის სარეწ. კოოპ. არტელი „მეტალისტკა"; თბილისის დურგლების სარეწ. კოოპ. არტელი „26 კომუნარი"; სარეწაო არტელი „კვება"; თელავის საკანდიტრო სარეწაო არტელი „ლიონი"; თელავის მეჩექმეთა სარეწ. კოოპ. არტელი „სოციალიზმის გზა"; ახალციხის ყუთების მკეთებელთა სარეწაო კოოპ. არტელი „წითელი ყუთი"; ახალციხის ნაწლავების დამმუშავებელთა სარეწაო კოოპ. არტელი „პროლეტარი"; სენაკის მაზრის ზემოჭალადიდის ხე-ტყის დამზადებელთა სარეწ. კოოპ. არტელი „ტყის ნადი"; სურამის ხარაზთა სარეწაო კოოპ. არტელი „პირველი მაისი"; ხაშურის მეპურეთა სარეწ. კოოპ. არტელი „ახალი სიცოცხლე"; სურამის მეჩექმეთა სარეწაო კოოპ. არტელი „ახალი გზა"; სურამის მექალამნეთა სარეწ. კოოპ. არტელი „სინათლე"; ოზურგეთის ჩულქების მქსოველთა სარეწ. კოოპ. არტელი „წითელი ვარსკვლავი"; შორაპნის მაზრის სოფ. მოლითის კირის დამწველთა სარეწ. კოოპ. არტელი „მოლითის კირი"; ქუთაისის ხილეულის წყლების დამამზადებელთა სარეწაო კოოპ. არტელი „წითელი ვარსკვლავი"; თბილისის მაზრის სოფ. ზედა კაფანაქჩის სას. სამ. არტელი „მერხნიე კაპანაქჩი"; თბილისის მაზრის სოფ. თაზაკანდის სას. სამ. არტელი „პროლეტარი"; თბილისის მაზრის სოფ. თაზაკანდის სას. სამ. არტელი „მურა"; ახალქალაქის მაზრის სოფ. კარზახის სას. სამ. არტელი „კალინინი"; თბ. მაზრის სოფ. თიანეთის სას. სამ. არტელი „ამხ. ბოლქვაძის სახელობის გლეხის ოჯახი"; თბილისის მაზრის სოფ. ვლდანის სას. სამ. არტელი „დიდი ვაკე"; კახეთის მაზრის სოფ. საბუეს სას. სამ. არტელი „ახალი შრომა"; კახეთის მაზრის სოფ. ნუკრიანის სას. სამ. არტელი „ნუკრიანი"; ახალციხის მაზრის სოფ. ტაზრისის სას. სამ. კომუნა „პირველი ნაბიჯი"; ოზურგეთის მაზრის სოფ. ციხისუბნის სას. სამ. არტელი „კვიჩილაური"; ქუთაისის მაზრის სოფ. იანეთის სას. სამ. არტელი „მოსავალი"; ქუთ. მაზრის სოფ. პატრიკეთის სას. სამ. კომუნა „პატრიკეთის კომუნა"; ოზურგეთის მაზრის სოფ. ოზურგეთის „სასოფლო - სამეურნეო არტელი „შრომა"; ოზურგ. მაზრის სას. სამ. არტელი „კომუნა"; ოზურგ. მაზრის სოფ. მიქელგაბრიელის სას. სამ. არტელი „ახალი გზა"; ოზურგ. მაზრის სოფ. კახურის სას. სამ. არტელი „ნადი"; ოზურგ. მაზრის სოფ. ახალსოფლის სას. სამ. არტელი „წინსვლა"; ოზურგეთის მაზრის სოფ. აკეთის სას. სამ. არტელი „სინათლე"; თბ. მსუბუქ და მძიმე ტრანსპორტზე მომუშავეთა გაერთიანებული სარეწ. კოოპ. არტელი „ტრანსშენი"; ქუთ. მზარეულთა სარეწ. არტელი „სალი კვება"; სოფ. წყალტუბოს მზარეულთა სარეწაო არტელი „გემო"; ქვემო სვანეთის სოფ. ლაშხეთის ხე-ტყის დამამზადებელთა სარეწაო კოოპ. არტელი „მშრომელი სვანი"; ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვის სატრიკოტაჟო სარეწაო კოოპ. არტელი „ქალთა კავშირი"; დაბა ლაილაშის მეჩექმეთა სარეწაო კოოპ. არტელი „ლაილაში"; თბილისის ხე-ტყის დამამზადებელთა სარეწაო კოოპ. არტელი „მიღწევა"; სოფ. ბაღდათის ხარაზთა სარეწაო კოოპ. არტელი „განთიადი"; თბილ. ვემო-კვების მუშაკთა სარეწ. კოოპ. არტელი „ხოზპროდუქტი"; თბ. ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. არტელი „პროლეტარი" და ქუთაისის ხარაზთა სარეწ. კოოპ. არტელი „თვითმშრომელი".

საბინაო კოოპერაციის განვითარება

(საუბარი ამიერ-კავკასიის საბინაო კოოპერაციის თავმჯდომარე ამხ. იაშვილთან)

ამიერ-კავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმმა, რომელიც 11 იანვარს დამთავრდა, დაწვრილებით განიხილა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საბინაო კოოპერაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გეგმის მიხედვით უახლოესი 5 წლის განმავლობაში საბინაო კოოპერატიულ მშენებლობაზე ამიერ-კავკასიის ფედერაციაში დაიხარჯება 36.983.000 მანეთი აქედან 16.678.000 მანეთი აზერბეიჯანში, 8.504.000 მანეთი სომხეთში და 11.800.000 მანეთი საქართველოში. ხუთი წლის განმავლობაში აგებული იქნება 306.763 კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი.

1928-29 წელს საბინაო კოოპერატიული მშენებლობა გასულ წელთან შედარებით გადიდებული იქნება 50 პროცენტით. სულ დაიხარჯება 5.204.210 მანეთი (აზერბეიჯანში—2.422.763 მანეთი, საქართველოში—1.381.474 მანეთი და სომხეთში—1.400.0000 მნეთი).

ახალი საბინაო ფართობი მიმდინარე წელს კოოპერაციის ხაზით გაიზრდება 35.972 კვად. მეტრით. აქედან 17.429 კვ. მეტრი მოდის აზერბეიჯანზე. 9.210 კვ. მეტრი სომხეთზე და 9.333 კვ. მეტრი საქართველოზე.

პლენუმმა საჭიროდ სცნო განაგრძოს მუშაობა კოოპერატიული მშენებლობის გასიაფებლად (1926 წელს საბინაო ფართობის 1 კუბ. მეტრის ღირებულება შეადგენდა 19 მანეთს 1928 წელს—16-17 მანეთს). მიზანშეწონილადაა ცნობილი, რომ მშენებლობის პროექტების განხილვა ხდებოდეს მეპაეთა ფართო კრებებზე.

პლენუმმა დაადგინა მიიღოს გადამჭრელი ზომები ბინის ქირის დავალიანების ლიკვიდაციისათვის საბინაო - საიჯარო ამხანაგობათა სახლებში და დასვას საკითხი იმის შესახებ, რომ ვინც ბინის ქირას არ გადაიხდის, გამოსახლებულ იქნას ადმინისტრატიული წესით.

საბინაო კოოპერაციის მასიური კულტურულ ყოფა-ცხოვრებითი მუშაობის განვითარებისათვის რესპუბლიკანურ საბინაო კავშირებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით განახორციელონ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილება კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი ფონდის შექმნის შესახებ. 1929 წლის საამშენებლო საბინაო კოოპერატივებთან კულტურულ ყოფა-ცხოვრებითი ფონდის შესაქმნელად გადაიდება ასაგები სახლების ღირებულების 5 პროცენტი. (ოდს).

ქ უ თ ა ი ს ი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დნეპროსტროის ინჟენრები ქუთაისში

ქუთაისში რიონჰესის სამუშაოების დათვალიერების მიზნით, რუსეთიდან ჩამოვიდნენ „დნეპროსტროის" ინჟენრები: სტრინზანი, პიროგოვი, რისინსკი, გერვიკი, გარეგიკოვი, ზევინევიჩი და ზეგაზოვსკი, რომლებმაც მოხსენება გააკეთეს ქუთაისის მუშათა ცენტრალურ კლუბში, სადაც მოწვეული იყო მშენებელ მუშათა კავშირის წევრები და სამაზრო პარტკომის წარმომადგენლები.

ინჟენრებმა მოხსენება გააკეთეს „დნეპროსტროის" მშენებლობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ინჟენრებს თან ჰქონდათ წამოღებული კინო-აპარატი სურათებით, რომელზედაც გადაღებულია „დნეპროსტროი"-ზე წარმოებული მუშაობის მთავარი მომენტები, რომელიც ნაჩვენები იქნა მოხსენების გათავების შემდეგ.

ივანე ბუხაიძე.

ტრამვაის ხაზი ქუთაისსა და აგარაკ წყალტუბოს შუა

ქუთაისის სამაზრო აღმასკომი უკვე შეუდგა ქუთაისსა და აგარაკ წყალტუბოს შუა ტრამვაის ხაზის გაყვანისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას. სწარმოებს პროექტის შედგენა, რაც მოკლე ხანში წარედგინება სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმს. მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად გადადებულია 15.000 მანეთი. დასრულების შემდეგ ხაზი იმუშავებს ჯერ „აბჰეს"-ს და შემდეგ რიონჰესის ელექტრო-ენერგიის საშუალებით.

ლითონის ნამტვრევების შეგროვება

ახკომკავშირის ქუთაისის ორგანიზაციამ 25 დეკემბრიდან დაიწყო მაზრის ყველა სამრეწველო რაიონებში ლითონის ნამტვრევების შეგროვების კამპანია. სამაზრო და სარაიონო კომიტეტებთან გამოიყო სამეულები და უჯრედებთან კომკავშირელთა დამხმარე ჯგუფები. რომელთა ენერგიული ზომებით დღემდე შეგროვილია სულ 800 ტონამდე ლითონის ზოდები. კამპანია გაგრძელდება პირველ თებერვლამდე.

ანტი-რელიგიური დემონსტრაცია

6 იანვარს ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციამ უპარტიო მუშა-ახალგაზრდობასთან და მოწაფეებთან ერთად მოაწყო ანტი-რელიგიური პროპაგანდის მიზნით გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 2.500-მდე კომკავშირელებმა და უპარტიო მშრომელმა ახალგაზრდობამ. განსაკუთრებით საინტერესო იყო კულტურული სახის გამოფენები დემონსტრაციაზე, რამაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

გრ. ხვანიძე.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს თბილისის და მისი მიდამოების მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ორშაბათს, 14 იანვარს, და ოთხშაბათს, 23 იანვარს, მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საცდელი სროლა. 14 და 15 იანვარს ვაკეში სასროლ მოედანზე იწარმოებს სასწავლო სროლა.

ამერიკელი ინჟენრების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი ინჟენრები: ჯ. დონნელი და ამერიკულ ფირმის—„იორკს" წარმომადგენელი ინჟ. ლ. ბენჟამენი.

დანიშვნა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ახალშენებათა სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. ვასილ მზარეულიშვილი.

ქურთ.-ეზიდების კლუბის გახსნა

დღეს, საღამოს, 6 საათზე გაიხსნა (პლეხანოვის პროსპექტი, № 52) ქურთ-ეზიდების კლუბი.

სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის მუშაკთა ყრილობა

20 იანვრისათვის მოსკოვში დანიშნულია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობასთან დაკავშირებით, 12 იანვარს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკთან შესდგება ყრილობაზე არჩეულ ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო სისტემის წარმომადგენელთა თათბირი.

პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის შედეგები

ა. კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს; ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტს და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ამიერ-კავკასიის საოლქო გამგეობას შეუდგნენ პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის შედეგების ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარებას.

ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების საკითხი განხილული იქნება ა. კ. საორგანიზაციო თათბირზე.

რიგების წინააღმდეგ

თბილისის მუშკოოპში მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო და რუსეთის მუშათა კოოპერაციის ცენტრალურმა საბჭომ კოოპერატიულ სავაჭროებში რიგების თავიდან აცილების მიზნით დაადგინა გააფართოვოს მოძრავ დუქნების და ფარდულების ქსელი და დააწესოს სავაჭროებში საღამოობით ვაჭრობა.

ეს დადგენილება მუშკოოპის გამგეობამ განიხილა თავის უკანასკნელ სხდომაზე და დაავალა საგეგმო ბიუროს დააჩქაროს პრაქტიკული ღონისძიებების დამუშავება თბილისში მოძრავ დუქნების და სავაჭრო ფარდულების ქსელის გასაფართოვებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **კალიაევის აღმართის გაფართოვება.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა შეუდგეს კალიაევის აღმართის გაფართოვებას.

◆ **ახალი ხიდები.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ვარაზის ხევზე გააკეთოს ორი პატარა ხიდი.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ **მიწადმოწყობა.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოში მიწადმოწყობა სავსებით დამთავრდება უახლოეს 7 წლის განმავლობაში.

◆ **აგრო-დახმარებაზე** გასულ წელს მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა დახარჯა 700.000 მანეთი.

◆ **უმიწაწყლო გლეხების დასახლება.** დღემდე საქართველოში ახალ მიწებზე დასახლებულია 2000 კომლი.

სხვადასხვა

◆ **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** უახლოეს 5 წლის განმავლობაში ფოთის რაიონში ჭაობები ამოშრობილი იქნება 170 ჰექტარის სივრცეზე.

◆ **ექსკურსია.** საექსკურსიო-ტურისტული ბიურო 19 იანვარს აწყობს პირველ საზამთრო ექსკურსიას ბაკურიანში.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** კვირას, 13 იანვარს, საღ. 8 ნახ. საათზე სახლის წევრებისათვის გაიმართება კონცერტი ოპერის ძალების მონაწილეობით.

ორშაბათს, 14 იანვარს, საღ. 6 ს. შესდგება ბიბლიოთეკართა კრება. ამხ. ლოგვინოვი გააკეთებს მოხსენებას „კულტურული რევოლიუცია, კულტლაშქრობა და ბიბლიოთეკარის როლი მასაში".

◆ **„ავტოდორი"-ს უჯრედების დაარსება.** საქართველოს ავტომობილიზმის და გზატკეცილთა ხელშემწყობი საზოგადოება („ავტოდორი") შეუდგა საზოგადოების უჯრედების დაარსებას წარმოებს-დაწესებულებებში.

უკვე დაარსებულია 15 უჯრედი. საზოგადოებაში ჩაწერილია ათასამდე მეტი წევრი. მარტო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან დაარსებულ უჯრედში ჩაწერილია 500 სტუდენტი.

— **თბ. მუშკოოპი—წითელი ჯვრის წევრი.** თბილისის მუშკოოპი შევიდა წევრად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში.

კრებები და მოხსენებები

◆ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 13 იანვარს, დღის 12 საათზე თბ. ინდუსტრიალურ ტექნიკუმში შესდგება საქ. ტექნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ი. კომპანიონი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ბუნებრივი მინერალური სასუქი (გლაუკონიტი და სხვ) საქართველოში".

◆ **საქართველოს მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში.** კვირას, 13 იანვარს, დილის 10 საათზე მთ. საგავ. სახლის საკრებულოში დანიშნულია სვანთა კრება. ბიუროს საანგარიშო მოხსენების გარშემო.

„ავტოდორის" ლატარია

ამჟამად მთელ საქართველოში მიმდინარეობს კამპანია „ავტოდორის" ლატარიის ბილეთების გასავრცელებლად. ლატარიაში არის 3391 მომგებიანი ბილეთი (205.500 მანეთის ღირებულების). თვითეული ბილეთი ღირს 50 კაპ. ლატარიაში გათამაშებული იქნება 21 მსუბუქი ავტომობილი და ტრაქტორები, 20 მოტოციკლეტი, 500 კაცის ველოსიპედი. 100 ქალის ველოსიპედი. 50 ავტომობილით სამოგზაურო ბილეთი, 500 რადიო-მიმღები აპარატები და სხ. ის პირი, რომელსაც შეხვდება ავტომობილით მგზავრობის მომგებიანი ბილეთი, შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, 2 კვირით იქნება განთავისუფლებული სამსახურისაგან ჯამაგირის შენახვით. ბილეთების შეძენა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება „საქ. ავტოგზაში" (მაჩაბელის ქუჩა № 8).

ამინდი საქართველოში

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი მოწმენდილი დარი იდგა. ცოტა ყინავდა. თბილისში ტემპერატურა ნოლ გრადუსს უდრიდა.

დასავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ნალექებს. ფოთის მიდამოებში წვიმდა. ბათომის და სამტრედიის რაიონებში თოვდა. სამტრედიაში თოვლის სიღრმემ ნახევარ არშინს მიაღწია.

როგორც ა. კ. რკინის გზების სამმართველოში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, თოვლმა გზის დასავლეთ უბანზე შეაფერხა მატარებლების მიმოსვლა. გზაზე მუშაობენ თოვლმწმენდავები.

ცუდი ამინდების გამო მატარებლები დასავლეთ უბანზე იგვიანებენ.

რკინის გზებზე

დაჯახება

11 იანვარს სადგ. ალავერდში, მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დაკეტილი იყო, შევიდა საბარგო მატარებელი № 132. ხაზი ამ დროს დაკავებული იყო. მოხდა დაჯახება. დაზიანდა ორივე მატარებლების ორთქლმავლები. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ცისტერნების შეკეთება

ზოგიერთი ნაწილების უქონლობის გამო უკანასკნელ ხანებში კანადური სისტემის (ცისტერნების შეკეთება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე შეფერხდა.

ამ დღეებში გზების სამმართველო საკავშირო ლითონის სინდიკატისაგან მიიღებს (ცისტერნების საჭირო ნაწილების პარტიას და ცისტერნების შეკეთება იწარმოებს დაჩქარებულ წესით.

საამქროს ვენტილიაცია

თბილისის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხნის სავაგონო საამქროში ამჟამად სწარმოებს ვენტილიაციის მოწყობა.

ვენტილიაციის მოწყობა ჯდება 5.500 მანეთი.

შემთხვევები

ქურდი—სტატისტიკოსი

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის შენობიდან სისტემატიურად იკარგებოდა ტანსაცმელი და სხვადასხვა ნივთები. ამის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდა კომისარიატის ყოფილი თანამშრომელი (სტატისტიკოსი) ბორის მიხეილის ძე ბაბეუკ-მელიქოვი.

ბაბეუკ-მელიქოვი დაპატიმრებულია, იგი გამოტყდა დანაშაულში.

მკვლელობა

გუშინწინ ვაკეში შემთხვევით თოფიდან გასროლილი ტყვია შემთხვევით მოხვდა ფაბრიკა „თემქას" მუშა ვართან ვართანის ძე ვართანოვს. რომელიც იქვე გარდაიცვალა. გვამი გაგზავნეს საავადმყოფოს პროზექტურაში.

ყელის გამოჭრა

12 იანვარს, თვითმკვლელობის მიზნით სამართებლით ყელი გამოიჭრა ბარბალე ფერაძემ (მცხ. ობოლაძის ქუჩა № 20). ფერაძის ქალი გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

გუშინ, დილით, მე-5 სამილიციო უბნის მილიციელმა გულაევმა პოსტზე ყოფნის დროს შეამჩნია საეჭვო მოქალაქე, რომელსაც მიჰქონდა სხვადასხვა ნივთები. მილიციელის დანახვაზე მოქალაქემ ხელიდან გააგდო ნივთები და განიზრახა მიმალვა. მილიციელი დაედევნა ქურდს და შესაშინებლად რევოლვერიდან გაისროლა რამოდენიმეჯერ, ქურდმა მოასწრო მიმალვა.

ხანძარი მილიციის შენობაში

12 იანვარს ხანძარი გაჩნდა ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების ფეხსაცმელების სახელოსნოში (ლ. დუმბაძის ქ.) სასწრაფოდ გამოწვეულმა სახანძრო რაზმმა ცეცხლი ჩააქრო 40 წუთში.

დაიწვა სახელოსნო, დაზიანებულია მილიციის კულტკომისიის ბინა.

ცეცხლის გაჩენის მიზეზები ირკვევა.

ორი ბავშის დაწვა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობებით, სოფ. ზემო-ავჭალაში (მცხეთის სამილიციო უბანი) ცეცხლი გაუჩნდა სამსონ კაკაურიძის სახლს. დაიწვა კაკაურიძის ორი ბავში.

მკვლელობა ქეიფობის დროს

სოფ. საჭურეში (თიანეთის სამილიციო უბანი) ქეიფის დროს შიო კაგას ძე წიკლაურმა მოკლა მგელიკა გიოსძე არაბული (მცხ. სოფ. ჭართალაში, კახეთის მაზრა). წიკლაური დაპატიმრებულია.

ქურდობა

გაქურდეს მ. გვარამაძის ბინა (პირველი სამილიციო უბანი)—წაიღეს 600 მანეთის საოჯახო ნივთები,—აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკადან საბჭოთა ქ. № 22 მოიპარეს 180 მანეთის ნივთები.

რეციდივისტები

მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: მიხეილ ალექსანდრეს ძე იათინი. სერგო კიმოთეს ძე პაპოვი (უბინაო) და ბესო მიშას ძე აბრამიაშვილი, რომლებმაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი ნივთები.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

გრიგოლ პიროგოვის გასტროლები

დღეიდან სახელმწიფო ოპერაში იწყება ცნობილი ბანის გრიგოლ პიროგოვის გასტროლები. მომღერალი დღეს გამოვა ოპერა „სევილიელ დალაქში" და საკონცერტო განყოფილებაში. თბილისში პიროგოვი დაჰყოფს 28 იანვრამდე. ამ ხნის განმავლობაში ის გამოვა 10 ოპერაში.

გრიგოლ პიროგოვი დაიბადა 1885 წ. ღარიბი გლეხის ოჯახში. 17 წლ. იგი დურგლობას ეწეოდა მამასთან ერთად. მუშაობდა ყაზანის რკინის გზაზე. გრიგოლი სრულიად შემთხვევით გახდა მომღერალი. იგი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიაში.

პიროგოვის საოპერო კარიერა დაიწყო როსტოვში ოპერაში „ჯადოქარის მსროლელი". 1908 წელს მას იწვევენ პეტერბურგში. იმავე წელში გადადის მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც განუწყვეტლივ მუშაობს 1927 წლამდე. 1923—24 წლებში საგასტროლოდ მოგზაურობდა ევროპაში. გამოდიოდა ბერლინში, დრეზდენში, ლეიპციგში, ბრიუსელში, პრაღაში. პარიზში და სხვა დიდ ქალაქებში. 1928 წელში მღეროდა საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებში. უკანასკნელად გამოდიოდა სვერდლოვსკში, სადაც მონაწილეობა მიიღო 20 წარმოდგენაში.

გრიგოლ პიროგოვს ჰყავს სამი ძმა: ალექსანდრე, ალექსი და მიხეილ პიროგოვები. ოთხივე ძმას საუკეთესო ბანი აქვს. მიმდინარე წლის ზაფხულში ძმები პიროგოვები აპირებენ ევროპაში გამგზავრებას საგასტროლოდ. ოთხივე ძმა მოწვეულია ნიუ-იორკშიაც რამდენიმე გამოსვლისათვის.

გრ. პიროგოვის მიერ შექმნილია ოპერის 70-დე პარტია. მისი საუკეთესო პარტიებია დონ-ბაზილიო („სევილიელი დალაქი"), მეფისტოფელი („ფაუსტი"), მარსელ („გუგენოტები"), მეწისქვილე („ალი") და სხვები.

სოხუმის ქართული დრამა

სოხუმის სახელმწიფო ქართულმა დრამამ დღემდე დასდგა ოთხი პიესა: „რღვევა", „ჯანყი გურიაში", „ცეკვა ბებუთით" და „კომისარი მოსკოვიდან". ყველა წარმოდგენას დიდძალი ხალხი ესწრება.

ამჟამად დასი ამზადებს: ს. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდს" და ჩიანელის „ყარამ და ემზარ"-ს, შ. დადიანის—„კაკალ გულში" და სხვა.

კინო და ბავშვები

სახკინმრეწვის სამხატვრო საბჭომ დაადგინა საბავშვო კინო-სეანსების დროს მოაწყოს [illegible] სხდომები [illegible] თვითმოქმედების გამოსაფხიზლებლად. საბჭომ სცნო აგრეთვე დადგას საკითხი [illegible] ბავშვების უშუალო მონაწილეობით.

[illegible] განყოფილებამ [illegible] შავა და სახკინმრეწვის გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინა საბავშვო კინო-სურათების დროს მოკლე საუბრების მოწყობის პროექტი. ამ საუბრის დროს ბავშვებმა უნდა გამოსთქვან თავიანთი მოსაზრებანი ნახული სურათის შესახებ. ამის შემდეგ პედაგოგების ჟიური, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარდება ეს საუბრები, დაურიგებს ჯილდოს იმ ბავშვებს, რომელნიც გამოიჩენენ მოთხრობის, კრიტიკული მსჯელობის და დაკვირვების უკეთეს უნარს. პროექტი მოწონებულია, როგორც სახკინმრეწვის, ისე თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების მიერ, და განხორციელებულ იქნება მას შემდეგ, როგორიც კი გაივლის ბავშვთა ეპიდემიური ავადმყოფობა, (რომლის გამო შეჩერებულია საბავშვო კინო-სეანსები).

თელავის თეატრის სეზონის გახსნა

თელავის ახლად აშენებული თეატრი თავის ფართო პარტერით, დიდი სცენით და სხვა მოწყობილობით ხელსაყრელ პირობებს ქმნის დრამ. დასის არსებობისათვის. უნდა ითქვას, რომ სცენის გამოცდილი მუშაკნიც საკმაოდ მოიპოვებიან თელავში მაგრამ მათ აქამდე არ ჰყავდათ ხელმძღვანელი (რეჟისორი), რომელიც მხოლოდ ამ ერთი თვის წინად იქნა მოწვეული.

რეჟისორად მოიწვიეს მსახიობი გალ. როჩაძე და მსახიობი ქალი მიშელაშვილი. მათი ხელმძღვანელობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ჩამოყალიბდა დრამატიული დასი.

სეზონი გაიხსნა 2 იანვარს. დადგეს პიესა „არლეზიკი".

წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო.

ვან—ლი.

ხელოვნების ქრონიკა

„პროლეტარული მწერლობა"

დაიბეჭდა და გამოვიდა „პროლეტარულ მწერლობის" მორიგი № 12 (დეკემბერი). შინაარსი: **იონა ვაკელი**—ლექსი შრომაზე; **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—ნახატი ნატურიდან; **პეტრე სამსონიძე**—საუბარი მეგობართან; **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—ბორანი (რომანი); **ფრიდონ ნაროუშვილი**—ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში; **კალე ბობოხიძე**—მთავარ სახელოსნოში; **ელიზბარ პოლუმორდვინოვი**—რკინის ძმები (მოთხრობა); **ილია ხოშტარია**—იერიში; **გიორგი კაჭახიძე**—ნანგრევთა შორის; **სიმონ ხუნდაძე**—ნ. გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი; **ვ. ლუარსაბიძე**—სალიტერატურო კრიტიკის შესახებ; პროლეტარული მწერლობის დღიური: **კ. ლორთქიფანიძე**—შენიშვნები ლირიკული პოეზიის შესახებ; **ა. ქიქოძე**—საქმე და სიტყვა; **ვ. ლუარსაბიძე**—გავშალოთ „ნაპოსტოველების" მებრძოლი დროშა; **ზ. რ.**—მხატვრული ლიტერატურა და მკითხველის პრობლემა; **ალ. სულავა**—მუშა-მწერლების შესახებ; **კ. ფოცხვერაშვილი**—კულტურული რევოლიუცია და ჩვენი სამუსიკო საქმიანობა; ბიბლიოგრაფია.

◆ **გ. პიროგოვის მონაწილეობით** დღეს ოპერის თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი", შემდეგ—საკონცერტო განყოფილება.

◆ **„ხოჭოების დოღი".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ხოზიკის კომედია „ხოჭოების დოღი".

◆ **მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი.** დღეს, დილის 12 საათზე და საღამოს 8 საათზე აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება მესამე პრემიერა „ალტელი რობინზონები". დადგმა ალ. თაყაიშვილის, დეკორაციები მხატვარ მ. ვოგლინიძის.

◆ **კომკავშირულ მწერალთა წრეში.** კვირას, 13 იანვარს, საღ. 6 საათზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირულ მწერალთა წრის მორიგი კრება. ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდნენ დღის 12 საათზე.

◆ **დიდი კონცერტი.** დღეს, 13 იანვარს, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კონცერტი ავადმყოფ მსახიობის ელო ანდრონიკაშვილის სასარგებლოდ.

ჭ ა დ რ ა კ ი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ვ. სერედა (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ო. ნემო (ვენა)



შამათი სამ სვლაში

მე-6 №-ში მოთავსებულ ამოცანის და ეტიუდის გადაწყვეტა

ამოცანა ისაევის: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. კe7—f8!

I. 1..., მf3 2. მf5× შამათი II. 1..., მd3 2. ეe2× III. 1..., მg2 2. ლg3×

ეტიუდი მირზაევის: 1. მc2—a1! I. 1..., კ:a1 2. a7, კb2 3. a8ლ, a1ლ+ 4. ლ:a1 კ:a1 5. კh6 ყაიმი, რადგან თუ შავები აიყვანენ კუს, მივიღებთ თეორიაში ცნობილ საყაიმო პოზიციას. g პაიკის გაწევა არ ივარგებს კუს დაკარგვის გამო g7-ზე ქიშის შემდეგ. სწორედ ეს ჰქონდათ აზრად თეთრებს მa1! თამაშის დროს.

მე-7 №-ში მოთავსებულ ამოცანის და ეტიუდის გადაწყვეტა

ამოცანა სერედასი: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. კh7—e4!

I. 1..., ე:e4 2. მf3× II. 1..., კ:e4 2. მf7×

ეტიუდი ზალკინდის. გადაწყვეტა: 1. მh7—g5!, კg4—d7 2. მg5—e6+, კd7:e6 (თუ კი შავები არ აიყვანენ კუთი მხედარს, მაშინ თეთრები ითამაშებენ მd8, დაიცავენ თავს შამათისაგან c6-ზე და თანაც იმუქრებიან ლაზიერის გაყვანას; თუ შავები მეფით მოშორდებიან c-ხაზს, მაშინ თეთრები ითამაშებენ მფb7, რის შემდეგ იმუქრებიან უკვე პარტიის მოგებასაც) 3. მb1—c3, კc5×c3 4. e8მ+, მფc8 5. მe8—d6+ყაიმი (თუ 4..., მფc6 მაშინ 5. მc7! თუ კი შავები მოშორდებიან c ხაზს, მაშინ მოხდება იგივე, რაც ზემოთ იყო ნათქვამი).

მე-8 №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა სერედასი: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. მფh8—g8!

I. 1..., ლe6+ 2. მ:e6× II. 1..., d3 2. ლc3× (თუ კი შავები მოშორდებიან ლაზიერით f1—a6 დიაგონალს მაშინ, მa3×).

ამოცანა პალკოსკოსი: შამათი სამ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეg1—g5!

I. 1..., ეh5:g5 (არ ივარგებს ეh8, ეh4 შამათის გამო) 2. ლf8—d6, ეg5:d5 3. ლ:d5× (თუ მეორე სვლით სხვა რამეს ითამაშებენ, მაშინ ეb4 შამათი).

პასუხი მკითხველებს

ისაევის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: კავთიაშვილმა, ტყეშელაშვილმა, კალანდაძემ და გ. მშვიდობაძემ (თბილისი).

მირზაევის ეტიუდის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნა: კანკავამ (თბილისი).

№ 7 სერედას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, კავთიაშვილმა, ტყეშელაშვილმა, მერაბაშვილმა, ცქიტიშ (თბილისი) და ვ. შავგულიძემ (ქუთაისი).

სერედას ამოცანის (№ 8) სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ან. მერაბაშვილმა და გლ. ტყეშელაშვილმა (თბილისი).

ამხ. კახაბრიშვილს, გლ. ტყეშელაშვილს, ბაქრაძეს, კვათუნას, კუზელს (თბილისი) ვ. შავგულიძეს (ქუთაისი), კალანდარიშვილს (ოზურგეთი) და ფირცხალაიშვილს (ლეჩხუმი): თქვენი ამოცანები დასაბეჭდად არ გამოდგებიან.

ამხ. იმნაძეს: თქვენი ეტიუდი დასაბეჭდად არ გამოდგება.

ამხ. კარიჭაულს: გამოგზავნეთ თქვენი ამოცანის გადაწყვეტა.

ამხ. „ზემო-ხობელს": გამოგზავნეთ თქვენი ამოცანა ხელახლად თავისივე გადაწყვეტით.

ყველას საყურადღებოდ

იმ ამხანაგებმა, რომელნიც დაინტერესებული არიან ჭადრაკის კომპოზიციით და მუშაობენ ამოცანის შედგენაზე, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: ამოცანა, რომლის გადაწყვეტა იწყება პირველი სვლით ქიშით, ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

ამხანაგებმა, რომელნიც გზავნიან რაიმე კორესპონდენციებს, ასეთები უნდა სწერონ გარკვევით და სუფთა ქაღალდზე. სასურველია ამოცანას დართული ჰქონდეს დიაგრამა.

შეცდომის გასწორება

მე-9 №-ში მოთავსებულ გლ. ტყეშელაშვილის ამოცანაში შეგვეპარა მნიშვნელოვანი შეცდომა: პაიკი h5-ზე კი არ უნდა იყოს (როგორც იყო დედანში), არამედ h3-ზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 14 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: გ. მალხაზიანი, ლ. სურმავა, გ. ბობონოვი, დ. გოცირიძე, პ. შავდია, გ. ბაბაიანცი, მ. ლიაშინი; ს. პროტოსევიჩი, პ. წივწივაძე, ს. ჩერქეზიშვილი და ს. მერკუმოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ა. სახანბერიძე, ს. ჩომახიძე, ა. ბალიანცი, გ. ბანძავა, გ. ბადრიაშვილი.

მედსექციიდან: იაკობ ნერსესიანი, მელიტონ გოგლიძე, კლავდია ზიგეევა, ნინო მჭედლიძე, გრიგოლ ხიდუპარეზოვი, კონსტანტინე კურიცოვი, ნინო ხელაძე-ალშიბაია, თედორე ლუნიკოვი, ანნა კოქლამაზაშვილი, ნადეჟდა სანაძე, ანნა ალექსეევა.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ანაიდა ახსალოვა.

კულტურული მუშაობა უმუშევრებში

უმუშევართა შორის კულტურული მუშაობის ჩასატარებლად საქ. შრომის სახალხო კომისარიატმა გადადო 3.000 მან.

შრომის ბირჟამ შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომისა და დამზღვევ სალაროს წინაშე, რათა მათ გადადონ თანხები უმუშევართა შორის კულტურული მუშაობის საწარმოებლად.

განზრახულია შრომის ბირჟასთან მოეწყოს კლუბი-სამკითხველო სადაც იწარმოებს ლექციების კითხვა შრომის კანონმდებლობის და უმუშევრობასთან დაკავშირებულ საკითხების გასაშუქებლად.

რადიო-გადაცემა

კვირა, 13 იანვარი

დღეს, 13 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: პიონერთა რადიო-გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე; საბავშვო კონცერტი; გლეხთა რადიო-გაზეთი; კონცერტი გლეხებისათვის.

საღამოს: კომკავშირის რადიო-გაზეთი; საუბარი ციკლიდან—„დახმარება გლეხებს"; ტეხნიკური კონსულტაცია; ოპერის მუსიკალური განმარტება; ოპერა „სევილიელი დალაქის" ტრანსლიაცია; ამინდის ბიულეტენი.

ორშაბათი, 14 იანვარი

წითელარმიელთა რადიო-გაზეთი; მუშათა რადიო-გაზეთი; მოხსენება—„ყვავილი და აცრა მის წინააღმდეგ"; საერთაშორისო მიმოხილვა; თემატიური კონცერტი ციკლიდან „საპროგრამო მუსიკა"; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი.

ჩვენი ფოსტა

შალვა შოშაშვილს

გვაცნობეთ თქვენი მისამართი, რომ გაგზავნოთ გაზეთი.

იურიდიული დახმარება

პორფილე პავლესძე დვალს

კითხვა:

ვარ ღარიბი გლეხის ოჯახიდან. სოფლათ მაქვს ერთი პატარა ხის სახლი და 250 კვ. საჟენი მიწა. სხვა არავითარი ქონება არა მაქვს. ვირიცხები 1-ლ კატეგორიის უღარიბეს გლეხთა. მიწის რეფორმის დაწყებით წესით ჩატარების დროს მე ვმსახურობდი რკ. გზის მცველთა რაზმში, ამიტომ გაუგებრობით ჩამომერთვა სოფლად ყოველივე, მაგრამ გასაჩივრების და სამი წლის განმავლობაში მიმოწერის შემდეგ, რაჭის მაზრის საადგილმამულო განყოფილებამ, 1925 წელში გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით დამიბრუნა მარტო სამოსახლო; საკითხი მიწების შესახებ კი დარჩა ღიათ, მიწის მოწყობის ჩატარებამდე. ამავე განყოფილების აღწერით მაქვს სულ 3.000 კვად. საჟენი მიწა, რომელშიაც შედის სამოსახლოც. მიწები ძლიერ ცუდი ღირსებისაა. დღემდე მიწის მოწყობა არ ჩატარებულა ჩვენ სოფელში, დღეს კი მიცხადებენ, რომ ჩემი მიწები გადაირიცხება საფონდოთ. გთხოვთ გამაგებინოთ, კანონიერია თუ არა 1-ლი, ან მეორე დადგენილება. მე არ გამიწყვეტია არც ძველად და არც დღეს კავშირი სოფელთან. წარსულში სულ დაქირავებულ, შავ მუშად ვიყავი. არავითარი კერძო საკუთრება არც წარსულში მქონია და არც დღეს მაქვს. ამჟამად კი ვარ უმუშევარი. მაქვს თუ არა უფლება დავიმუშავო ის, რაც წარსულში ჩემს საკუთრებას შეადგენდა?

პასუხი:

თუ თქვენ მიწის რეფორმის ჩატარების დროს არ ეწეოდით სოფლის მეურნეობას და მსახურობდით ქ. თბილისში, საადგილ-მამულო ორგანოებს უფლება ჰქონდა არ დაეტოვებია თქვენთვის მიწის ნორმა. მიწის კოდექსის მე-67 მუხ. თანახმად ნაზიდარი მიწის ნორმა დაეტოვება მხოლოდ ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებით შრომას სახელმწიფო ან კერძო საწარმოში და არა მოსამსახურეებს. ამჟამად, თუ თქვენ გსურთ მიიღოთ მიწა თქვენი შრომით დასამუშავებლად, შეგიძლიათ აღძრათ შუამდგომლობა მიწის მოცემის შესახებ. მაგრამ ასეთ შუამდგომლობას დააკმაყოფილებს სათანადო საადგილ-მამულო ორგანოები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მოეპოვება სათადარიგო მიწის ფონდი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 14 იანვარს, საღამოს ექვსი საათისათვის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება ა.-კავკ. კომ. უნივერსიტეტის საღამოს მსმენელთა სხდომა. ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგების დასწრება აუცილებელია:

სიმონ გოგეშვილი (თბ. კომიტ.), თინა დოლიძე (თბ. კომ.), სერგო ისაევი (თბ. კომ.), ლონგინოზ რუხაძე (თბ. კომ.), ზ. გვრიტიშვილი (ა.-კავკ. თბ. კომ.), ალ. ჩიხლაძე (ლენრაიონი), დ. ბეჟურაშვილი (ლენრაიონი), არამ არაქელოვი (ლენრაიონი), სმოლიაკოვი (ლენრაიონი), ივანე ბოროდინი (ლენრაიონი), გოგი სამანაშვილი (ლენრაიონი), დოლმაზაშვილი (ამ.-კავკ. ქვეითა ჯარის სკოლა), პიმენ სახაძე (ქალ. რაიონი) ალ. სანაძე (ქალ. რაიონი), დ. სიჭინავა-დოლიძე (ქალ. რაიონი), გიორგი დალაქიანი (ქალ. რაიონი), გიორგი ოქიტაშვილი (ქალ. რაიონი), ბიქტორ მეგრელიძე (ქალ. რაიონი), ლეონ ხარაზოვი (ქალ. რაიონი), ანიონ სამოილოვი (ქალ. რაიონი), ფიცხელაური (ქალ. რაიონი), ხაჩატურ აკოპიანი (ქალ. რაიონი—ამ.-კავკ. კომ. უნივერ. უჯრედი), პავლე შარკო (ქალ. რაიონი—ამ.-კავ. კომ. უნივერ. უჯრედი), მარიამ ვასიჩა (26 კომ. სახელობის რაიონი), ვასილ სალავეიჩიკი (26 კომ. სახელობის რაიონი), სარქის მიკრტიჩიანი (26 კომ. სახ. რაიონი), ციკრტიჩ პეტროსიანი (26 კომ. სახ. რაიონი), აბრამ ბაღდასარიანი (26 კომ. სახ. რაიონი), მაცაკ გრიგორიანი (26 კომ. სახ. რაიონი), არმენაკ არუთიუნოვი (26 კომ. სახ. რაიონი), სერგო საფაროვი (26 კომ. სახ. რაიონი), პარმენ ლომინაძე (26 კომ. სახ. რაიონი), მაშ. ხაჩატუროვი (ამ.-კავკ. კომ. უნივ. უჯრ.); იზხანოვი (არტდივიზ.), პლატონოვი (წით. რმიის პოლიტსამმართ.).

კვირას, 13 იანვარს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის (ცენტრალურ კაბინეტში შესდგება კაბინეტის ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენცია. ბიბლიოთეკის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საარჩევნო-განმანაწილებელი განყოფილება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს ორშაბათს, 14 იანვარს, შუადღის სრულ 12 საათზე გამოცხადდნენ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საარჩევნო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 66) ამხ. თირხანოვთან:

ერვანდ საგუტოვი, მიხეილ ხაზანოვი, შალვა წერეთელი, ვასილ აბრამის ძე მიროშნიჩენკო, ა. ი. დავუნოვი, სარქის პოლოსიანი, სტეფანე პაილარიანი, ირადიონ ბოჭორიშვილი, ვიქტორ მაქსიმეს ძე კლეტუხინი, ანდრია დავითის ძე ხარატუროვი, ალექსი მალიშევი, გიორგი დიმიტრის ძე კიკნაძე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი ლენინის კვირეულის დროს მუშათა კლუბებში მოხსენებათა ჩასატარებლად მობილიზაციის წესით იწვევს და პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაზე ამაგრებს შემდეგ ამხანაგებს:

მარია ორახელაშვილი (განათლების სახ. კომისარ.), მამეკაჩიჩი (საქ. პროფსაბჭო), გოლდბაუმი (მუშ. და გლეხ. ინსპ.), მგალობლიშვილი (ფინსახკომი), სილ. თოდრია (შრომის სახ. კომის.), ბოლოტნიკოვი (ამ.-კავკ. კომ. უნივერ.), ხუნდაძე (ა.-კ. კომ. უნივ.), გულოიანი (ამ.-კავკ. კომ. უნივ.) ხაჯაპურიძე (ა.-კ. კომ. უნივ.), ტოროშელიძე (სახელმწ. უნივ.), დავით ორაგველიძე (ცკკ), გეგენავა (ა.-კ. კომ. უნივ.), ანდრიაძე (ა.-კ. კომ. უნივ.); ვარდანიანი (მუშ. და გლეხ. ინსპ.), სურხატიანი, პოლოსოვი (ცენტრ. პარტსკოლა), ადამიანი (თბ. კომ.), დოლიძე (თბ. კომ.), პიასეცკი (მუშფაკი), მთვარელიძე (მუშფაკი).

ს. ს. პ. ინსტიტუტთან არსებული პარტიის ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ ყველა პოლიტ-წრეების (მიმდინარე პოლიტიკის, ისტ-მატის, ლენინიზმის და ახალგაზრდ. მოძრ.) მეცადინეობა გადატანილია კამოს ქუჩა № 52 (მე-2 შრომის სკ.) წრეებში მომავალ მსმენელებს და მათ ხელმძღვანელებს ევალება გამოცხადდნენ დღეს, დილის 10 საათზე, დაუგვიანებლად აღნიშნულ შენობაში მე-3 სართულზე.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს ს. ლ. კ. კ. სამაზრო და საქალაქო კონფერენციის დელეგატების საყურადღებოდ, რომ, ორშაბათს, 14 იანვარს, საღამოს სრულ 5 საათზე რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქ. № 7) შესდგება თათბირი. ამორჩეულ დელეგატების, დასწრება, რაიკომის წევრების, კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრების და დელეგატების სავალდებულოა დაუგვიანებლივ. თათბირის შემდეგ დელეგატებს დაურიგდებათ მანდატები.

დღეს, შუადღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის საარჩევნო-განმანაწილებელი განყოფილების შენობაში გამართება საქ. კომპარტიის (ბ) მიმღები კომისიის სხდომა. ამხ. ალნიაშვილის, ჩაკვეტაძის, მეგრელიშვილის (ცენტრ. საკონტრ. კომ.), გელაშვილის (ქალ. აღმასკომი) და ჯავახიძის (კომკავშირის ცკკ) დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომის სხდომის დარბაზში მოწვეულია ყველა კომუნისტ და კომკავშირელ პედაგოგების, ხელისშემწყობ საწუხების ფრაქციების, კომპარტიის და კომკავშირის რაიკომის უჯრედებთან მიმაგრებული ამხანაგების და აგრეთვე კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდივნების თათბირი. დღის წესრიგშია სკოლების პარტხელმძღვანელობის და საბჭოების გადარჩევის საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს 14 იანვარს, დილის 10 საათზე გამოცხადდნენ ცკ-ის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებაში: ბელიაევსკი, გეგეშიძე, მამულია, დელიბაში, ტაგიევა, გოლდავა, ხინამგელაძე, ს. თალაკვაძე, ჩარკვიანი, ჩერქეზიშვილი, ფოცხიშვილი, ჭყონია და სადირაშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ ქ. სოხუმში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი

ამხ. მამანტი მიმინოშვილი

დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

სენაკის მაზრის მუშების, გლეხების და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ ქ. სოხუმში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და პრეზიდიუმის წევრი

ამხ. მამანტი მიმინოშვილი

დასაფლავების დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ამხანაგები ს. მამულია, ა. მამულია, ვ. ჩაკვეტაძე, ქ. მელიქაძე, ბ. მელიქაძე და მ. ბედია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის

მამანტი მიმინოშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ტიტე შავიშვილისა, ძმები დათიკო და კოლია, რძლები, ფლორენცი და ტერეზი შვილებით, დაი ტერეზი, სიძე ალექსანდრე, დისშვილები ლენინა და თამარ ქაჯავარიანები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პელო ანტონის ასული ორჯონიკიძისა

გამოსვენება კვირას, 13 იანვარს, 1 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 98

ღრმად დამწუხრებულნი ყარამან ივანეს-ძე, არჩილი, ევა, დარიკო და ლიზა ორჯონიკიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, დანარჩენი ძვირფასი დედის

პელო ორჯონიკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, 13 იანვარს, რკ. გზ. საავადმყოფოდან—დილის 11 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 121

მშობლები ვალენტინა სიმონის ასული და მიხეილ კონსტანტინეს ძე, ბებია ოლღა ანდრიას ასული და ბაბუა კონსტანტინე მიხეილის ძე გიგინეიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ 11 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პირმშო

კოტიკო

რომლის დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს 1-ლ საათზე გამოსვენება კვალის (ყ. არტილერიის) № 15-დან. 108

ღრმად დამწუხრებული ბაბუა სიმონი და ბებია მატრონე ნაზაროვები—შვილებით ეკატერინე, აგრაფინა თამარა და შვილიშვილით ალიოშათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

კოტიკო (კონსტანტინე) მიხეილის ძე გიგინეიშვილი

დაკრძალვა 13 იანვარს ვერის ახალ სასაფლაოზე 101

იულია კონსტანტინეს ასული და ლეონიდე გიორგის ძე ლომთათიძენი, ლიუბა კონსტანტინეს ასული და ვალერიან გიორგის ძე იაკოვლევები და თამარ კონსტანტინეს ასული გიგინეიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და საყვარელი

კოტიკო გიგინეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს 1-ლ საათზე გამოსვენება კვალის (ყ. არტილერიის) ქუჩ. № 15-დან. 108

გაუბედურებული მშობლები: ოლღა და მელიტონი შვილებით; ბებია ადათი, დეიდა ნინა დეიდაშვილებით, ბიძა სიმონ და გერასიმე ცოლით ოლღათი და შვილით იუზათი კალანდაძეები, ნათლია სონა ფურცხაშვილი და ნათლიაშვილი მერი ოქროიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასესი

ვანო მელიტონის ძე წერეთლის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან (საბჭოს 143) კვირას, ნაშუადღევის 12 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ზ)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლისა შვილებით: ლადო, სიომი, იერი, მარუსია და ნადია, რძალი ქეთია, სიძეები გრიგოლ ელენტი, კოლია ცერაძე, გრიშა ჩაჩანიძე, შვილის შვილები—იულია, ვალიკო, შოთა, ნინიკო და ანიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

იოსებ სიმონის ძე ვადაჭკორია

რომლის დასაფლავება მოხდება ს მშაბათს, 15 იანვარს სოფ. ზომლეთში (გურია) 10

რუსთაველის თეატრი

დღეს კვირას, 13 იანვარს ლია წარმოდგე ა. ხოზიკას.

„ხოჭოების დოლი“ კომ. 3 მოქ.

დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—2 ნ. 2079

სახელმწიფო კონსერვატორ. დარბაზი

დღეს, კვირას 13 იანვარს

ავადმყოფ მსახიობ ელ. ანდრონიკაშვილის სასარგებლოდ

დიდი კონცერტი

ოპერის და დრამის საუკეთესო ძალების და პოეტ. თა მონაწილეობით

მომწყობი კომისია: ნ. ალექსი მესხიშვილი, ნ. ჩუბ-ოღლი, მ. ჯავახიშვილი, პ. კეშელავა, ლ. ქუთათელაძე სახ. მსახ. ი. ფალიაშვილი, დ. ჩხეიძე

ნ. 2116

სახკინმრეწვის კინოები

ბანთიადი არფასტო სოლეი აპოლო	ისტორიული სურათი ორ სერიათ დღეს პირველი სერია **ჯანყი** რეჟისორი—ა. წუწუნავა. ოპერატორი—ა. დიღმელოვი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
კოლასი	**ზვავი** ინა ლის, პერესტიანის და პანოვის მონაწილეობით
მინიონი	ცნობილი სურათი **მორალი** ალინ რიხტერის თამაშ.
დარბაზი	უკანასკნელად თბილისში **მისს-მენდ** 1 და 2 სერია
პროლეტარი ავლაბარი	დუგლას ფერბენქსის მონაწილეობ. **ალანის სიზმარი**

0—8

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

გლადილშჩიკოვის გასტროლების უკანასკნელი 3 დღე

დღეს

სენსაციური სანახაობა გლადილშჩიკოვის ბრძოლა გუმბერაზ დათვთან, რომელიც იწონის 20 ფუთს. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი და ყველა გასტროლიორები

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

კვირას 13 იანვარს დღის სანახაობა

მწვრთნელი გლადილშჩიკოვის უკანასკნელი გამოსვლა. ახალი გასტროლიორები და მთელი დასი

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე

3—3 ნ. 2068

იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

საშინელ ცხოველთა სამყარო



უოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში

ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.

სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ნ. 2082 ს—3.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

საბჭოთა კავშირის „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოებანი

ყოველგვარ დახმარებას უწევენ საბჭოთა იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ქონებრივი პრეტენზიები აქვთ უცხოეთის სახელმწიფოების მიმართ. საზოგადოებათა მოქმედების სფეროში შედის: 1) სამხედრო დაზღვევის პრემიების მიღება იმ ნათესავებისათვის, რომლებიც ამერიკის არმიის ჯარისკაცებად იყვნენ და მის რიგებში დაიღუპნენ;

2) დახმარების გაწევა ამერიკელი ჯარისკაცების კმაყოფაზე მყოფთათვის ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან ფულადი დახმარების, პენსიის მიღებაში და სხვ.

3) საზოგადოებანი დახმარებას უწევენ ამერიკის არმიის ყოფილ ჯარისკაცებს, რომლებიც ამჟამად საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ, რომ ფულადი ჯილდო (სპეციალური ბონუსი) მიიღონ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან და, თუ ინვალიდები არიან—პენსიები.

4) კანადის არმიის ჯარისკაცების კმაყოფაზე მყოფთ დახმარებას უწევენ პენსიების მიღებაში კანადის მთავრობისაგან;

5) ნათესავებს საბჭოთა კავშირის მოქალაქე მუშებისას, რომლებიც ამერიკის საწარმოებში დაიღუპნენ, დახმარებას უწევენ დაზღვევის პრემიების მიღებაში დაღუპულთა ნაცვლად;

6) საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ნათესავებს იმ მოქალაქეებისას, რომლებიც უცხოეთის რომელსამე სახელმწიფოში დაიხოცნენ, დახმარებას უწევენ მემკვიდრეობის მიღებაში;

7) ეხმარებიან საბჭოთა მოქალაქეების უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაციაში საზღვარგარეთ.

მთელ ამ მუშაობას საზოგადოებანი **უსასყიდლოდ** აწარმოებენ. მოქალაქეებს, რომლებსაც რაიმე ქონებრივი პრეტენზიები აქვთ უცხოეთის სახელმწიფოს მიმართ და ესაჭიროებათ „წითელი ჯვრის“ ან „წითელი ნახევარ მთვარის“ საზოგადოებათა დახმარება, შეუძლიათ პირადად ან განცხადებით მიმართონ „წითელი ჯვრისა“ ან „წითელი მთვარის“ რომელიმე კომიტეტს; საქართველოში უნდა მიმართონ „წითელი ჯვრის საზოგადოების“ ც. კ.-ს, (თბილისი, კრილოვს ქ., № 15) ან საბჭოთა კავშირის „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარ მთვარის“ საზოგადოებათა კავშირის აღმასკომს ამ მისამართით: მოსკოვი, Тверская-Ямская, д. № 1—3.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის ც. კ.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს ყველა სახლის პატრონებს, საბინაო ამხანაგობების და საბჭოთა სახლების კომენდანტების საყურადღებოდ რომ თბილისის საბჭოს დადგენილების თანახმად ა. წ. 20 იანვრიდან იწარმოებს არსებული საბინაო დავთრების გამოცვლა ახლებით; ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს სამი თვის განმავლობაში.

საბინაო დავთრების სისწორით. გარკვევით სუფთად და თავის დროზედ გადაწერის შესრულებაში პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს. წერითი ბიუროების სახით. უკანასკნელი ვალდებულია მოაწყოს ყველა სამილიციო რაიონებში წერითი დამხმარე ბიუროები დავთრების გასაყიდად და გადასაწერად.

ზემოაღნიშნულის გამო ევალებათ ყველა ზევით დასახელებულ პირებს გამოსცვალონ არსებული დავთრები აღნიშნულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებულ იქნებიან როგორც დამრღვევნი აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა № 24.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი: **საჯაია.**

საერთ. საად. ქ. განყოფილების უფროსი: **ჯავახიშვილი.**

ნ. 209 ა ა—3

სამისამართო ბიუროს გამგე: **თალაკვაძე.**

1929 წ. გრძელდება ხელისმოწერა 1929 წ.

საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ყოველთვიურ ორგანოზე

საქართველოს ეკონომისტი

ქართულ ენაზე (გამოცემის მეოთხე წელი)

რუსულ ენაზე (გამოცემის მეორე წელი)

საქართველოს ეკონომისტს მიზნათ აქვს დასახული ფართოდ გააშუქოს საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და სოციალ-კულტურული მშენებლობის საკითხები.

საქართველოს ეკონომისტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო ძალთა შესწავლა.

საქართველოს ეკონომისტი განსაკუთრებული ყურადღებით არკვევს ჩვენი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საკითხებს.

საქართველოს ეკონომისტი ფართო ადგილს უთმობს ჩვენი მრეწველობის, კოოპერაციის და კოლექტივიზაციის საკითხებს, აშუქებს ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირითად დარგების მდგომარეობას და მათ პერსპექტივებს.

საქართველოს ეკონომისტში რეგულიარულად შუქდება კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიური მდგომარეობა.

საქართველოს ეკონომისტი ფართო ადგილს უთმობს აგრეთვე თეორიულ ეკონომიის საკითხების გაშუქებას; ჟურნალს აქვს ბიბლიოგრაფიული განყოფილებაც.

ხელის მოწერის პირობები		განცხადებები	
1 წლით	10 მან.	1 გვერდი	150 მან.
6 თვით	5 მან.	½ გვერდი	80 მან.
		¼ გვერდი	50 მან.

მისამართი: თბილისი — სასახლე, საქ. სა გეგმო კომისია „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქცია. ტელ. № 9—82.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“-ს № 11—12.

საქ. სახვაჭრობა

გახსნილია

ხე-ტყის, ქაღალდების საწყობი

სადაც იყიდება

საუკეთესო ღირსების კოჭები, ფიცრები, „რეიკებ.“ და სხვ.

მისამართი: ანდრეევის ქ. № 106

ნ. 2103 (ბათომის ქ. კუთხე)

რ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. უ. ს.

სახელმწიფო მუსიკალური ტრესტი „მუსტრესტ“-ი

თბილისის განყოფილება.

როიალებისა და პიანინოების მომართვა ვანეთი

იყიდება

როიალები და პიანინოები

ბეკერის, შრედერის, ოფენბახერის და სხვ.

გიტარები, მანდოლინები, გარმონები, ბაიანები, ბალალაიკები, თარები, ჩონგურები, ჭიანურები, დოლები, დაირები, ზურნა, დუდუკი, გრამოფონი, გრამ. ფირფიტები და სხვ.

დიდძალი ნოტები რუსეთისა და საზღვარგარეთის ყველა გამოცემა.

მუდამ იშოვება ახალი სიმები; ფასები დაკლებულია 40 პროცენტამდე.

მუშებსა და მოსამსახურეებს ნისიად მიეცემათ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების საშუალებით

განყოფილებასთან არსებობს შემკეთებელი სახელოსნო საუკეთესო გამოცდილი ოსტატებით; შესაკეთებლად მიიღება პიანინოები, როიალები, გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები და სხვ.

სატრანსპორტო განყოფილება კისრულობს როიალებისა და პიანინოების გადატან-გადმოტანას, ჩალაგებას და გაგზავნას

სრული დასურათებული პრეის-კურანტი მსურველებს ეგზავნებათ 20 კაპ. მარკის მიღების შემდეგ.

კომინტერნის ქ. 6, როიალებისა და პიანინოების დეპო. კომინტერნის ქ. № 5, მაღაზია. ტელ. 14—53.

ნ. 17
12—6

მუსტრესტი.

საჭიროა ორთქლის ქვაბი

სიგრძით 4—5 მეტრი, დიამეტრი 1½ მეტრი, დაბალი წნევისა 4 ატმოსფერიანი

ასეთის მქონეთ სთხოვენ მიმართოთ: გოგოლის ქ. № 63

2—1 ტელ 4—65 „საქართველოს ღვინო“-ს 111

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1929 г. НА ЖУРНАЛ ДЛЯ СЕМЬИ И ШКОЛЫ

Самый распространенный ежемесячник в С. С. С. Р.

ВСЕМИРНЫЙ СЛЕДОПЫТ

ПЯТЫЙ ГОД ИЗДАНИЯ

С ПРИЛОЖЕНИЕМ ПОЛНОГО СОБРАНИЯ СОЧИНЕНИЙ В 48 КНИГАХ

ЖУРНАЛ путешествий, приключений, научной фантастики, краеведчества и охоты

ДЖЭКА ЛОНДОНА

В 1929 ГОДУ ПОДПИСКА РАСПАДАЕТСЯ НА 3 АБОНЕМЕНТА:

I. АБОНЕМЕНТ:	II. АБОНЕМЕНТ:	III. АБОНЕМЕНТ:
12 номеров журнала Всемирный Следопыт 24 номера журнала ВОКРУГ СВЕТА 12 номеров журнала ВСЕМИРНЫЙ ТУРИСТ на год—6 р., на 6 мес. —3 р. 25 к., на 3 мес.—1 р. 75 к., на 1 мес.—60 к.	В этот второй абонемент входят, кроме перечисленного в 1-м абон., ПОСЛЕДНИЕ 24 книги полного собр. сочинений ДЖЭКА ЛОНДОНА 24 на год—10 руб., на 1 месяц—1 руб.	В этот третий абонемент входят, кроме перечисленного в I АБОНЕМЕНТЕ, ВСЕ 48 книг полного собр. сочин. ДЖ. ЛОНДОНА 48 на год—14 руб. 50 коп.

(Подписная плата указана с пересылкой и доставкой во все местности СССР).

При подписке НЕПОСРЕДСТВЕННО в издательстве или его отделениях допускается РАССРОЧКА ПЛАТЕЖА.

ПО ПЕРВОМУ АБОНЕМЕНТУ:	ПО ВТОРОМУ АБОНЕМЕНТУ:	ПО ТРЕТЬЕМУ АБОНЕМЕНТУ:
при подписке—3 рубля 50 копеек и к 15 июня—2 рубля 50 копеек.	при подписке—3 р., к 15 марта—3 р., к 15 июня—2 р. и к 15 сентября—2 р.	подписка принимается только н/год, при подписке—5 р., к 15 марта—5 р.; к 15 июня—2 р. 50 к. и к 15 сент.—2 р.

Годовые подписчики, выславшие ПОЛНОСТЬЮ годовую подписную плату (6 р. по 1-му абонементу, 10 р. по 2-му абонементу или 14 р. 50 к. по 3-му абонементу) НЕПОСРЕДСТВЕННО в адрес издательства или его отделений не позднее 1 января, получат с первыми номерами «Следопыта» дополнительную БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ книгу «ЦЕНОЮ ЖИЗНИ — К СЕВЕРУ». Книга содержит ряд увлекательных очерков и рассказов на тему о борьбе человечества за полюс (включая и историю ПОСЛЕДНИХ ГЕРОИЧЕСКИХ ПОХОДОВ ЛЕДОКОЛА «КРАСИН»).

Подписчики на «СЛЕДОПЫТ» по любому абонементу за доплату в 3 руб. в год или 1 руб. 60 коп. за 6 мес. могут получать самый распространенный ежемесячный детский журнал **ЕЖ**. Журнал богато иллюстрирован.

ПОДРОБНЫЕ ПРОСПЕКТЫ БЕСПЛАТНО.

ПОДПИСКУ И ДЕНЬГИ НАПРАВЛЯТЬ: МОСКВА, Центр, Ильинка, 15, Акц. Издат. О-ву **„ЗЕМЛЯ и ФАБРИКА“**

Подписка принимается также повсеместно на почте, в отделениях и представит. «ЗИФ» во всех отделениях центр. издательств, в киосках Контр-ва Печати и на транспорте—уполн. газ. «Гудок».

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 21 იანვარს საათის 1 დღისა პანასევიჩის ქ. № 4 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ელისაბედ ჯილავდაროვის უძრავ ქონების ორსართულიან სახლის ნახევარ უფლებას შეფასებულს 510 მან. დასაკმაყოფილებლად ბათიშვი პარადოვისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. 195

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

აცხადებს, რომ 1929 წ. 26 იანვარს დილის 12 საათზე ზდანოვიჩის ქუჩაზე ქალ. ქუთაისში სახლი № 152 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვალერიანე ელიზბარის-ძე ჩიქოვანის ერთი ცხენს და ერთ ურემს შეფასებულს 480 (ოთხას ოთხმოცი) მან. ლიდია ლუკას ასული რუხაძის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქუთაისის მე-2 უბ. სახ. სასამართლოსთან 19 ივნისს 1928 წ. № 2923-თ გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა,—ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაზე მონაწილეობა მიიღოს უნდა წარმოადგინოს 10 პრო. ნ. 2113

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ სამშაბათს, 15 და ოთხშაბათს 16 იანვარს დღის 12 საათზე ახალ ბაზარში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება მოქ. ტკაჩოვის სხვადასხვა ძველი რკინეულობა

ნ. 2114

დაკარგვა: მთლიანი საწევრო ბილეთი № 41787 გაცემული ს.ა.ლ.კ.კ ქუთ. მაზრკომის მიერ ნიკოლოზ ვასილის-ძე ფეოდოროვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2113

დაიკარგა ბეჭედი № 2 ფილიპე მახარაძის სახელობის საბ. საიჯაროკოოპ ამხანაგობისა საბ. კავშირის დადგენილების თანახმად ახალი ბეჭედი იქნება № 7, ჩ. გ. 122

ჭრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენებზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქ, № 83, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

94 24—1

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი და სოსილოგანი ხმის და მეტყველების ექიმი სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

კონტაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ საღამოს 7—8 საათ გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—11

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

6144 50—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგ სლოვის) გადასახვევი ოლღ ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნე ლებანი

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25-

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილ

იღებს კანის და ვენ რიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს

საღამოს 5—7 საათამდე მოს ვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის თიაქთან, ტელ. 14—23. 25-

---

ი. პ. მჭედლიშვი

შინაგანი ავადმყოფობა. ს ციალურად კუჭის და ნაწ ვების სნეულებ თა გამოკვლ და მათი მკურნალობა. ღებ ლობს 5—6 ს. სანაპირო ქ (ყოფილი ნაპირეჟნაია) № 7- ვერის ხიდთან. ტელეფ № 15—02 ნ. 25-

---

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფე დილით 8—9 საათ., საღ. 6— მისამართი: თვალის საავადმყო ყლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედი № 47, ელსმენი № 5—90.

ნ. 16 25

დაკარგვა: საპენსიო წიგნაკი 4467 ბაგრატ კაპანაძის სახელ ჩ. გ. 11

დაკარგვა: მუშკოოპის წიგნაკი 46672 ბიკენტი ეგნატეს-ძე კვიკვი სახელზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: მელითონეთა კავ რის წიგნაკი № 1451112 გაცემუ ტ.ს. უ-ს მიერ შალვა მიხეილის ჭავჭანიძის სახელზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: ინვალიდობის მოწმ ბა № 3389 აქვსენტი მჭიძეს სახე ზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი 5366 ვანო თოდაძის სახელზე, ჩ. 11

დაკარგვა: მედსანშრომის კავ რის წიგნაკი № 353 ელენა კა ლაკის სახელზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: მიწა-ტყის კავშ წიგნაკი № 16770 ნიკო კუპატა სახელზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი 29217 დავით დავითულიანის სახე ზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწ ნუნუ პლატონის ასული გოცირი სახელზე, ჩ. გ. 10

დაკარგვა: დამხლევე სალა წიგნაკი № 138 და სამხედრო ს სახურის წიგნაკი № 17 იასონ ზაევის სახელზე, ჩ. გ. 10

დაკარგვა: პირადობის მოწმო ვლასა ფოფხაძის სახელზე, ჩ. გ. 11

დაკარგვა: სამხედრო საადრიცხ წი ნაკი, საბჭ. სავაჭრო მუშაკ პროფკავშირის წიგნაკი, დაზღვ წიგნაკი, პირადობის მოწმობა, მ დატი № 72 გაცემული „მწყემსი მიერ, ხელშეკრულება „კრაი სოიუზთან“ დადებული და სხვ სხვა საბუთები შალვა ლეჟავას ს ხელზე, ჩ. გ. 9

დაკარგვა მუშკოოპის საწევ წიგნაკი № 38130 მიხეილ ცინ ახელზე, ჩ. გ. 10

დაკარგვა: პირადი წიგნაკი № 7 მარტვილის რაი-სამხედრო მაგი გამგის მიერ მოცემული ბაგრა ჩქოფოიას სახელზე ჩ. გ. 10

დაკარგვა: პირადობის მოწმ № 30/1549 პლატონ თაბაგარის ს ხელზე, ჩ. გ. 10

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწ ქეთევან ილარიონის ასული ჩოხა ძის სახელზე, ჩ. გ. 11

ტოლიგრ. ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.